ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დროშა

"NOTRE DRAPEAU"

832
1957

№ 23

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1957 წლის თებერვალი. პ. ს—ძე—ნაციონალური რევოლიუცია. ბ. ბ.—ჩვენი პოლიტიკური გზებისთვის და მოქმედებისთვის. გრ. ურატაძე—უნგრეთის რევოლიუცია. «ქართული ეროვნული საბჭო»—ქ-ნ კეტლის. ბ. ერაძე—ნ. ყორდანიას გარდაცვალების წლისთავი. ნ. ციცვაძე—ჩემი პასუხი.—გაგრძელება. გრ. ურატაძე—იძულებითი ბასუხი. აკ. კვიტაიშვილი—გაკვრით. Jean Martin—ალბერტ მალშ. გერ. სოც.-დემოკ. პარტია. პარტიული ცხოვრება. ევგ. გეგეჭკორის ძეგლის გახსნა. ნეკროლოგები: თ. მუხაშავრია, ავ. ურუშაძე, სვ. გეგელაშვილი, ვ. ცალქალამანიძე, დ. ერქომაიშვილი, პეტ. ჯაფარიძე, მამა პიო. უნგრეთის რევოლიუცია და ქართული ემიგრაცია. ბ. ერაძე—გრ. ურატაძის წიგნი და სხვ.

პარიზი თებერვალი Paris.
1957

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1957 წლის თებერვალი.

«ჩვენი დროშა»-ს ამ ნომერში სრულიად შემთხვევით თავი მოიყარა ორნაირ მასალამ.

ერთია მაჩვენებელი იმ ვაჟკაცური ბრძოლის, გასაკვირ თავგანწირვით და ერთსულოვნებით რომ ეწევა უნგრეთის ხალხი თავის ქვეყნის უცხო ძალისა და უცხო გავლენისაგან განთავისუფლებისათვის. ისტორია აღნიშნავს ამ ამბავს, როგორც საუკეთესო ნიმუშს სამშობლოს სიყვარულით აღგზნებულ ხალხის ბრძოლას ეროვნულ თავისუფლებისათვის.

მეორე სახის მასალა ჩვენს, ქართველ ემიგრაციის, შინაურ ურთიერთობას ეხება. რადგან ჩვენი ჟურნალი, სამწუხაროთ, იშვიათათ და არალეგურილურათ გამოდის, ამ უკანასკნელ ხასიათის მასალის გამოქვეყნება შემთხვევით სწორეთ მაშინ ხდება, როცა მთელი კაცობრიობის ყურადღებას ძალიან დიდი ამბები იპყრობენ. მაგრამ ეს მხოლოდ ტექნიკური მხარეა; შინაარსი ამ მასალის კი იმას გვეუბნება, რომ ამ უაღრესად თვალსაჩინო მომენტში ჩვენი ენერგია წვრილმანებში ეფლება. არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი საკითხის რომელიმე უცხო დამცველს ეს მოეწონოს, ან ისტორიამ ეს გაამართლოს.

ატეხილ დავის აქ მოთავსებულ საპასუხო წერილებს ჩვენ ადგილს არ დაუთმობდით ჟურნალში--რათა თავიდან აგვეცილებია პოლემიკის გაგრძელება, რომ ამ პოლემიკის საბაბი ჩვენს მოწინააღმდეგეებს არ მოეცა. აქ მოყვანილი საპასუხო წერილები თავის დაცვა კი არ არის, არამედ იგი დასაბუთებული უკუგდებაა იმ უსაგნო და უსამართლო ვითომ «ბრალდების», რომელსაც ავტორები უყენებენ ჩვენი პარტიის ცნობილ დამსახურებულ წევრებს და იმათ გადაღმა საქართველოს მთელ სოციალდემოკრატიულ პარტიას. წარსულის გაბახებით ჩირქი უნდათ მოსცხონ ამ პარტიის აწმყოში მოქმედებასაც. ცხადია, ასეთი გამოსვლა უპასუხოთ არ ჩაივლიდა.

ახლა ჩვენს წინ იშლება პერსპექტივა მოწინააღმდეგეთა პასუხის, ამ პასუხზე დაინტერესებულ პირთა და ჯგუფთა პასუხის—დასაბუთებაზე რომ იყვეს საკითხი—იგი საკამათოთ არ გახდებოდა, პასუხზე კიდევ პასუხის და ასე ემიგრაციის პრესა და ემიგრაციის ყურადღება ჩაიფლება ისეთ დავაში, რომელსაც არსებითათ არაფერი აქვს საერთო საქართველოს

30269

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლების საქმესთან და საქართველოს საკითხის პროპაგანდასთან. ვინ დაიწყო ეს ამბავი, ვის ედება ამის პასუხისმგებლობა? ვის სასარგებლოთ დატრიალდება ამ გზაზე შემდგარ ემიგრაციის მოქმედების ჩარხი, ვფიქრობთ ამაზედ?

უნგრეთის ხალხის ერთსულოვნება, მემარჯვენეებიდან დაწყებული და მარცხნივ ნაწილობრივ უნგრეთის კომუნისტურ პარტიის წევრებით გათავებული, ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, უსათუოდ გაიჭედა არა ჩვენს ემიგრაციაში ახლა შექმნილ, არამედ გაცილებით უფრო საღ ატმოსფერაში და ყველა პოლიტიკურ ჯგუფების თანამშრომლობის აუცილებლობის შეგნებაზე. ასეთ შეგნებას აბნელებს, თუ არა, ჩვენს შორის შეუფერებელი გამოსვლები ბრძოლაში, ნამდვილ ბრძოლაში, გაჭალარებულ მოღვაწეების და იმ პარტიის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი ეკუთვნიან? აი რა საკითხები იბადება ორნაირ მასალის, ერთისა და მეორის გვერდით ჟურნალში შემთხვევით მოთავსების გამო.

ჩვენ ვცდილობდით და ვეცდებით კვლავაც, არ ჩავეფლოთ შინაურ დავაში, რომელმაც შეიძლება სულ გადაგვიტანოს და მთავარი საგანი ჩვენი მოქმედებისა დაგვავიწყოს. ეს არ ნიშნავს, რომ დაუსაბუთებელი ბრალდება არ ვამხილოთ; მეორე მხრივ, სილაჩრეთ ნუ ჩამოგვართმევენ იმას, თუ ყველა უპასუხისმგებლო და ღვარძლით აღსავსე გამოლაშქრებას ჩვენ პასუხს არ გავცემთ. თუ ვისიმეს ინტერესია ემიგრაციის გამთიშავი ცეცხლი დაანთოს, ჩვენ ამ ცეცხლის შენთები არ ვიქნებით...

* * *

ეს წერილი იბეჭდება თებერვალში. თებერვლის დღეები, ჩვენთვის მწარე მოგონების დღეებია: 1921 წლის 11 თებერვალს, მტერი ვერაგულათ შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და დაიღვარა სისხლი ქართველ მამულიშვილთა თავის ქვეყნის თავისუფლების დასაცავათ.

36 წელიწადია მასშემდეგ! ოცდათექვსმეტი წელიწადია მტერი თარეშობს საქართველოს მიწა-წყალზე და ქართველ ერს განადგურებით ემუქრება. 36 წელიწადია ბრძოლა გრძელდება...

თავი მოვიხაროთ ამ წლისთავის მოგონების გამო, საქართველოს თავისუფლების ბრძოლაში დახოცილთა და მთელი ქართველი ერის შეუდრეკელი ნებისყოფის წინაშე: ძლიერ ეგვიპტეს თავისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალური რევოლიუცია.

1944 წელს მოსკოვმა საქვეყნოთ განაცხადა, რომ ის არ ისარგებლებდა სამხედრო ოკუპაციით და არ შეეცდებოდა საბჭოთა სისტემის დანერგვას იმ ქვეყნებში, სადაც ომის შემდეგ მისი ჯარები დარჩენ, მიუხედავათ ამ განცხადებისა და 1947 წლის ხელშეკრულებისა—პოლიტიკური სფერო გადაიქცა დაპყრობათ, ცენ. და აღმ. ევროპის ქვეყნებში «სატელიტებათ». კოლონიალური-ეკონომიური პოლიტიკის გატარებით მოსკოვი შეუდგა გასაბჭოებულ ქვეყნების ექსპლოატაციას. გაამეფა სიღარიბე, სიღატაკე, ეროვნული წვალება და პოლიტიკური მონობა.

თავის დროზე გულუბრყვილოთ სწამდათ მოსკოვი სიტყვას არ გასტეხდა, ხელშეკრულებას შეასრულებდა. დიდი ხანი არ დასჭივრებია მოსკოვს პირბადე ჩამოეხადა, მფარველად და სამოყვროთ მოსული მპყრობელად და ბატონათ გამხდარიყო. სტალინი ცეცხლითა და მახვილით შეუდგა დაპყრობილ ქვეყნების გაკომუნისტებას და მთელი წლების მანძილზე ცდილობდა მათ სრულ დამორჩილებას. მისი ამ ქვეყნიდან გადაბარგება და ხრუშჩოვ-ბულგარინისგან მისი გაბახება გახდა საბაბი უკმაყოფილებათა ტალღის ასაგორებლად, მოსკოვის წინააღმდეგ მძლავრი დემონსტრაციების მოსახდენათ. თბილის, ერივანს. პოზნანს მოჰყვა უნგრეთის რევოლიუცია.

ძველი თაობის გულის მოგება, მისი მშვიდობიანი დამორჩილება და გამოყენება, თუ მოსკოვის მეთაურებს არ შეეძლოთ, მათ უსათუოდ იმედი ჰქონდათ იმ ახალი თაობის, რომელიც ლენინის ინსტიტუტში იზრდებოდა. 8-9 წლის მანძილზე ახალგაზდობას უნერგავდენ ლენინ-სტალინის ერთგულებას, კომპარტიის დოქტრინისა და მეთოდების შეთვისებას. მოსკოვის ადგილობრივ აგენტურამ ვერ შესძლო მათი გონების გაყინვა, მათი ნებისყოფის გატეხა, მათი გულიდან სამშობლოს სიყვარულის აღმოფხვრა; სწორედ ეს ახალგაზდობა, ნორჩი თაობიდან დაწყებული აღმოჩნდა რევოლიუციის მოწინავე რიგებში, ახალგაზრდული გატაცებით და თავდადებით ეკვეთა შემოსეულ მტერს და არა ერთი საგმირო მაგალითით დაამტკიცა, რომ სიმართლისთვის ბრძოლის სურვილს ვერ შეაკავებს უხეში ძალა, საკუთარ ქვეყნისთვის მებრძოლთ ვერ შეაშინებს სიკვდილი, მორალური სიძლიერე ასალკდევებს რევოლიუციონურ ქარცეცხლში ამოძრავებულ ძალებს. ახალგაზრდობამ დაამსხვრია მითი საბჭოთა ძლიერების, დაუმტკიცა ურწმუნოთ და გულგატეხილთ, რომ არ არსებობს თავისუფლებისთვის ბრძოლაში—დაბრკოლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამტკიცა, რომ იგი არაა დაავადებული კომუნისტური დოქტრინით, მოსკოვის საწამლავი მის სულს არ მიჰკარებია, მისი გული არ მოუშხამავს. ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ქვეყნებს, რომ მოსკოვი ხიშტებით ბატონობს. მოძრაობა კი, რომელსაც არ ჰყავს მომავალი თაობა განწირულია, მისი არსებობის წლები დათვლილია...

მოსკოვს არც ინტელექტუალური ძალები დაუტოვებია უყურადღებოთ. როგორც ყოველგან ის არ ზოგავდა საშვალებებს მათი გულის მოსაგებათ,—მაგრამ სასტიკათ მოსტყუვდა. უნგრეთის მწერლობის პათეთიური ხმა გაისმა მთელ ქვეყნიერებაზე, უნგრეთის ხალხის სულიერი, კულტურულ-ეროვნულ-პოლიტიკური ტკივილები გამოამჟღავნა და რევოლიუციის რიგებში ჩადგა.

უნგრეთის მშრომელი მასსების, ქარხნის მუშების და გლეხობის მიმხრობამ და თვით კომპარტიის რიგების პირისქცევამ, მოსკოვი იზოლიაციაში მოახდინა. ერთის სიტყვით ერის ყველა ნაწილები ერთ ფრონტში დაირაზმა, ერთი მიზნით გაიმსჭვალა, ერთის ნებისყოფით გაიჭედა. საბჭოთა ჯარების გაყვანის მოთხოვნასთან ერთად, მან აღმართა დროშა ანტი-კომუნისტური, ანტი-საბჭოური,—დემოკრატიული. განსხვავებით პოლონეთისა, მან უარყო ე. წ. ნაციონალური კომუნიზმი და მიზნათ დაისახა ნამდვილი, ხალხური, დემოკრატიული მართველობის შემოღება, სიტყვის, პრესის, კრების თავისუფლება, სხვადასხვა პარტიების დაშვება. ეროვნულ-სუვერენულ უფლებათა აღდგენასთან ერთათ, პოლიტიკური თავისუფლების მოპოება. ამ გვარად სოციალური იდეა გადაება—ნაციონალურს. უნგრეთის ხალხის შეგნებაში უცხო ძალის განდევნას უნდა თან გაჰყოლოდა უცხოეთიდან შემოტანილი სისტემა მმართველობის, მის დასამონებლად მოსკოვისგან ძალადობით თავზე მოხვეული. ხალხის ეს მისწრაფება გამოიხატა ლოზუნგებში. აფრიალდა დროშა ბრძოლის...

რევოლიუციის მძლავრმა შეტევამ მცირე ხნით განახორციელა დასახული მიზნები. კოალიციური მთავრობის შედგენით და ვარშავის ხელშეკრულების რკალიდან გამოსვლით; მოსკოვი შეშფოთდა. მან დაინახა უნგრეთის სრულიად გასვლა მისი გავლენის სფეროდან, ადგილობრივ კომპარტიის სრული განადგურება, სხვა «სატელიტების» მოსალოდნელი მიბაძვა და მით სრული განდევნა აღმოსავლეთ ევროპიდან.

ერთი მეთაურთაგანის მიმხრობით და მეთაურობით მოსკოვი ადგენს მისთვის ერთგულ მთავრობას. იდევნება კოალიციური მთავრობა, ხოლო მოსალაპარაკებლად გამოძახილ მის თავმჯდომარეს ქურდულად იტაცებს და ასახლებს.

დედა-ქალაქიდან გაყვანილ ჯარებს ისევ შემოუსევს მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ტანკებით მუსრავს რევოლიუციის მონაპოვარს, უმოწყალოთ ქლეტს მის დასაცავათ გამოსულ უიარაღო ხალხს.

რუსის ჯარებმა სისხლში ჩაახჩვეს ხალხური განმათავისუფლებელი მოძრაობა. დღეს უნგრეთის სოფლებსა და ქალაქებში თუ აღარ ისმის ტყვიის ხმა—ხალხის გადაწყვეტილება დარჩა ურყევი, გაფიცვებმა და პასსიურმა გამკლავებამ შესცვალა ბარიკადები, თავისუფლების დროშა კვლავ უცდის გაშლას... მოსკოვს შეუძლია დროებით შეაჩეროს რევოლიუციის მსვლელობა და მისი გამარჯვებით დამთავრება, იგი ვერ შესძლებს გასტეხოს ხალხის წინააღმდეგობა, ჩააქროს ლამპარი ბრძოლის, წყურვილი თავისუფლების მოპების, უნგრეთის განაწამები ხალხი მოიპოებს დამოუკიდებლობას—თავისუფლებას.

უნგრეთის რევოლიუციის გავლენა საერთაშორისო ასპარეზე ღრმა შედეგებით სავსეა, ის უკვე იწვევს პოლიტიკურ და ეროვნულ ძვრებს. ჯერჯერობით კი მისი ნიშნები სერიოზულ ხასიათს ატარებს; უნგრეთმა ჩაშალა მოსკოვის გეგმა, მას ისევ გაებუტა და თითქმის გაემიჯნა იუგოსლავია, შეირყა აზიურ ქვეყნების პოზიცია, ხრუშჩოვ-ბულგანინ-შეპილოვის მგზავრობით ჩაწყობილი გეგმები; ამ ქვეყნებს აღარ სჯერავთ მოსკოვისგან გაცემული სიტყვა, დაპირება, მასთან დადებული ხელშეკრულების სინამდვილე. და რაც უმთავრესია უნგრეთის რევოლიუციის ფაშისტურად მონათვლამ და საბჭოთა ჯარების მხეცურ მოქმედებამ შეაშფოთა უცხო ქვეყნის კომპარტიები, მის რიგებიდან ათასობით გადიან წევრები, საჯაროთ ხევენ პარტ-წიგნაკებს, ხოლო კომ—ურ პროფკავშირებიდან მუშები გადადიან თავისუფალ კავშირებში.

ევროპამ იგრძნო რეალური საშიშროება და შეუდგა თავდაცვას, მთელი კაცობრიობა აღაშფოთა მოსკოვის მოქმედებამ... მოსკოვს კი ურთულდება დამოკიდებულება «სატელიტებთან», ვარშავის პაქტიდან შექმნილი ფრონტი საგრძნობლად გაიბზარა, მოსკოვმა აღარ იცის ვის დაეყრდნოს, უნგრეთის ჯარი მისთვის აღარ არსებობს, პოლონეთისას—ხელმძღვანელობენ პოლონელი ოფიცრები, იუგოსლავია ამ მხრივ რიგებიდან გამოსულია. პოლონეთში ანტირუსული გამოსვლების შეჩერება უძნელდება ახალ მთავრობას, მოსკოვის წინაამდეგ ძლიერდება მტრული მოძრაობა სხვა ქვეყნებშიც.

უნგრეთის ხალხმა უდიდესი სამსახური გაუწია განათლებულ კაცობრიობას, რომლისგან მან მიიღო თანაგრძნობის რეზოლიუციები, რომლებიც თუ მორალურ ღირებულებას წარმოადგენენ, მარტო ვერ შველიან ერის განმათავისუფლებელ ბრძოლას. როცა უნგრეთის ხალხი სისხლიდან იცლებოდა, ერთა კავშირის სხდომები უპირატესობას სუეცის არხის საკითხებს აძლევდა, რამდენათ მძიმე ეკონომიური შედეგებით არ ყოფილიყო სავსე ეგვიპტის ნაბიჯი, რომლის გარჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა დღეებს მაინც მოითმენდა. უნგრეთის რევოლიუციის ბედი, მისი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი საათობით წყდებოდა. ტრაღიკული მდგომარეობა დიდ თავისუფალ სახელმწიფოსაგან გაბედულ სიტყვას მოითხოვდა, რომელსაც შეეძლო ეხსნა ქვეყანა... შველა კი არსაიდან მოსჩანდა. უნგრეთის ფიზიკურად დამარცხებულ რევოლიუციის გაკვეთილები მცირე და ჩაგრულ ერთ ავალებს შესაფერი დასკვნები გააკეთონ, თავის ბრძოლის ტაქტიკა შეუფარდონ საკუთარ ქვეყნის შესაძლებლობას და გეო-პოლიტიკურ მდგომარეობას.

ბ. ს—ძე.

ჩვენი პოლიტიკურ გზებისთვის და მოქმედებისთვის.

(ფიქრები)

ჩვენი პოლიტიკური პროგრამა ძველია, რადგან იმის ძირითადი საფუძვლები ჯერ არ არის განხორციელებული. ვიბრძვით ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისთვის უცხოელების ბატონობისგან; ამისთვის ჩვენი დღევანდელი მოქმედების პროგრამა უაღრესად პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ა.

ჩვენს მდგომარეობაში ახლა ბევრი ერი იმყოფება საბჭოთა კავშირში, მაგრამ ჩვენსა და ზოგთა მათ შორის არსებობს განსხვავებაც. ასე, თუ საბჭოთა კავშირში მოქცეული ზოგი ერი იბრძვის დღეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერის თ ვ ი თ გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ი ს უფლების მოსაპოებლათ, საქართველოს საკითხი (ისე, როგორც, მაგალითად, საკითხი ესტონიის, ლატვიის და ლიტვის) უფრო შორს არის წასული: ქართველმა ერმა თავისთავი დიდი ხანია გამოარკვია და ეს თვითგამორკვევა მისი—თვითგამორკვევა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ არსებობისთვის—ნაცნობი იყო თავის დროზე. როგორც თვით საბჭოთა კავშირის მიერ განსაკუთრებულ ხელშეკრულებით, ისე ფაქტიურათ და იურიდიულათ თითქმის ყველა თავისუფალ სახელმწიფოების მიერ, მთელ მსოფლიოში.

ეს გარემოება უპირატესობას ანიჭებს საქართველოს. მის მდგომარეობაში ჩაყენებულ ზოგ სხვა პატარა ერებთან შედარებით ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში უ ფ ლ ე ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე. საქართველოს საკითხი საბჭოთა კავშირის შინაური საკითხი აღარ არის, რუსეთსა და საქართველოს შორის «შინაურულათ» მოსაწესრიგებელი: საქართველოს საკითხი რჩება საერთაშორისო საკითხათ.

ეს დიდი საბუთია, ნათელი ყველასთვის და მეტყველი საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოთ. სანამ ოკუპაციის ქვეშ იმყოფება ჩვენი ქვეყანა, ჩვენ არ შეგვიძლია ეს საბუთი პირველ პლანზე არ წამოვაყენოთ. ხოლო, რამდენათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ანსხვავებს საქართველოს უფლებრივ მდგომარეობას ზოგი სხვა ერის მდგომარეობიდან, იმდენათ აქედან გამომდინარეობს ის გარემოებაც, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ყველა გამოსვლებში ჩვენი მოქმედება და ჩვენი უფლებების დასაბუთება საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ერების მოქმედებას და მათ მიერ იმის დასაბუთებას დავუკავშიროთ, მას გადავაბათ და იმით შემოვფარგლოთ.

ეს გარემოება სრულებით არ აბრკოლებს ჩვენს დამოკიდებულებას განთავისუფლებისთვის მებრძოლ საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ერებთან, მათთან კავშირს, განსაკუთრებით კავშირს ჩვენს მეზობელ კავკასიის ერებთან. საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ მათთან ვართ და მათთან ვიქნებით; ხოლო ვიქნებით მათთან ჩვენი საკუთარი სახით და ეროვნულ განთავისუფლებისათვის ბრძოლის ჩვენი საკუთარი თვისებებით და საშვალებებით, ჩვენი საკუთარ ეროვნულ პროგრამით. ასე, სახელდობ, ჩვენ მიერ მოპოებული უფლება საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის. როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, მაჩვენებელია იმის, რომ ჩვენ არაფერი ახალი ჩაგვიწერია ჩვენს პროგრამაში, არამედ ვიბრძვით უკვე ყველას მიერ აღიარებულ და შემდეგ რუსეთის მიერ (ორჯელ ერთი საუკუნის განმავლობაში) ძალით გათელილ უფლების აღსადგენათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველ მა ერმა უკვე განვლო ეტაპი თვითგამორკვევის. ასეთია მისი უფლებრივი მდგომარეობა საბჭოთა კავშირის მიერ დაკავებულ ზოგ სხვა ქვეყნებთან შედარებით და შეუძლებელია საქართველომ ამით არ ისარგებლოს.

სულ სხვაა ფაქტიური მდგომარეობა. ფაქტიურათ საბჭოთა კავშირის ბატონობის ქვეშ მოქცეული ყველა ერები გათანასწორებულია, განურჩევლათ მათი უფლებრივი მდგომარეობისა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში. ფაქტიურათ ერთნაირ პირობებში არიან ჩაყენებული ეგრეთ წოდებული «სატელიტები», არასდროს რუსეთის იმპერიის საზღვრებში რომ არ შეღიოდენ, ის ერები, რუსეთის იმპერიას რომ გამოეყვენ და საკუთარი სახელმწიფოები ჰქონდათ მოწყობილი სანამ საბჭოთა კავშირი იმათ ძალით შემოიერთებდა, და ის ერებიც, თავის თავს განსაკუთრებულ ერებათ რომ აღიარებენ და მოითხოვენ საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას თანახმათ საერთაშორისო დემოკრატიის პრინციპებისა.

ყველა ამათ აერთებს მისწრაფება რუსეთის უღლიდან განთავისუფლების და დამოუკიდებლათ არსებობის. ეს აძლიერებს საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგე ბანაკს, რადგან მოსკოვის ხელისუფლება ერთნაირის სისასტიკით ეპყრობა ყველა მათ. ვინც მეტის თუ ნაკლების უფლებით—იურიდიულ თვალსაზრისით—მოინდომებს შეებრძოლოს რუსეთის ბატონობას თავის ქვეყანაში. ასეთია ბუნება დიქტატურის: ხმალს რომ იშიშვლებს, იგი დამზოგავი არავისი აღარ არის, სანამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ხმალს ხელიდან ძალით არ გააგდებინებენ. მისი მოქმედების ხაზი მთლიანი და ნათელია; აქ დავას სწყვეტს არა უფლება, არამედ ძალთა განწყობილება. ეს გარემოება უკარნახებს დაჩაგრულ ერებსაც მოქმედების მთლიან ხაზს და ამ ხაზზე მოქმედების ყოფაქცევას. სამწუხაროთ, საბჭოთა კავშირის პირობებში ეს ძალიან რთული და ძნელი მოსახერხებელია.

გაფანტულნი 22 მილიონ კვად. კილომეტრის მანძილზე პატარა ერები, რომელთაც ცალკე-ცალკე აუარებელი სისხლი დაღვარეს ეროვნულ თავისუფლებისთვის ბრძოლაში ერთი ფრონტით, გაერთიანებულ ძალით ვერ გამოსულან დამპყრობელთა წინააღმდეგ. «სივრცე» ხელსუწყობდა მუდამ რუსეთს გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი ხელს უწყობს ახლა «შინაურ მტრის» წინააღმდეგ ბრძოლაშიც. საბჭოთა კავშირის უკმაყოფილო ერთა ერთად და ერთსულოვნათ გამოსვლა კი აუცილებელი პირობაა მტრის დასამარცხებლათ. ამისთვის, თუ ზოგან ადგილობრივი გარემოებანი ან ეროვნული თავისებურება ხელს უშლის ერების ერთსულოვნათ მოქმედებას, დაცული უნდა იქმნეს თითოეული ერისთვის მისი თავისებურება და ყველა ერი ავტონომიურათ უნდა აწარმოებდეს მოსამზადებელ მუშაობას იმ გადამწყვეტ მომენტისთვის, როცა შეტევა მტრის წინააღმდეგ შეერთებული ძალით უნდა მოხდეს; სულერთია იქნება ეს გადამწყვეტი მომენტი დიპლომატთა და პოლიტიკოსთა განაჩენით თუ ხმლით ხელში გამოტანილი. ძალებს დაზოგვა სჭირია, ამისთვის კი მათი თავისმოყრაა საჭირო. დაჩაგრულ ერთა ცალკე-ცალკე გამოსვლა მტერს უადვილებს საქმეს; ასეთ გამოსვლებში ყოველთვის საბჭოთა კავშირის ხელისუფლება გამოდის გამარჯვებული. ამის მრავალი მაგალითი ვიხილეთ მას შემდეგ, რაც ტირანია გამეფდა დედამიწის ამ კუთხეში. აი ახლა ჰუნგრეთი.

ვინ, რომელი ერი დაიკვეხნის, რომ შესძლებს მეტის თავგანწირულებით გამოსვლას საბრძოლველათ თავისუფლებისთვის და უცხოელთა ბატონობის აღმოსაფხვრელათ თავის ქვეყანაში, ვინემ ეს შეძლო ჰუნგრეთის ერმა. ჰუნგრელ პატრიოტების ბრძოლა—ბრძოლა ჭეშმარიტათ გმირული—განსაკუთრებით გასაგებია ჩვენთვის, რადგან ჰუნგრეთში დატრიალდა ახლა იგივე ტრაღედია, ადგილი რომ ჰქონდა საქართველოში 1924 წლის აგვისტოში და სექტემბერში (ჩვენში ნაკლები ზომით, მაგრამ ძლიერ საგრძნობი მაინც, როგორც უფრო პატარა ერისთვის). როგორც ქართველ მებრძოლთა დასახმარებლათ იმ დროს, ისე ჰუნგრელთა დასახმარებლათ ახლა, ხელი არავის გაუნძრევია (დიდი მორალური გამხნევების და თანაგრძნობის გარდა) თითქოს აჯანყებულთა გამარჯვება—ქართველების 1924 წ., ჰუნგრელთა 1956 წ.— და სხვა მრავალთა ამ ხნის განმავლობაში—სარგებლობას მოუტანდა მხოლოდ აჯანყებულ ერებს და არ შეანგრევდა ძალოვნათ იმ კედელს, სალტეთ რომ ერტყმის საბჭოთა კავშირში ყველა იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობინადრე ერებს. არ გამოეხმაურენ საგრძნობლათ საქმით (და არა სიტყვით) ჰუნგრელ მებრძოლებს არა მარტო დიდნი, თითქოს დარაჯათ რომ უდგანან ქვეყანაზე სამართლიანობის დამყარებას, არამედ არ გამოეხმაურენ მის მდგომარეობაში ჩაყენებული სხვა ერებიც. ყველას ექნება თავის გასამართლებელი საბუთი და მოსაზრება, ხოლო უმთავრესი იმათგან მაინც ის იქნება, რომ ჰუნგრეთის გამოსვლა სპონტანიური იყო, სხვებისთვის უეცარი, და მას სხვები მომზადებული ვერ დახვდენ. ჭრილობა მეტად ახალია და ღრმა, რომ-მსჯელობა მაზედ გულგრილათ შეიძლებოდეს. ხოლო ფაქტი მაინც ფაქტია და ასეთ ფაქტებიდან ისე, როგორც ყოველივე ზემო ნათქვამთან დაკავშირებით, ჩვენთვის საყურადღებო ზოგიერთი დასკვნა ახლაც უნდა გამოვიტანოთ:

ა) მოსკოვის ტირანიის თავიდან მოსაშორებლათ საბჭოთა კავშირში მობინავე ერები მსხვერპლს არ ერიდებიან. მათ თავგანწირვას ერთი მთავარი გარემოება ასულდგმულებს: ესაა აშკარა სულისკვეთება ერებისა თავისუფლათ და დამოუკიდებლათ არსებობისთვის. ჩვენს საუკუნეში ამ უდიდეს მამოძრავებელ ძალის გვერდის ავლა, ან შეგნებულათ თუ შეუგნებლათ იმის მივიწყება, აბრკოლებს და მუდამ დააბრკოლებს, მთელ მსოფლიოში, თავისუფალ რეჟიმის დამყარებას.

ბ) საერთო მიზნის მისაღწევათ ყველამ უნდა გაიღოს მხვერპლი, გარნა ძალების ისეთი დაზოგვით, რომ უმთავრესი საშვალება ბრძოლის მაინც ეროვნულ ფარგლებში უნდა ინახებოდეს, რადგან ამ ხაზზე წყდება საბოლოო გამარჯვების ბედი. სხვაფერ რომ ვსთქვათ: ყურადღებას საერთო ფრონტის მოსამზადებლათ არ უნდა შეეწიროს ზრუნვა საკუთარ ქვეყნის მომზადებისთვის, რადგან მხოლოდ საკუთარ წიაღში მომზადებულ ერებს შეუძლიათ სხვა ერებთან საერთო ფრონტში გამოიჩინონ მეტი თავგანწირვა საერთო საქმისთვის. აქედან გამომდინარეობს ის დებულებაც, რომ ჩვენი ბედი მარტოთ მარტო არც ერთ სხვა ერის ბედს, რამდენათაც ძლიერი უნდა იყოს იგი, არ უნდა დავუკავშიროთ.

გ) საერთო ბრძოლის პროცესში, რათა ეს ბრძოლა უფრო ნაყოფიერი იქმნეს, ყველა უნდა სარგებლობდეს ბრძოლის იმ იარაღით, რომელსაც იგი შეჩვეულია და იმ მდგომარეობით და იმის იმ დასაბუთებით, რომელსაც იგი თავისთვის უფრო მოხერხებულათ გრძნობს. საჭიროა მტრის წინააღმდეგ ხანდახან ცალკე-ცალკე სიარული, ხოლო აუცილებელია ერთად იმისთვის დარტყმა. სხვებთან კავშირი არ უნდა ნიშნავდეს არც იმას, რომ საკუთარ ქვეყნის განთავისუფლება შესაძლებელია სხვისი იმედით. საფუძველი საერთო გამარჯვების თითოეული ერის ყოფაქცევაში და მომზადებაში პოულობს დასაყრდნობ ძალას; თითოეული ერი კი მეტის გააფთრებით ებრძვის მტერს თავის ქვეყანაში, საკუთარ ოჯახის და საკუთარ თავშესაფარის დასაცავათ; ამ სახით იგი საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმესაც უკეთესად ემსახურება. არასდროს ისეთის თავგანწირვით, რომლის მაგალითი მან მოგვცა, ჰუნგრელი ერი ვერ იბრძოლებდა, რომ მას შეგნებული არ ჰქონოდა, რომ თავისუფლება ერის მისი საკუთარი ძალების ბრძოლის გარეშე არ მოიპოება. შეერთებული სხვებთან ეროვნული ძალები შესძლებენ გადამწყვეტ მომენტში გამარჯვების მოპოებას ნაკლების მსხვერპლით და ერის სასიცოცხლო ძალების მეტის დაზოგვით.

ასეთი უნდა იყოს ჩვენი მოქმედების ხაზი და ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირში მოქცეულ თუ იმის გარეშე მცხოვრებ უცხო თავისუფალ ერებთან ურთიერთობაში.

* * *

როგორი უნდა იყოს ეს ურთიერთობა შინაურ ძალებთან დამოკიდებულებაში?

თუ საქართველოს აქვს უპირატესობა უფლებრივ ნიადაგზე საბჭოთა კავშირში შემავალ ზოგ სხვა ერებთან შედარებით, მას აქვს ზოგი უპირატესობა ამათთან შედარებით აგრედვე შინაურ საქმეების მოწესრიგებისთვის. სახელდობ: ყოველ ერს განთავისუფლების შემდეგ დაუდგება შინაურ რეჟიმის საკითხი, ხშირად ძალიან მწვავეთ. აქედანვე სჩანს სხვების ზოგიერთ ემიგრაციაში სხვადასხვა მიმართულება და ზრუნვა ამა თუ იმ რეჟიმის გამარჯვებისთვის საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ. დამოუკიდებელ საქართველოს ეს ძირითადი საკითხი არ აქვს მოსაწესრიგებელი; მან მოასწრო არა მხოლოდ ფაქტიურათ, არამედ ფორმალურადაც, დამყარება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის, შეიმუშავა—რა ამ სახელმწიფოს ძირითადი კანონები ანუ საქართველოს რესპუბლიკის კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა. ეს კონსტიტუცია დამტკიცებული იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ. აღსდგება საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო? ამ შემთხვევაში აღსდგება იგი თავის საკუთარ კონსტიტუციით. დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ, თუ საჭიროთ იქნება მიჩნეული, ყველას შეუძლია იზრუნოს კონსტიტუციაში შესწორებების შეტანისთვის; ხოლო ამისთვის, ვიმეორებ, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ერი იყოს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი და ს უ ვ ე რ ე ნ ი. რა გვაქვს, მაშასადამე, აქ, უცხოეთში, ურთიერთ შორის სადავო და გამთიშავი? მით უფრო, რომ არც ერთ პარტიას არ შეუძლია ემიგრაციაში, სხვის ქვეყანაში შეხიზნულს დიდი ხანია, წამოაყენოს თავის მოქმედების საგნად კონკრეტულ სოციალურ რეფორმების საკითხები; კაცმა არ იცის ახლა, თუ რა სოციალურ განწყობილებას დასტოვებს თავის ნანგრევებზე საბჭოთა წესწყობილება.

ამიტომ დავა სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის ემიგრაციაში, როცა ეს დავა სცილდება საქმიან აზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა გაცვლა-გამოცვლას და შეურიგებელ ხასიათს იღებს, უმიზნო არის, უნიადაგოა, გაუგებარი და ჩვენი საქმისთვის საერთოდ მავნე. მომაბეზრებელი შეიქმნა ამის შესახებ ლაპარაკი, რადგან ამ ლაპარაკს ნაყოფი არ მოაქვს შესაფერისი. ყველა პატრიოტს უფლება აქვს იმუშაოს სამშობლოს განთავისუფლებისთვის იმ მეთოდით, იმ საშვალებით და იმ პოზიციიდან, საიდანაც მას ეს ბრძოლა უფრო მოეხერხება; ხოლო უნდა იმუშაოს ისე, რომ სხვების მუშაობას ამ მხრივ არ ავნოს, მით უფრო რომ საქმე შეეხება თუმცა დიდს, მაგრამ იმავე დროს ძალიან მარტივ საკითხს: საქართველოს საკითხის პროპაგანდას უცხოეთში და საქართველოს უფლებების დაცვას საერთაშორისო სამსჯავროს წინაშე, როცა ამის დრო დადგება; შებრძოლება იმ სიცრუისა და ტრაბახის წინააღმდეგ, რომლით მტერი სარგებლობს უცხოეთში სიმპატიის მოპოვებას. ჩვენ ისე მცირე-რიცხოვანი ვართ ემიგრაციაში, რომ მეტის გაკეთება სამშობლოსთვის აქედან არ შეგვიძლია; ხოლო ესეც დიდი საქმე იქნება, თუ ამისთვის პირნათლათ ვიმუშავებთ. ნურც ერთი პოლიტიკური დაჯგუფება ნუ იფიქრებს—ეს თავის «გაპამპულება» იქნებოდა—რომ მისი საკუთარი ძალები საკმარისია ამ მუშაობისთვის და მით უფრო საქართველოს განთავისუფლებისთვის. თუ საჭიროთ მიგვაჩნია ჩვენი საქმისთვის მეგობრები სხვა ერებშიც ვძებნოთ, უფრო ლოლიკური არ არის ეს ძებნა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ოჯახში ამოვწუროთ?..

და ასე, ჩვენ ისევ ემიგრაციაში მუდამ დღის-წესრიგში დასმულს და მუდამ განუხორციელებელ საკითხს მივადექით: საჭიროა შეერთებული ძალებით მუშაობა!.. ჩვენ ვიცით, რომ უფრო ხშირად ეს უდაბნოში გადასროლილი სიტყვებია. რა გაეწყობა? ჟეშმარიტების ზარი არ უნდა დადუმდეს, სანამ იგი არ შემოიკრებს ყველა მათ, ვისი გული, მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა, მაინც ძგერს ერთობისთვის. ყველა დაჯგუფებაში მოიპოვებიან ასეთი პიროვნებანი, უმრავლესობა, რადგან ისინი ემყარებიან ჩვენს წარსულსაც და ანგარიშს უწევენ იმას, რასაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წარსული ჩვენ გვეუბნება, ყველას: პოლიტიკური დაჯგუფებანი ჩვენში მუდამ ერთად დგებოდენ პოლიტიკურ გართულების ხანაში. ასე, დამოუკიდებელ საქართველოს პირველი მთავრობა კოალიციური იყო, თუმცა სოციალდემოკრატიულ პარტიას იმ დროს ჩვენში ხელისუფლების განაწილებისთვის ვერავინ შეედავებოდა; ემიგრაციაშიც ეროვნული მთავრობის ირგვლივ შემოკრებილი იყო კოალიცია სხვა და სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენელების; პოლიტიკურ დაჯგუფებათა კოალიციას წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული «დამკომი»-ც (დამოუკიდებლობის კომიტეტი) და სხვ. იდეა არ მომკვდარა, დაიხოცენ მხოლოდ სხვა და სხვა დაჯგუფებათა უფრო დიდი წარმომადგენლები; შევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლებთ ავმაღლდეთ ამ საქმეში მათ პოზიციამდის? აი საკითხი.

პოლიტიკურ ემიგრაციამ დასტოვა სამშობლო იმის განთავისუფლებისთვის ბრძოლის საერთო დროშით. ამ დროშას უნდა ჩამოვაცილოთ ყოველივე ის, რაც იმას არ ეხება არც გარეშე ერებთან დამოკიდებულებაში, არც შინაურ ურთიერთობაში. ყველა უნდა დავრჩეთ თავის პოლიტიკურ წონის, უფლების და მდგომარეობის ფარგლებში და შევზღუდოთ ჩვენი საქმიანობა თავდაპირველ და შეურყეველ მიზნით. სახელდობ: ხელი შევუწყოთ აქედან საქართველოს განთავისუფლების საქმეს და ვიმოქმედოთ მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის. ფუჭია და უნიადაგო ზრუნვა ემიგრაციაში პოლიტიკურ თუ პარტიულ წონის შეძენისთვის. პოლიტიკურ თუ პარტიულ კარიერის გასაკეთებლათ. ამ მიზნის მისაღწევათ იხარჯება უდიდესი ენერგია ზოგიერთ პოლიტიკურ-პარტიულ დაჯგუფებების და ამისთვის საჭირო ხდება იმათთვის პარტიულ დაჯგუფებების თუ ცალკე პიროვნებათა წარსულის ჯიჯგნა, ერთი-მეორის დამცირება, ერთი-მეორისადმი უნდობლობა: თითქოს არჩევნების წინ ვიყოთ დამდგარი და ერთი მეორის წინააღმდეგ პარლამენტში ჰეგემონიისთვის ვიბრძოდეთ! მაშინაც კი დაუშვებელი იქნებოდა ერთი-მეორისთვის სხვადასხვანაირი არასაკადრისი და დაუშვებელი ეტიკეტების მიკერება—მაგარ სიტყვებს ჩვენ ადვილათ ვხმაროობთ—მხოლოდ იმისთვის, რომ ამ მოღვაწეთა მიდგომა საკითხისადმი და დაფასება ზოგიერთ პოლიტიკურ მოვლენების არ შეეფერება მათ მოწინააღმდეგეთა შეხედულებას. ვინც ამ გზას მიყვება, მით უფრო ემიგრაციაში, იგი შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ხიდსა სტეხს საერთო მოქმედებისთვის. სწორეთ ესაა საუკეთესო საშვალება მთლიანობის დამთურგვნელი, საშუალება გამთიშავი მაშინ, როცა მებრძოლნი, განსაკუთრებით ჩვენს პირობებში, ყოველგან უნდა დაეძებდენ გამაერთიანებელ ძალებს და საშვალებებს... უკვე ვიმეორებ იმას, რაც არაერთხელ გვითქვამს აქ და უთქვამს სხვებსაც თავის პრესაში. ახლა, დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ ჩვენი ნათქვამიდან.

* * *

ჩვენი პოლიტიკური მოქმედების საგანი იყო და რჩება:

ა) საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ერებთან მეგობრული განწყობილება, მიზნობრივი შეთანხმებანი, და კავკასიის ერებთა აუცილებელი კავშირიც. კონკრეტულ შემთხვევებში სხვებთან ერთად გამოსვლა საერთო მტრის წინააღმდეგ, ხოლო ავტონომიურ პირობებში დაგროვილ ძალით, საკუთარ სახით და მაღლა ამართულ საქართველოს განთავისუფლების და დამოუკიდებლობის დროშით.

ჩვენი საკითხის საერთოდ და ჩვენ მიერ მოპოებულ უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებების გარკვევა კერძოთ ყველა თავისუფალ სახელმწიფოების წინაშე და მათი საზოგადოებრივი აზრის მომზადება, რათა მხარი დაუჭიროონ საქართველოს თავის უფლებებში აღდგენას, როცა საბჭოთა კავშირის მიერ ძალით დაკავებულ ქვეყნების საკითხი დადგება.

ბ) შინაურ საქმეებში, ანუ სხვადასხვა ქართველ პოლიტიკურ დაჯგუფებათა ურთიერთობაში, ჩვენ თავი არ უნდა გავანებოთ ცდას საერთო სამოქმედო პროგრამაზე გაერთიანებისთვის და ყოველ შემთხვევაში მთავარ მნიშვნელობის საკითხებში შეთანხმებულათ გამოსვლისთვის. ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა, რომ ბოლო მოეღოს ერთი-მეორის უპატივცემლოთ და ხშირად, მე ვიტყვი, უდიერადაც მოხსენებას. ჰეტი ნდობა ერთი-მეორისადმი; მივიწყება, დროებით მაინც, იმ საკითხების, რომელნიც გვაცილებენ (უფრო წარსულში) ერთი-მეორეს. და წინ წამოყენება იმ საკითხების, რომელნიც გვაერთიანებენ—აი რა გვჭირია ჩვენ საერთო მუშაობისთვის ნიადაგის მოსამზადებლათ. არავითარი კავშირი ნაციონალური ძალების, არავითარი კოორდინაცია მათი მოქმედების არ არის მოსახერხებელი იქ, სადაც ერთი მოკავშირე მეორეს არ ენდობა, ერთს მეორის «ჰეგემონიის» ეშინია და იმის ჩასაქოლავათ წინასწარ ქვას იდებს უბეში.

დგება მომენტი, როცა ჩვენი პოლიტიკურ მოქმედების ასპარეზზე წამოყენებულ საკითხებს მეტის ყურადღებით და ძალიან სერიოზულათ უნდა მოვეპყრათ, უფრო, ვინემ ოდესმე, ვინემ უბრალო საგანს მჭერმეტყველებისა და პოლემიკის უნარის გამოსაჩენათ.

ვ. ვ.

ნოემბერი, 1956 წ.

რევოლიუცია უნგრეთში.

მთელი მსოფლიო გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს თუ რა ხდება უნგრეთში. ბრძოლა თავისუფლებისათვის თანდათან მწვავდება. და დღესაც ისე ერთსულოვანათ გრძელდება, როგორც დაიწყო. სამწუხაროთ, ჩვენ გაზეთი არ გვქონდა რომ ჩვენი მკითხველებისათვის საშვალება მიგვეცა თვალ-ყური ედევნებია ბრძოლის პროცესისათვის თანამიმდევრობით. ამიტომ იძულებული ვართ მომხდარ მრავალ საყურადღებო ამბებიდან გავაცნოთ მას მხოლოდ ზოგიერთები და ისიც ძლიერ შემოკლებით. მართალია, ეს ცნობები უკვე გამოქვეყნებულია თავისუფალ პრესაში, მაგრამ მათზე ერთხელ კიდევ ყურადღების შეჩერება არ მიგვაჩნია ზედმეტად. ეს ცნობები ჩვენს მკითხველს ბევრ რამეს ეტყვის და საჭიროების დროს შეიძლება გაკვეთილათაც გამოადგეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიგიერ დაიწყო რევოლიუცია?

პირველი ალი რევოლიუციისა ავარდა სამშაბათს, 23 ოქტომბერს, სტუდენტების მრავალრიცხოვან მიტინგზე. მიტინგი გაიმართა პოლიტეხნიკუმის შენობაში. იქ შემუშავებული იქნა მოთხოვნილებანი მთავრობისათვის წარსადგენათ. მოთხოვნილებანი შესდგებოდა 14 მუხლისაგან. მოთხოვნილებანი მეტად ზომიერი ხასიათის იყო. არც ერთი ისეთი მოთხოვნა, რომელსაც შეეძლო გამოეწვია რაიმე პოლიტიკური გართულება. მეორე დღეს შუადღისას ისევ შესდგა იქვე მიტინგი. დაესწრო დაახლოვებით 1500 სტუდენტი, მათ შორის სამხედრო-ტექნიკური აკადემიის კურსანტები. მიტინგი სწრაფათ გაიზარდა. მას შეემატა სტუდენტები ქალაქის ყველა რაიონებიდან. მიტინგის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა პოლკოვნიკი, რომელიც ასწავლიდა ინსტიტუტში სამხედრო საგნებს. პრეზიდიუმში კი არჩეული იქნა ცნობილი ორი პროფესორი და სტუდენტთა წარმომადგენელნი. თავმჯდომარემ გახსნა მიტინგი და განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი არ იძლევა დემონსტრაციის გამართვის ნებასო. სამის ნახევარზე მიტინგმა პროფესორებისგან და სტუდენტებისგან შემდგარი დელეგაცია აირჩია და შინაგან საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკება დაავალა. ნახევარი საათის შემდეგ დელეგაცია დაბრუნდა და მიტინგს აცნობდა, რომ მინისტრი დემონსტრაციის გამართვის ნებას არ იძლევა. ცოტა ხნის შემდეგ მიტინგზე მინისტრის ამხანაგი მოვიდა და მიტინგს ჩვეულებრივი უშინაარსო ფრაზებით მიმართა. მიტინგმა სტვენა და ყვირილი დაიწყო. მინისტრი სწრაფად გაბრუნდა. ვილაცამ წინადადება შეიტანა გადასინჯულიყო შემუშავებული მოთხოვნილებანი. წინადადება მიღებულ იქნა და თუ დასაწყისში შემუშავებული მოთხოვნანი ზომიერი ხასიათის იყო, ახლა მას მეტად მკაცრი ხასიათი მიეცა. პირველი ხუთი მუხლი მაინც პოლიტიკურ პროგრამათ იქცა. აი ეს მუხლები: 1. მოწვევა კომუნისტური პარტიის ყრილობის ახალი ხელმძღვანელობის ასარჩევად; 2. გადადგომა პრემიერ-მინისტრ ხეგედიშის და მის ნაცვლად იმრე ნადეს დანიშვნა; 3. გაგრძელება მეგობრობის საბჭოთა რუსეთთან, მაგრამ ახალ საფუძვლებზე; 4. გაყვანა უნგრეთიდან საბჭოთა ჯარების; 5. თავისუფალი არჩევნები. ხუთივე ეს მოთხოვნილება ერთხმად იქნა მიღებული. ამის შემდეგ თავმჯდომარემ დასვა საკითხი—გაიმართოს დემონსტრაცია თუ არა? მიტინგმა ერთმხად დაადგინა, რომ დემონსტრაცია გაიმართოს. სამნახევარ საათზე დემონსტრაცია უკვე მდინარე დუნაის «ნაბერეჟნაიაზე» გაემართა. ამ წუთიდან დემონსტრაციის შემადგენლობა სრულიად შეიცვალა. სხვადასხვა ადგილებიდან მას ახალ-ახალი ჯგუფები შეემატენ. და თუ დასაწყისში დემონსტრაციას მიზნათ რეჟიმის რეფორმა ქონდა, ახლა ის რეჟიმის დასამხობ ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათ იქცა. ამ სტიქიური პროცესის შეჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. დემონსტრაციის მსვლელობაში გამოირკვა, რომ საექიმო ფაკულტეტის სტუდენტობა თავის მხრით მეორე ნაპირზე ახდენდა დემონსტრაციას. გადაწყდა მასთან შეერთება, მაგრამ ძნელი გახდა, რადგან პარლამენტის წინა მოედანი ისე გაიჭედა ხალხით, რომ გავლა შეუძლებელი შეიქნა. დემონსტრაცია პატარ-პატარა ჯგუფებათ დანაწილდა, ზოგი გაეშურენ შესაერთებლათ, ზოგი ხალხში შეერია, ზოგი ქალაქის სხვა კუთხეებში გაეშურა სადემონსტრაციოთ, ერთი ნაწილი უნივერსიტეტში დაბრუნდა. ამ წუთიდან დემონსტრაციამ ყოველგვარი ორგანიზაციული წყობა დაჰკარგა. მოედანზე შეკრებილ ხალხში ვიღაცამ ნადეს გამოსვლა მოითხოვა. ხალხი მას აჰყვა. ისიც გამოჩნდა, მარა მისმა ფრთხილმა სიტყვამ ხალხი არ დააკმაყოფილა. მართალია ხალხს თავი ზომიერად ეჭირა, ერიდებოდა ისეთ რამეს, რასაც შეეძლო ჯარების ჩარევა გამოეწვია, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა და საქმე რევოლიუციისაკენ მიდიოდა. ვიღაცა შედგა მაღლობ ადგილზე და დაიძახა, რომ რადიო-სადგურის შენობა გავსებულია შინაგანი პოლიციის (ჩეკა) ჯარებით და რომ სადგურის უფროსმა უარი უთხრა სტუდენტებს მათი მოთხოვნილების რადიოთი გადაცემაზეო. მოხდა სრული გადატეხა. საპროტესტო დემონსტრაცია აჯანყებათ იქცა. რადიო-სადგურის წინ მოედანი შემკრებ პუნქტათ იქცა. ყველა ცალკეული დემონსტრაცია აქეთ გაემართა. ამ დროს ქარხნებში მუშაობა დასრულდა და მთელი მუშები აქეთ გაეშურენ. მოდიოდენ ქვეითად, მოდიოდენ საბარგო მანქანებით, ველოსიპეტებით. ბუდაპესტის ყველა რაიონში გაისმა ერთად-ერთი ხმა: «რადიოსაკენ». საკმარისი გახდა ამ სიტყვის გაგონება, რომ ყველა მარკის მანქანა ჩერდებოდა, შეავსებდენ მანქანას ხალხით და რადიოსაკენ მიაქროლებოენ. მოედანი ხალხს ველარ იტევდა, ის ახლომახლო ქუჩებში დაგუბაშთა. საღამოს ათ საათზე ხალხი რადიოსადგურის შენობის ჩაკეტილ კარებს მიაწვა. კარები ჩამოვარდა. შიგმყოფი პოლიცია (ჩეკა) ხალხს ცრემლის მგვრელი გაზებით შეხვდა. აღელებული ხალხი აღარაფერს ყურადღებას არ აქცევდა და წინ იწევდა. პოლიციამ ახლა თოფის კონდახებით დაიწყო შიგ შეჭრილი ხალხის ცემა. ცოტა ხნის შემდეგ სროლა დაიწყო. ხალხი არც ამას შეუშინდა და რითაც შეეძლო პოლიციას წინააღმდეგობას უწევდა. ეს იყო საშინელება—უიარაღო და უდანაშაულო ხალხი, გულგანგმირული იატაკზე ცვიოდა. დემონსტრაციის ზოგიერთ წევრებს გარეთ იარაღი აღმოაჩნდა და შიგნით სროლას გარედმიდან სროლით უპასუხეს. სროლის ხმაზე ქალაქის მეორე ნაწილიდან მოიჭრა ორი დიდი სამხედრო მანქანა გავსილი ჯარისკაცებით, მაგრამ არც ჯარისკაცმა და არც ოფიცერმა თავის ხალხს თოფი არ ესროლა. პირიქით, ცოტა ხნის შემდეგ ჯარისკაცებმა ყვე-

30269

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა თავის თოფები დემონსტრანტებს დაურიგეს. ბრძოლა გაცხოველდა. მეორე დღეს, თერთმეტ საათზე, დემონსტრანტებმა რადიო-სადგურის შენობა აიღეს, თუმცა ბრძოლის გამო ის თითქმის განადგურებული იყო. ახლა კი რევოლიუცია სერიოზულათ დაიწყო. მრავალ ადგილას სისხლის მგვრელი შეტაკებები მოხდა. ამ რიგად სტუდენტების მშვიდობიანი დემონსტრაცია სულ მოკლე ხანში მასიურ აჯანყებათ იქცა. აჯანყებულები ჩასაფრდენ სახლებში, სარდაფებში, ორმოებში და განაგრძობდენ სროლას. უნგრეთის ჯარებმა პირველ მომენტში ნეიტრალობა დაიწყეს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ოთხშაბათს დილით, მთავრობა დარწმუნდა, რომ უნგრეთის ჯარი არავითარ სურვილს არ იჩენდა შებრძოლებოდა ხალხს. მან მოიწვია საბჭოთა ჯარები. ამ წუთიდან რევოლიუცია რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლიდან, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე გადავიდა და მთელ უნგრეთს მოედო ლოზუნგი—განდევნა რუსეთის ჯარების და აღდგენა უნგრეთის დამოუკიდებლობის. ამ დროს აჯანყებულებს ჯერ კიდევ არ ქონდათ თავის რადიო. მხოლოდ ოთხშაბათ საღამოს შესძლეს თავის რადიოს მოწყობა და ქვეყანას აცნობეს როგორც თავის მოთხოვნანი, ისე საერთო მდგომარეობა. აჯანყებამ მთელ უნგრეთში ცხოველი გამოძახილი პოვა და მთელი ქვეყანა რევოლიუციის ცეცხლში გაეხვია. ბრძოლა ქუჩებში აღარ შეჩერებულა. ბრძოლაში ჩაება ყველა—დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი. პატარა გოგოები და ბავშები უშიშრად აგდებდენ ბოთლებით ბენზინს ტანკებში და აფეთქებდენ. შოულობდენ თოფებს, მოქონდათ მანქანებით, არიგებდენ ყველგან. საღამოს მთავრობის წინააღმდეგობა შესუსტდა, რევოლიუცია თანდათან გაძლიერდა. ბრძოლაში დამარცხებული მთავრობა შეეცადა გამარჯვებულთა მორალურათ დამარცხებას—ისინი «კონტრ-რევოლიუციონერებათ» გამოაცხადა.

ვინ მეთაურობს რევოლიუციას?

რევოლიუციამ პირველსავე დღიდან დაქსაქსა და გააუქმა უნგრეთის კომუნისტური პარტია, რომელიც აქამდე ასე მედიდურათ დიქტატორობდა. პირველსავე შეტევაზე გაქრა ის, როგორც საპნის ბუშტი, როგორც იტყვიან. პირველი დღის უბრალო დემონსტრაციამ ისე გახვრიტა მათი ტყუილებით სავსე გუდა, რომ ხელათ დაიჩუტა. განდევნილი თავის ხალხისაგან ის უცხო ქვეყნის ტანკებს ამოეფარა. რევოლიუციის მეთაურობა «მუშათა საბჭოებმა» აიღო ხელში და მას მთელი უნგრეთი დაემორჩილა.

რას წარმოადგენს ეს «მუშათა საბჭოები»?

პირველი «მუშათა საბჭო» შესდგა რევოლიუციის მესამე დღეს, 26 ოქტომბერს, ბუდაპესტის ერთ-ერთ ქარხანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს, 27 ოქტომბერს, ბუდაპესტის ყველა ქარხნებში შესდგა ასეთივე საბჭოები. 28 ოქტომბერს ნადეს მთავრობამ განაცხადა, რომ ის ადასტურებს ასეთი საბჭოების შედგენას და სცნობს მათ ლეგალობას. კომუნ. პარტიამ და მთავრობამ მომხდარი ფაქტი დაადასტურა. სტიქიურათ წარმოშობილი საბჭოები ლეგალურ ორგანოთ იქცენ. აი ეს საბჭოებია, რომ დღეს ასეთ დიდ როლს თამაშობენ. 4 ნოემბერს, როგორც ვიცით, საბჭოთა ჯარები ხელმეორეთ შემოვიდა უნგრეთში. გააუქმა რევოლიუციის პროცესში წარმოშობილი ნადეს მთავრობა (მეორე შემადგენლობა) და შექმნეს კადარის მთავრობა. 13 ნოემბერს ბუდაპესტში შესდგა მუშათა საბჭოების საერთო კონფერენცია, რომელმაც აირჩია «ცენტრალური მუშათა საბჭო», რომელსაც დაეკისრა ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა. «ცენ. საბჭომ» მეორე დღესვე კადარის მთავრობას შემდეგი მოთხოვნილება წარუდგინა:

1. დაბრუნება ნადეს მთავრობის.

2. გაძევება სახელმწიფო სამსახურიდან ჩეკას ყველა ძველი თანამშრომლებისა და გარანტია, რომ ახალი პოლიცია არ იქნება გამოყენებული პოლიტიკური მიზნით.

3. განთავისუფლება თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლთა.

4. გარანტია იმის რომ რადიო და გაზეთები გადასცემენ მხოლოდ სიმართლეს.

5. მოსპობა ერთპარტიანი სისტემის და მოხდენა თავისუფალი არჩევნების.

მოლაპარაკების პროცესში «მუშათა საბჭო» თავის ორგანიზაციების გამაგრებას შეუდგა. 21 ნოემბერს მან მოიწვია საერთო კონფერენცია. ამ კონფერენციას უნდა დასწრებოდენ ოლქების მუშ. საბჭოების დელეგატები. კონფერენციის მიზანი იყო «მუშათა პარლამენტის» შექმნა. საბჭოთა ჯარების უფროსმა კონფერენციის მოწვევა აკძალა. ამის საპასუხოთ «ცენ. მუშათა საბჭომ» 48 საათით საერთო გაფიცვა გამოაცხადა. გაიფიცა მთელი უნგრეთის მუშები. ამავე დღეს «ცენ. მუშ. საბჭომ» გაგზავნა ახალი დელეგაცია მთავრობასთან და მას დამატებითი ხუთ მუხლიანი მოთხოვნა წარუდგინა. ამ დამატებითი მუხლებში მთავარი იყო ერთი ისა, რომ მთავრობას მუშათა ინტერესების ერთად-ერთ წარმომადგენლად ეცნო «ცენ. მუშ. საბჭო» და მეორე—უკვე წარდგენილ მოთხოვნებზე პასუხი მიეცა არა უგვიანეს 24 ნოემბრისა. 22 ნოემბერს კადარის მთავრობამ განაცხადა, რომ ის ცნობს ბუდაპესტის «ცენ. მუშ. საბჭოს» და მზათაა დაიწყოს მასთან მოლაპარაკება. მაგრამ, სანამ მოლაპარაკება დაიწყებოდა, საბჭოთა ჯარების სარდლობამ მდგომარეობა მეტად გაართულა იმით, რომ მისი ბრძანებით დაიჭირეს მთელი რიგი წევრებისა, როგორც «ცენ. მუშ. საბჭოსი», ისე საოლქო საბჭოების. მიუხედავათ ამისა, მთავრობა იძულებული გახდა წასულიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ რიგ დათმობებზე, როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურ-ნეო დარგში. მაგრამ უკვე გვიანი იყო. დათმობებმა საბჭოები არ დააკმაყოფილა. ბრძოლა განახლდა.

«ცენ. მუშათა საბჭოებს» გვერდში ამოუდგა ე. წ. «უნგრეთის ინტელიგენციის კომიტეტი». რევოლიუციის პირველსავე დღეს, 28 ოქტომბერს, ბუდაპესტის უნივერსიტეტში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი უნგრეთის ინტელიგენციისა. მიტინგში მონაწილეობა მიიღო მწერალთა, ჟურნალისტთა, ხელოვანთა, მუსიკოსთა, უნივერსიტეტის პროფესორებისა, სტუდენტთა, თეატრის და კინოს არტისტების და დრამატურგების კავშირების წევრებმა. არჩეულ იქნა «რევ. კომიტეტი», რომელშიდაც შევიდენ ყველა კავშირებისაგან უფრო ცნობილი და ავტორიტეტული პირები. მიტინგმა მიიღო ვრცელი რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის სწერია: «მადიარებო! დღეიდან ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაში ეკუთვნის უნგრეთის ხალხს. სახალხო არმია, მუშათა საბჭოები და სოფლები უნდა გაერთიანდენ და შეერთებული ძალით შევქნათ ჩვენი დამოუკიდებელი, თავისუფალი და დემოკრატიული ცხოვრება». კომიტეტმა შეიმუშავა ცხრა მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნილება, რომელიც წარუდგინა მთავრობას. ეს მოთხოვნილებანი შემდეგ ნადეს მთავრობამ მიიღო და კიდევაც გაატარებდა, რომ საბჭოთა ტანკებს გადატრიალება არ მოეხდინა. ამავე კომიტეტმა გამოსცა მანიფესტი, სადაც მოითხოვდა საბჭოთა ჯარების დაუყონებლივ გაყვანას და მის ნაცვლათ ონიუს ჯარების შემოყვანას. კომიტეტი გულისწყრომბით აცხადებდა, რომ კადარის მთავრობამ ცილი დასწამა რევოლიუციონერებს, როცა განაცხადა, თითქოს რევოლიუციონერები ძველი რეჟიმის რესტავრაციას ითხოვენ. ჩვენ ვითხოვთ განსაზოგადოებრივობას წარმოების უმთავრესი დარგებისას, მაგრამ ვითხოვთ ამავე დროს კერძო ინიციატივის დაშვებას წვრილ წარმოებაში. კოლხოზებიც შეიძლება დარჩეს, მაგრამ იმ პირობით, თუ ის შესდგება ნებაყოფლობით იმ პირებისაგან, რომლებიც შიგ შევლენ. და ბოლოს მანიფესტი ითხოვს კადარის მთავრობის გადადგომას და ძალაუფლების გადაცემას სანდო და ავტორიტეტიან პირზე, რომელიც შეიმუშავებს წესებს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების გასაახლებლათ და მოამზადებს საყოველთაო და ფარულ არჩევნებს.

ამ რიგად, აღსდგა მთელი ერი თოფით ხელში. აღსდგა მარტოდ-მარტო, ყოველგვარი გარეშე დახმარებისა. ვინ მისცა მათ იარაღი? ერთი მხრით უნგრელმა ჯარისკაცებმა, მეორე მხრით ხელში ჩაიგდეს ყველა ის იარაღები, რომლებიც კომუნისტური პარტიის რაზმებს ქონდათ სხვადასხვა დაწესებულებებში. ამ თოფებით გარბოდენ ისინი ბარიკადებზე და გარბოდენ არა იმიტომ, რომ მათ უცხოელი აგენტები აქეზებდენ, როგორც ამას ასე უსირცხვილოთ სწერენ საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთები, არამედ ისინი მიჰყავდა იქ მათ სიყვარულს სამშობლოსადმი და უაღრეს სიძულვილს რეჟიმისადმი, რომელიც თავისთავს ციინიკურათ სოციალიზმს უწოდებს. და აი აქ აღმოჩნდა უსაზღვრო სიცხადით თუ როგორ სძულს ხალხს კომუნისტური პარტია და მისი რეჟიმი.

კომუნისტური ხელისუფლების და საბჭოთა ჯარების მოქმედებამ მთელ მსოფლიოში უაღრესი აღშფოთება გამოიწვია. ყველა ქვეყნებში თანაგრძნობის მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა. ბევრ ქვეყნებში დაარბიეს და ზოგან დასწვეს კიდეც, კომ. პარტიების ცენტ. კომიტეტების და გაზეთების რედაქციები. აქა-იქ სისხლისმღვრელი შეტაკებაც მოხდა. შესდგა სასწრაფოთ სხვადასხვა დამხმარე ორგანოები, ამუშავდა ყველგან წითელი ჯვარი, გაიგზავნა მედიკამენტები და სხვა საჭირო ნივთები ასეული ტონობით, გადაიდო მთავრობების მიერ დიდი თანხები, დაიწყეს ფულის შეგროვება საზოგადოებაშიც, გაინაწილეს ლტოლვილები, აუარებელმა ხალხმა განაცხადა სურვილი იშვილონ რევოლიუციაში დაღუპულთა ობლები. ერთი სიტყვით თავისუფალი ქვეყნები ფეხზე დადგა, თანაგრძნობამ და დახმარებამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა.

თავისუფლებისათვის მებრძოლთა ველურათ დახოცვამ თვით კომუნისტური პარტიებიც კი დაარღვია. ყველა ქვეყნებში ათასობით გავიდენ პარტიიდან და საჯაროთ პარტიული ბილეთები დახიეს. მარტო ავსტრიის პარტიიდან 5.000 წევრი გავიდა. ჩამოშორდა მრავალი თანამგრძნობი ინტელიგენტებიც. ბევრ ადგილას მოხდა როგორც პარტიაში, ისე რედაქციებში ფორმალური განხეთქილება. ყველა ქვეყნებში პორტის მუშებმა უარი განაცხადეს საბჭოთა გემების დაცლა-დატვირთვაზე. ინდონეზიის პორტში გემი «მაქსიმ გორკი» მთელი კვირა იდგა წყალის მისაღებათ, მაგრამ ბოიკოტის გამო ვერ მიიღო და უწყლოთ წავიდა. გემი «ვიაჩესლავ მოლოტოვი» ათი დღე იდგა კოპენჰაგენში და ვერ შესძლო დაცლა. იქიდან წავიდა ინგლისში, რომ დაეცალა და ახალი ტვირთი მიეღო, მაგრამ არც იქ მიეკარა ვინმე და უკან გაბრუნდა თავის ტვირთით. კომუნისტური პარტიიდან მასიურმა გასვლამ ისეთი ფართე ხასიათი მიიღო, რომ მათი ხელმძღვანელობა მეტად დააფიქრა, მაგრამ უნგრეთში სიმხეცით მათ ისე დაჰკარგეს ყველა ქვეყანაში ნდობა, რომ ძალიან დიდი ხანი გავა, სანამ ფართე საზოგადოების ყურადღებას ოდნავ მაინც დაიმსახურებდენ.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ და მისმა გაზეთებმა უნგრეთის რევოლიუცია «კონტრ-რევოლიუციათ» მონათლეს და სუსლოვმა უსირცხვილოთ განაცხადა. «მსოფლიოს პროგრესიული ძალები მოხარულია უნგრეთში კონტრ-რევოლიუციის დამარცხებით»-ო, ამან გამოიწვია მთელი რიგი სახელგანთქმული მწერლების საჯარო განცხადებანი და საგანგებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვები. სანიმუშოთ მოვიყვან აქ მხოლოდ ორიოდეს. ცნობილი ისპანელი მწერალი მილარიაგი თავის მიმართვაში სწერს: «მე ვარ ისპანელი ლტოლვილი და ანტი-ფაშისტი. მოგმართავ თქვენ საბჭოთა ხალხებს და გეუბნებით, რომ თქვენი მთავრობა და პარტიული ხელმძღვანელები გატყუებენ თქვენ უნგრეთის შესახებ. ისინი თქვენ გეუბნებიან, რომ საბჭოთა ტანკები იცავენ უნგრეთის მშრომლებს და უნგრეთის ხალხს ფაშისტებისაგან! საზიზღარი ტყუილია! უნგრეთის აჯანყებას არაფერი საერთო არ აქვს ფაშიზმთან. ესაა აჯანყება მუშების, სტუდენტების, ჯარისკაცების, ინტელიგენტების, გლეხების და მთელი უნგრეთის ხალხის საბჭოთა ტირანიის და მისი ერთი მუჭა უნგრელი ლაქიების წინააღმდეგ. ტანკები ხოცავენ მუშებს, ქალებს და ბავშვებს ქუჩებზე, რომ ამით დაამკვიდრონ ხალხის მიერ შეძულებული მთავრობა. ყოველგვარ ადამიანობას მოკლებული საბჭოთა მთავრობა არცხვენს რუსეთის ხალხის სახელს. ის ხოცავს უნგრელ ახალგაზრდობას იმიტომ, რომ მათ უნდათ თავისუფლება. ათი-ათასობით ლტოლვილები გამორბიან ავსტრიაში, შვილები უდედ-მამოთ, ცოლები უქმროთ, სწყევლიან საბჭოთა ტირანიას. მთელ მსოფლიოში გაისმის აღშფოთების ხმა საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ და ამ აღშფოთებულთა პირველ რიგში არიან მუშები, რომლებიც უარს ამბობენ საბჭოთა გემების დაცლა-დატვირთვაზე.

საბჭოთა ხალხებო! ნუ მისცემთ ნებას საბჭოთა მთავრობას თქვენი სახელით დახოცოს თავისუფლების მოყვარული უნგრელები!

საბჭოთა მუშებო, გლეხებო, ინტელიგენტებო! შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები, უკუაგდეთ სიცრუე, რომლითაც თქვენ გკვებავენ დღითი-დღე. არ დაუჯეროთ, რომ თითქოს უნგრეთის ხალხმა თვითონ მოიყვანა თავის ქვეყანაში საბჭოთა ჯარები! ეს ტყუილია! პირიქით, უნგრეთის მუშები აცხადებენ, რომ ისინი დაიწყებენ მუშაობას, როგორც კი წავლენ საბჭოთა ჯარები! არ დაუჯეროთ თითქოს უნგრეთში აჯანყდენ ფაშისტები. პირიქით, აჯანყებას ხელმძღვანელობენ სოციალისტი მუშები. არ დაუჯეროთ თითქოს აჯანყებაში ჩარეული იყვნენ ამერიკელები. ამერიკელები სრულიად არაფერ შუაშია, რადგან აჯანყებულნი ითხოვენ, რომ მათი ქვეყანა იყოს ნეიტრალური. არ დაუჯეროთ არაფერი თქვენს მთავრობას და პარტიას, რადგან რასაც ისინი ამბობენ ყველაფერი ტყვილია.

საბჭოთა ხალხებო! მოიგონეთ ის სახელოვანი მხედრები, რომლებმაც არ მოისურვეს გამხდარიყვენ უნგრეთის ხალხის ჯალათებათ!

დადექით ყველამ თავისუფლების მხარეზე!»

საბჭოთა ჯარების მოქმედება მოსკოვის ბრძანებით აღშფოთებას იწვევს იმათშიაც კი ვინც დღემდე მეგობრულათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო განწყობილი მათდამი. ინგლისის ცნობილი მწერალი პრისტლი სწერს: მე დიდი თანაგრძნობით ვიყავი გამსჭვალული საბჭოთა მთავრობისადმი. სამი თვე დავყავი იქ, დავწერე ბევრი, გამოვდიოდი კრებებზე მათ სასარგებლოთ, რაც ჩემი წიგნები გამოიცა საბჭოებში—ჰონორარი სულ იქ დაუტოვე წითელ ჯვარს. მაგრამ ამ უკანასკნელმა ამბებმა დამარწმუნა, რომ საბჭოთა მთავრობას არაფერი არ გააჩნია, გარდა ძალმომრეობისა და ტლანქი ძალისა. უნგრეთში ისე მოიქცენ, რომ მთელი მსოფლიო ააშფოთეს. დავრწმუნდი, რომ საბჭოთა მთავრობას სძულს მთელი მსოფლიო, სძულს თავის საკუთარი ხალხი, სძულთ ერთმანეთი. უყვართ მხოლოდ ძალაუფლება! უნდათ მხოლოდ ერთად-ერთი ძალაუფლება! და სხ. და სხ. შეგვეძლო კიდევ ბევრი ასეთი მიმართვა მოგვეყვანა, მაგრამ სამწუხაროთ ადგილი ნებას არ გვაძლევს.

როცა საბჭოთა მთავრობამ უნგრეთის ახალგაზრდობა «ფაშისტებათ» და «კონტრ-რევოლიუციონერებათ» მონათლა, უნგრეთის ახალგაზდობამ ამის საპასუხოთ ქალაქის კედლებზე ასეთი შინაარსის პლაკატი გააკრა: «ათი მილიონი კარდინალები, ბანკირები, მემამულენი და სხვა ფაშისტები იმალებიან ჩვენს ქვეყანაში. ისინი იმალებიან უმთავრესად მუშათა უბნებში. საბედნიეროთ ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდა ექვსი პატიოსანი პატრიოტი, რომლებმაც შეადგინეს კადარის მთავრობა»...

პლაკატები საერთოდ ძალიან გავრცელებულია. აი ზოგიერთი მათგანი: «ყოფილი არისტოკრატები, კარდინალები, გენერლები და სხვა მომხრენი ძველი რეჟიმისა, გადაცმულნი მუშების და გლეხების ტანსაცმელში, აწარმოებენ აგიტაციას კადარის და მისი მეგობრების წინააღმდეგ»... ანდა კიდევ: «დიდი თანხა მიეცემა იმათ, ვინც ათ მილიონ უნგრეთის ხალხში აღმოაჩენს კადარის მთავრობის თუგინდ ერთ მომხრეს»... კიდევ: «ეძებენ კანდიდატს უნგრეთის პრემიერ-მინისტრობაზე. წერა-კითხვის ცოდნა არაა საჭირო. კანდიდატმა უნდა იცოდეს მხოლოდ ხელის მოწერა იმ ქაღალდებზე, რომელსაც შეადგენენ სხვები. პოლიტიკური რწმენა საჭირო არაა. წინადადება უნდა გაეგზავნოს მოსკოვში ბულგანინს და ხრუშჩოვს»... კიდევ ერთი: «დაკარგულია ხალხის ნდობა. მნახველს სთხოვენ დააბრუნონ შემდეგი ადრესით: იანონ კადარი, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი. საბჭოთა ათი-ათასი ტანკების ქუჩა»...

ბუდაპესტის ერთ ქუჩის ბოლოზე აღმართული იყო ბულგარელი კომუნისტების მეთაურის ბრანძის დიდი ძეგლი. აქ ჩერდებოდა ტრამვაი. ძეგლს კისერზე თოკით ჩამოკიდეს დიდი პლაკატი, რომელზედაც ეწერა: «საბოლაო გაჩერება! აქ უნდა ჩამოხტეთ ყველანი ვაგონიდან»!

დღემდე ავსტრიაში გადმოვიდა ქალიან-ბავშვიანათ 160 ათასი ლტოლვილი. ავსტრიის ორ დიდ ბანაკში წითელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარმა მოახდინა ანკეტა ლტოლვილთა სოციალური შემადგენლობის გამოსარკვევათ. გამოირკვა, რომ 56 პროც. არიან სამრეწველო მუშები, 26 პროც. მაღალი ინტელიგენცია და 6 პროც.—სტუდენტობა.

თავგანწირული ბრძოლები გრძელდება. ის არც ისე მალე დათავდება. მაგრამ ერთი ბრძოლა კი დათავებულათ შეიძლება ჩაითვალოს. ესაა ბრძოლა კოლხოზების წინააღმდეგ. როგორც კი დაიწყო ბრძოლა, გლეხები იმ წამსვე შეუდგენ კოლხოზების ლიკვიდაციას. კოლხოზების შექმნას უნგრეთის კომუნისტურმა მთავრობამ მთელი ათი წელი მოანდომა. აჯანყებულმა გლეხობამ კი რამდენიმე დღეში გადასჭრა კოლხოზების საკითხი. 2.500 კოლხოზში მათ ვაინაწილეს კოლხოზების მთელი სამეურნეო მოწყობილებანი, წაიყვანეს თავიანთვის კოლხოზების ცხენები და პირუტყვნი. დანარჩენ კოლხოზებში მდგომარეობა უფრო რთულია. ეს კოლხოზებია, სადაც დასახლებულნი არიან ისინი, ვისაც წინეთ საკუთარი მიწა არ ქონდათ, ამიტომ არ შეუძლიათ მიატოვონ კოლხოზები და თავიანთ მიწებს დაუბრუნდენ. ამიტომ აქ არკვევენ--დასტოვონ კოოპერატიული დამუშავება, თუ მოახდინონ მიწების დაჭრა-დანაწილება. ზოგ კოლხოზებში კიდევ არც კაცებისათვის და არც პირუტყვისათვის კერძო ბინები არ არსებობს და ეს კიდევ უფრო ართულებს საქმეს. კოლხოზების ლიკვიდაციით გლეხობამ სახელმწიფოსაგან დამოკიდებულებაში თავი გაინთავისუფლა არა მხოლოდ ეკონომიურად, არამედ პოლიტიკურათაც.

4 დეკემბერს, სწორეთ ერთი თვის შემდეგ საბჭოთა ჯარების შემოსევისა, ბუდაპესტში გაიმართა არაჩვეულებრივი მანიფესტაცია უნგრელ ქალებისა. 30.000 ქალზე მეტი, ჩაცმულნი შავებში, შავი «ვუალებით», უნგრეთის ეროვნული დროშის წითელ-თეთრ-მწვანე ლენტებით, სამ-სამი თითო მწკრივში, გაემართა უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. თავწაკრულნი, საზამთრო პალტოებში, ხელში ხრიზანტემების ფერადი თაიგულებით და გვირგვინებით, ქალთა სამგლოვიარო დემონსტრაცია დინჯათ მიიმართებოდა დანიშნულ ადგილისაკენ. ბევრ მათგანს ხელში ჩვილი ბავშები ეჭირა. დემონსტრაცია ისეთი ძლიერი იყო, რომ მთავარ ქუჩებზე ყოველგვარი მოძრაობა შეწყდა. დემონსტრაციას საბჭოთა ჯარების ტანკები და ტყვიამფრქვევლები გადაუდგა და გზა გადაუჭრა. ქალები არ დაერიდენ და გასწიეს წინ. ჯარებმა ავტომატებით ქალების რაზმი მოედანისაკენ მირეკეს. ამ დროს ქალების წინა რაზმა ყვავილები და გვირგვინები ხელებით ზევით ასწიეს და ეროვნული ჰიმნი დაიწყეს. მათ აჰყვა ხალხით გაჭედილი მთელი მოედანი. ერთმა ქალმა რუსის ჯარებს დაუძახა: «ხომ ხედავთ იარაღი არ გვაქვს. ჩვენ მხოლოდ ყვავილები გვაქვს»-ო. სანახაობა ისე გრანდიოზული იყო, რომ ჯარისკაცები შეჩერდენ და წინსვლას აღარ უშლიდენ. მოედანზე 20 მეტი ტანკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდგა. ტანკები ახლა შეეცადენ ქალთა რაზმების უკან დახევას. ქალების რაზმი ერთი ტანკის გარშემო შეგროვდა და ეროვნული ჰიმნი დაიწყეს. მოვიდა საბჭოთა პოლკოვნიკი და ოფიცრებთან მცირე თათბირის შემდეგ ქალებს ნება დართო მისულიყვენ უცნობი ჯარისკაცის ძეგლთან, რომელიც აღარც კი ჩნდა ყვავილებში. ბევრი ქალი სტიროდა, აქ იყო უმეტესობა შეტაკებაში დახოცილთა ცოლები, დედები და დები.

დემონსტრაციის ბოლოს ქალებსა და საბჭოთა ჯარებს შორის მოხდა შეტაკება. ჯარებმა სროლა დაიწყეს. ერთ ადგილას ტანკის რუს ოფიცერთან მივიდა ახალგაზდა ქალი და სახეში მიაფურთხა. ოფიცერმა მოინდომა მისი დაჭერა, მაგრამ მოუსწრეს სხვა ქალებმა და გაანთავისუფლეს. მეორე ადგილას ერთი ქალი რუს გენერალს ჯიღით დაემუქრა. გენერალმა მას ხელი ჰკრა. მოცვივდენ სხვა ქალები და დაუწყეს გენერალს ცემა. გენერალმა იძრო ლევორველი, ქალები გაიქცენ. მათ დაედევნა ოთხი ჯარისკაცი და ესროლეს, მაგრამ დაიჭრა მხოლოდ ერთი ქალი ფეხში. დაჭერილია მრავალი ქალი, დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა გამოურკვეველია. ქალების დემონსტრაცია მეორე დღესაც გაგრძელდა.

უნგრეთის რევოლიუცია აშკარად მოწმობს, რომ ისტორიის ჩარხი აღარ ტრიალებს კრემლის სასარგებლოთ. მან პირი იბრუნა თავისუფლებისაკენ. ამ რევოლიუციამ საბჭოთა კომუნიზმი სასიკვდილოთ დასჭრა. ის ამ ჭრილობას ვერ გადაურჩება. ასე რომ ადვილათ შესაძლებელია უნგრეთში დაწყებული ბრძოლა—დასაწყისი გახდეს ახალი ისტორიული ეპოქის, ეპოქის ერისა და პიროვნების განთავისუფლების.

ბრძოლა გრძელდება...

გრ. ურატაძე.

«ქართული ეროვნული საბჭო»

ქალბატონ ანნა კეტლის.

პარიზი, 23.XI.1955

«უნგრელთა საარაკო მამაცობა და თავგანწირვის სული, ჩაქსოვილი თავისუფლებისა და ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რომელმაც სტიქიურათ იფეთქა—სწორეთ ერთი თვეა მას შემდეგ—ბუდაპესტში,—«ქართული ეროვნული საბჭო»-ს განცვიფრებას იწვევს.

ულრმესი მღელვარებით გამოეხმაურა თავისუფალი კაცობრიობა ამ, ისტორიულ მნიშვნელობის, ეროვნულ დრამას. განსაკუთრებული სიმწვავით განვიცდით მას ჩვენ, ქართველები: ჩვენს ქვეყანას, რომელიც გახდა პირველი მსხვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლი საბჭოთა იმპერიალიზმისა,—ხვდა მწარე ბედი პირველსავე გამოეცადა თავის თავზე ახალი მეთოდები მოსკოვის დიქტატურისა.

სულ ახლო წარსულშიაც, მიმდინარე წლის მარტის დღეებში ე. წ. «დესტალინიზაცია»-მ მისცა შემთხვევა ქართველ ერს კიდევ ერთხელ ახდილათ და საჯაროთ—მანიფესტაციებში გამოემჟღავნებია თავისი მტკიცე და ურყევი შეურიგებლობა დაუნდობელ უცხო ოკუპანტთან, რომელმაც მას მოსტაცა თავისუფლება და დამოუკიდებლობა,—ასეული და ასეული მსხვერპლი (მკვდრები და დაჭრილები), ათასეული პატრიოტი შორეულ ჩრდილო-აღმოსავლეთში გადასახლებული: ასეთია ბილანი ამ სპონტანურ აფეთქებისა. ვიგონებთ რა უკანასკნელ სისხლიან დღეებს ჩვენს სამშობლოში,—აქვე შევნიშნავთ, რომ ეს მანიფესტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ დრამატიულ ეპიზოდს ოკუპანტის წინააღმდეგ დაუცხრომელ წინააღმდეგობა-შებრძოლებაში.

სწორეთ ისე, როგორც უნგრეთში, საქართველოშიაც ახალგაზრდობა (სტუდენტობა და მშრომელთა ახალი თაობა) იღებს ინიციატივას ამ გამოსვლებში. ეს კი აშკარათ მოწმობს, რომ «დედამიწა ტრიალებს», მხოლოთ ბუნების კანონისა, და არა შეპილოვების სურვილის მიხედვით.

ეს უკანასკნელი ამბები ნათლათ უნდა ჰყოფდეს (კიდევ ერთხელ), რომ საკაცობრიო ცივილიზაცია და თავისუფლება პერმანენტულ საშიშროების ქვეშ იმყოფება.

რომ კაცობრიობამ თავიდან მოიშოროს უნივერსალური ბოროტება, რომლის ძირი კრემლში იმყოფება,—საჭიროა—აღმოსავლეთის «მონოლიტ»-ს, საგრძნობლათ დაბზარულს უკანასკნელ ამბებით და, განსაკუთრებით, უნგრეთის რევოლიუციით,—დაუპირდაპირდეს ერთიანი ფრონტი თავისუფლების სექტორისა მსოფლიოში, ერთიანი—თავისი კონცეფციით და ნებისყოფით, ერთიანი—შეგნებით და სულიერი განწყობილებით, რომ, თუ გარემოება მოითხოვს, თავისი—კერძო ინტერესი მსხვერპლათ მიიტანოს საერთო თავისუფლების საკურთხეველზე...

დასასრულ, ჩვენ მოკრძალებით ქედს ვიხრით უნგრელ სახელოვან პატრიოტების ნათელ ხსოვნის წინაშე.

მათ ჭეშმარიტათ დაიმსახურეს სამშობლო;

მათ დაიმსახურეს—თავისუფალი კაცობრიობა;

მათ დაიმსახურეს და ასახელეს თვით ადამიანი და მისი მოდგმა (le genre humain).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ჟორდანიას გარდაცვალების წლის თავზე.

ვდგევარ შენი საფლავის წინაშე. შენ მარტო ხარ. შენს გარშემო მარხია შენთვის უცნობნი შვილნი იმ ერის, ვინც შენ ლტოლვილობაში მასპინძლობა გაგიწია; უცხო ძალის მიერ უფლება აყრილ, დატყვევებულ შენს ერს თანაგრძნობა გამოუცხადა; შენთან ერთად მრავალ ქართველ პატრიოტ ემიგრანტს თავის ქვეყნის კარი გაუღო და მფარველობის კალთა გადააფარა.

მუდამ დიდი იყო შენი პატივისცემა ამ თავისუფლების მოყვარე ერისადმი, ვინც ერის და ხალხის თავისუფლების დროშა დიდი ხანია საქვეყნოთ ააფრიალა.

გიყურებ და ჩემი არსება ორათ არის გაყოფილი. ერთი ნაღვლით სავსე გულს ცრემლით უქარვებს მწუხარებას; მეორეს კიდევ არ სჯერა შენი სიკვდილი და ბურუსში გახვეული გონებით წუთიერათ თავს იტყუებს: უნდა რომ ეს შენს თავზე დატეხილი უბედურობა სიზმრათ იქცეს...

11 იანვარს, შენი ამა ქვეყნიდან განშორების დღეს, მეც მოველ შენს სანახავათ და გამოსათხოვებლათ. შენი სახლის წინ შენს პატივსაცემლათ მრავალ ქართველ პატრიოტებს მოეყარათ თავი. ყველას სევდის და ჭმუნვის კაეშანი გადაკროდათ სახეზე. სახლის კარი ღია იყო. მე ვისწრაფოდი შენი საწოლი ოთახისაკენ, სადაც არა ერთხელ ამოვსულვარ ლოგინში მწოლიარესთან ჩვენი ქვეყნის ავკარგზე საბაასოთ და სათათბიროთ, განახე საწოლში მდებარე გულხელ დაკრეფილი, სხვა ქვეყნათ წასასვლელათ გამზადებული. თავს გადგნენ შენი საყვარელი ასმათი და მისი ეთერი; მწუხარებით აღვსილნი, გულამოსკვნილნი, ჩუმი გოდებით რომ დაგსტიროდნენ.

მე ვეამბორე შენს გაციებულ ბრწყინვალე-ნათელ შუბლს, რომლის ქვეშაც დაფარული იყო შენი გონების და აზროვნების საუნჯე, რითაც შენი სიცოცხლის სამი მეოთხედი დრო შენს ხალხს და შენს ერს ასე დიდებულათ რომ ემსახურე.

საქართველოს მთელი მშრომელი ხალხის სახელით უსიტყვოთ გულში მადლობა გითხარი. შენც კარგათ უწყოდი, თუ რა დიდი, უსაზღვრო და მუდმივი იყო მათი შენდამი სიყვარული, ნდობა და პატივისცემა. ისტორიის ჩარხის ტრიალმა ისე მოაწყო, რომ მათ არ ეღირსათ 85 წლის მოხუცისათვის ოდნავ მოეზღოთ იმ დაუფასებელი, თავგანწირული საისტორიო ბრძოლების და მოღვაწეობისათვის, ამ 60 წლის განვლილ მანძილზე აწ მრავალ წამებულ შენის ხალხისთვის რომ აწარმოვე.

შენ დასტოვე ანდერძი, რომ შენმა პარტიამ მაგარ კუბოში ჩაგდოს, რათა შესაძლებელი გახდეს საქართველოში შენი წასვენება, რომ კვლავ ერთხელ კიდევ გიხილოს შენმა სამშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლომ. ადვილი იყო ჩვენთვის შენი ანდერძის შესრულება; ადვილი იქნება შენი წასვენება საქართველოში, რა ჩვენი ქვეყანა გადაიგდებს მონობის უღელს და შენი ერი კვლავ აღიდგენს თავის დაკარგულ და მტრისაგან გათელილ უფლებებს. რათ გინდოდა შენ ამ ანდერძის დატოვება? რომ შენს ცხედარს გაეხსენებინა ქართველი ხალხისათვის ის სასიქადულო გმირული განვლილი ხანა, ჩვენმა მშრომელმა ხალხმა და ჩვენმა ერმა შენის მეთაურობით ახალ საქართველოში ახალი ცხოვრების შესაქმნელათ რომ აწარმოვა?

დიახაც, ბევრია შენს შესახებ მოსაგონებელი და მისაბაძი. ყოველი შენი ნათქვამი, დაწერილი და ნამოქმედარი, როგორც ოქროს ძაწვზე ასხმული თვალ-მარგალიტი ისეა ყველა ეს აწმყო და მომავალი ჩვენი თაობისათვის, რის შესწავლა, შეთვისება და ახალ შექმნილ პირობებში მისი შეფარდებული გამოყენება საუკეთესო თავდები იქნება ჩვენი ეროვნული და ხალხური სწორი პოლიტიკის საწარმოებლათ.

გ. ერამე.

ჩემი პასუხი.

ეს წერილი პასუხია ბ. «რეა»-ს «საშინაო და საგარეო» მიმოხილვაზე (?!) (იხ. «საქ. დამ.» № 9) და საგანიც ამ უკანასკნელით განისაზღვრება, სახელდობრ: ა) ქართული ემიგრაციის გაერთიანება; ბ) «ქართულ ეროვნულ საბჭოს» ჯანმრთელობა (დიაგნოზი წერილის ავტორისა); გ) რუსი სოციალ-დემოკრატები; დ) პატრიოტიზმის გაკვეთილი.

პირველათ მიხდება ქართულ ემიგრანტულ პრესაში «გაკამათება»; ვერიდებოდი, მაგრამ იძულებული ვხდები, სიმართლის აღსადგენათ, სწორათ მიჩნეული ადათი დავარღვიო, ვინაიდან ვგრძნობ, ზოგი «საზღვრები გადალახულია». ბ. «რეა» კარგათ უნდა იცნობდეს ბ. რ. გაბაშვილს: ამ უკანასკნელთან მას ბევრი რამ უნდა აერთებდეს. ვინაიდან ბ. გ—ლი წერილში აღძრულ კითხვებთან განსაკუთრებულათ გადაბმულია, საკითხის გაშუქების გასაადვილებლათ ბ-ნ რ. გ—ლთან ერთგვარ «დიალოგით» დავკმაყოფილდეთ.

პირველი კითხვა: რა და ვინ უშლიდა ქართულ დემოკრატიულ ემიგრაციის მაქსიმალურათ თავის მოყრას? ამის საპასუხოთ მე შევეხები ერთ უკანასკნელ ცდას გაერთიანების სფეროში. ეს იყო 1955 წლის მიწურულში. «ქართ. ეროვნულ საბჭოს» მიერ არჩეული სათანადო კომისია ენერგიულათ, გულწრფელი სურვილით, შეუდგა დავალებულ მისიის შესრულებას. მოხდა მისი შეხვედრა ე. წ. «ქართ. პოლიტ. ცენტრი»-ს წარმომადგენლებთან. ყველასთვის სასიამოვნო იყო, რომ პირველი ეტაპი—საერთო დეკლარაციის გამომუშავება,—რომელშიდაც გარკვევით მოცემული უნდა ყოფილიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკისა და ტაქტიკის ხაზი, უმტკივნეულოთ იქნა განვლილი: წარმოდგენილი პროექტი «ურეზერვოთ» (როგორც იყო განცხადებული) იქმნა მიღებული ჩვენი მომავალი პარტნიორებისგან.

ამას მოჰყვა შეთანხმება მრავალ სხვა კითხვებზედაც, უმთავრესათ, ორგანიზაციული ხასიათისა. გადასაწყვეტი და სადაო დარჩა ორი საკითხი, რომელთა საბოლოო გარკვევა «ცენტრი»-ს დელეგატებთან, მეგობრების დავალებით, მე ვიკისრე. ამ მიზნით, კონტაქტის გაბმის პროცესში, რევაზ გ—დან მივიღე წინადადება ჩვენ-ორთა პირისპირ შეხვედრისა: თუ ეს შეხვედრა გამოიღებდა ნაყოფს,—ბ. რევაზი კისრულობდა, როგორც მან განმიცხადა, «მისიანების» დაჯერებას,—შეხვედრა სრული შეთანხმებით დასრულდა. სიტყვა ამის შემდეგ, ცხადია, ბ. რ—ს მეგობრებს ეკუთვნოდა, რომლებისგან ის ალბათ, დასტურს მოელოდა. მე კი ვიყავი პასუხის მოლოდინში. დრო და ჟამი გავიდა და ჩემი «interlecuteur»-რისაგან პასუხი ვერ მივიღე. დაბოლოს ისევ მეგობრების სურვილით, წერილი გავუგზავნე ბ. რევაზს, რომელშიდაც მოვაგონებდი ზემო მოთხრობილს.—აქაც გამოხმაურებას ვერ ველირსე. და აი, დაახლოებით, იმ ხანებში, საქართველოში დატრიალდა სისხლიანი ამბები,—გავიგეთ, რომ ჩვენთან მოლაპარაკებაში შემოსულნი გადაებენ სხვადასხვა «ჯგუფებს და პირებს» და... გაერთიანებული ფრონტით დაუპირდაპირდენ სოციალდემოკრატებს (ეროვნულ საბჭოს გვერდის ახვევით). თავის «აქცია»-ში დიდსულოვანება გამოიჩინეს და ჩვენთვის «თანასწორი ადგილი დაუტოვებიათ» («რეა»-ს გადმოცემით). ცხადია, ეს უცნაური «ვოლტ-ვასი» ამჟღავნებდა გარკვეულ პოლიტიკურ ზრახვებს. რეაქციაც შესაფერი იყო სოც.-დემოკრატების მხრივ. მე არ ვეხები იმ გარემოებას, რომ ის დრამატიული ეროვნული ამბავი, რომლის ასპარეზი თბილისი გახდა, მოითხოვდა სწრაფ რეაქციას, მაგრამ მასთანვე საკითხის სერიოზულ გარკვევა-შესწავლას, *რომ მოუფიქრებელი ნაბიჯით ემიგრაციის პასუხისმგებლობა* არ დამძიმებულიყო.

ასეთი იყო ეპილოგი გაერთიანების ცდისა, რომლის ინიციატივა «ქართულ ეროვნულ საბჭოს» ეკუთვნოდა. კარგი იქნება, ვფიქრობ, თუ რ. გ—შვილი კეთილ ინებებს და ეხლა მაინც გამოაქვეყნებს ჩემს წერილს და 10 თვის დაგვიანებით მაინც პასუხს გასცემს.

ბ) «ქართულ ეროვნულ საბჭოს» მაჯისცემა, ეტყობა, ინტერესს იწვევს. პასუხი მოკლე იქნება: «ქარ. ერ. საბ.» რეაქციები, ვფიქრობ, არც ისე მოდუნებულია, რომ რაიმე საშიშროება მოელოდეს, მიუხედავათ ყოველგვარ «კრიზისებისა». ყველა მნიშვნელოვანი მოვლენები—შინ და გარეთ—(ეხება ეს ერთა-შორის ურთიერთობას, კონფერენციებს და კონგრესებს თუ საერთოდ, ისეთ მოვლენებს, რომლებთანაც ჩვენი ერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედი გადაბმულია) უპასუხოთ არ დაუტოვებია. ზოგი რამ, საილლუსტრაციოთ აქ ჟურნალიდანაც, შეიძლება, მოსჩანდეს. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ განვლილი გზა საბჭოს საქმიანობისა მისი ბილანით მნიშვნელოვანი და საგულისხმოა: რადიო და ინსტიტუტი, რომელიც ქართულ საქმეს ღირსეულათ ემსახურება, ეროვნულ საბჭოს ენერგიულ მონაწილეობით და ინიციატივით ჩატარდა და დამკვიდრდა. ყოველ ქართველ პატრიოტს ეს საქმიანობა სიამოვნებას და კმაყოფილებას უნდა ანიჭებდეს. სამწუხაროთ, ვიწრო და დაავადებული პარტიზანული სული ამას ვერ ეთვისება და სწორეთ იმაზე ფიქრობს, როდის შეჩერდება ამ წამოწყების მაჯისცემა.

გ) რუს სოციალდემოკრატების ბანაკში ქვის გადასროლა ამ შემთხვევაში ჩემთვის სრულიათ გაუგებარია. იმ თავითვე, როცა ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი დაისვა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოში. ცნობილია, რომ, ინტერნაციონალის გზით, აღნიშნულმა ჯგუფმა სიმპატიასთან ერთად დახმარებაც კი აღმოუჩინეს ჩვენს დელეგაციას ჩხეიძე-წერეთელის მეთაურობით.

უკანასკნელათ, სახელდობრ, განვლილი ხუთი წლის მანძილზე *) არა ერთი ყოფილა შემთხვევა, სხვადასხვა ერთაშორისი შეხვედრების დროს, როცა თავისი სიმპატია და მეგობრული ერთგულება, მდგომარეობის სწორ გაგებაზე და შეგნებაზე დაყრდნობილი, აღნიშნულ ჯგუფს ახდილათ და საჯაროთ დაუმტკიცებია. მოგაგონებთ: 1) ვისბადენის კონფერენციაზე მათი წარმომადგენლის ინიციატივით მთელი რუსული სექტორი კონფერენციისა აღიარებს უდაოთ და ურეზერვოთ ჩვენი ერის უფლებას სუვერენობაზე და მის დამოუკიდებლობის ავტომატიურათ აღდგენაზე; 2) ეგევე სიტყვა-სიტყვით განმეორებული და დადასტურებული იქმნა მათ მიერ მიუნხენის კონფერენციაზე (1953 წ.), რომელსაც განსვენებული ევ. გეგეჭკორი თავმჯდომარეობდა და რაც აღნიშნულია კონფერენციის სტენოგრაფიულ ანგარიშებში. გაყინული მორალი უნდა გვქონდეს და გონება შექანჯალებული ვიყოთ ქართველი პატრიოტები, რომ ქართველი ერის უფლებათა ცნობისთვის ავტორთ ქვა ვესროლოთ და გავიძახოდეთ: ვიჯმნით ეშმაკისაგან!

რაც შეეხება საზოგადოთ «რუსული ფაქტორის» დაფასებას საერთო განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, ამ მხრივ საინტერესო იქნება გავიხსენოთ შემდეგი: 5 წლის წინ ბ. გაბაშვილი და მისი მეგობრები ურეზერვოთ შეუერთდენ დეკლარაციის პროექტს, რომელიც საფუძვლათ უნდა გამხდარიყო ემიგრაციის გაერთიანებისა **). ამ პროექტით მომავალ გაერ-

*) სწორეთ ამ ხანებში ვართ მოწმენი გაბაშვილის უცნაური «იერიშებისა!»

**) იხ. «მებრძოლი საქართველო» № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანებაში შემავალი ჯგუფები ივალებდენ გაებათ კავშირი საბჭოთა კავშირის ერთა ანტიბოლშევიკურ დემოკრატიულ ძალებთან ემიგრაციაში, მათ შორის, რუსულ დემოკრატიულ სექტორთან, რამდენათ ეს უკანასკნელი «უდაოთ აღიარებდა ქართველ ერის უფლებას თვით განაგოს თავისი ბედი» და საერთოდ კი, სდგას «ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე ურეზერვოთ». ეგევე იქნა არსებითად განმეორებული ზემოთ მოხსენებულ—1955 წლის—დეკლარაციაში, რასაც ისინი, როგორც იყო თქმული, აგრეთვე ურეზერვოთ შეუერთდენ.

სხვათა შორის, აქვე აღვნიშნავ, რომ ეს პოზიცია ქართული სექციისა სავსებითვე გაიზიარა «საბჭოთა კავშირის ერთა განმათავისუფლებელმა ლიგამ» (პარიზის ბლოკი) თავის კონფერენციებზე.

მაშ, რაშია საქმე! იქნებ, არის ახალი გარემოება, რომელიც გვიკარნახებს საკითხის გადასინჯვას? მაგ., უნგრეთის დიდი დრამისაგან გამომდინარე გაკვეთილის მიხედვით. ამაზე სიტყვა მივცეთ ერთ ახალგაზრდა მებრძოლ უნგრელ პატრიოტს, რომელიც მიმართავს ახალგაზრდობას საბჭოთა კავშირისა და აგრეთვე მის ორბიტში მოქცეულ სხვა ერებისას: «თუ ჩვენ ყველანი, თქვენ—საბჭოთა ახალგაზრდობა, ჩვენ—უნგრელთა და სხვა ერთა ახალგაზრდობა, მივცემთ ხელს ერთმანეთს(საერთო მოქმედებისთვის), ეს იქნება აღსასრული კომუნისტურ ოტოკრატიისა. უნგრეთის რევოლიუციის ექსპერიმენტი ამას ამტკიცებს» *). აი არსი იმ პოლიტიკისა, რომელიც მარტივათ და არა სრულათ გამოთქმული და მოცემული, რომელსაც შეუძლია გაუხსნას გზა ჩვენ ერისა და მის ბედში მყოფ ერთა თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

დ) პატრიოტიზმის გაკვეთილს ყველასგან არ მივიღებთ. მას არ მივიღებთ არც ბ-ნ გაბაშვილიდან, რომელსაც დაბეჯითებით კი ვურჩევდით—ერთხელ და სამუდამოთ თავი გაანებოს პრიმიტიულ მანევრებს და არა წესიერ «დივერსიას» სოც.-დემოკრატების მიმართ, აშენებულს დემაგოგიურ და ყალბ დაპირდაპირებაზე. დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყოველივე ცდა გარედან გათიშვის და აღრევის შეტანისა ჩვენს რიგებში, უნაყოფოთ ჩაივლის და მის ავტორს პოლიტიკურ და მორალურ კაპიტალს ვერ შესძენს—მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილ ლოიალობაზე დამყარებულ ურთიერთობაში შეიძლება გამოინახოს საერთო ენა...

მართლაც და, მე არ ვფიქრობ, რომ ქართულ წრეში მოიძებნებოდეს ისეთი გიჟი (ბ. «რეა»-ს გამოთქმით), რომელიც ფიქრობდეს და ოცნებობდეს სოც.-დემოკრატიის ძირის ამოგდებაზე საქართველოს სინამდვილიდან...

დასასრულ, მიუხედავათ მწარე ექსპერიმენტისა და მწარე

---

*) იხ. «Le Monde» 23—24. XII, 1956.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცდებისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ იმ წრეებში, რომლებსაც ძირი საქართველოდან მოჰყვება*) გულწრფელი და ძლიერი მისწრაფება ჯანსაღ «ერთობისკენ» არ ჩამქრალა. მინდა ვიფიქრო და ვიწამო კიდევაც, რომ უკანასკნელ მოვლენათა სინათლეზე ცხადყოფილი უნდა იყოს, რომ აღმოსავლეთის ტყვეობაში მყოფ ერთა თავისუფლება განუყოფელია და არსებობს ერთი მთავარი გზა და ხიდი, რომელსაც შეუძლია, საბოლოო ანგარიშში, ჩვენი ერი (მის ბედში მყოფ ერებთან ერთად) თავისუფლების ნაპირზე მიიყვანოს. მაშ, კიდევ ერთხელ, როგორც იყო თქმული, ვეცადოთ, ჩვენს მომდევნო და ახალ თაობასთან ერთად, თავის მოყრა ყველა სასიცოცხლო ეროვნულ ძალებისა ამ ისტორიით ნაჩვენებ გზაზე... ყოველივე კონსტრუქტიული და ღირსეული წამოწყება ამ მიმართულებით, საერთო სიმპატიასთან ერთად, ისტორიული მსჯავრითაც გამართლებული იქნება.

ნ. ციცგამე.

პარიზი, დეკემბერი 1956 წ.

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა.

«ძათი» პროკლამაცია და რეზოლიუცია.

«კამპანია» გრძელდება. ასპარეზი ოდნავ ფართოვდება და . . . მეც მივყვები.

იმ წრეს, რომელსაც ბ. გაბაშვილი ეკუთვნის, უცნაური ნერვიულობა დაეტყო. წონა-სწორობასაც ჰკარგავენ ამ ბოლო დროს და—შეგნებულათ თუ შეუგნებლათ—უპასუხისუხისმგებლო აქტებით ამძიმებენ პოლიტიკურ ემიგრაციის მდგომარეობას. ერთ-ერთი ნიმუში ასეთი მანიფესტაციისა გახლავთ «პროკლამაცია» და «რეზოლიუცია», რომლებსაც ხელს აწერს ახალშობილი «საკოორდინაციო ბიურო».—განა ჩვენი ქვეყნის მტრის წინააღმდეგ მოუმართავთ კალამი, ან კიდევ ჩვენი ერის ჭირ-ვარამზე და მის ტკივილებზე, შეიძლება, საქვეყნოთ ღაღადებდენ? სრულიადაც არა: მიზანში ამოუღიათ ორი დამსახურებული ეროვნული მოღვაწე: რ. არსენიძე, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი წევრი და ავტორი, განსვენებულ გ. გვაზავასთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა;—გრ. ურატაძე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და ხელის მოწმური 7 მაისის 1920 წლის ხელშეკრულებისა საბჭოთა რუსეთთან, რომლითაც უკანასკნელი საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა და ხელოვნდა. აქვე შევ-

---

*) მშობლიურ მიწა-წყალს ათეული და ათეული წლებით მოწყვეტილი, უცხო ნიადაგზე და უცხო გავლენით ნაკარნახევი პოლიტიკური ფორმაცია, პოლიტიკური ლოღიკითვე «raison d'être»-ს მოკლებული იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნავ, რომ ამ საერთაშორისო აქტით საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული ცნობა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოდან საგრძნობლათ გაადვილდა.

«საკოორდინაციო ბიუროს»-ს ვარჯიშობის საგანი გამხდარა მიუნხენის ინსტიტუტის მიერ გამოცემული გ. ურატაძის წიგნი. ჩვენ არ დაგვისახავს მიზნათ ამ წიგნის კრიტიკული განხილვა. საგანი ამ წერილისა შეგნებულათ შემოვფარგლეთ იმ უმაგალითო ბრალდებათა (და ცილისწამებათა) განხილვით, რომლებიც, საბოლოო ანგარიშში, სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ არის მიმართული.

აღნიშნულ მონოგრაფიაში განხილულ ეპოქას, როცა რევოლიუციის ცეცხლში იჭედებოდა ახალი, თავისუფალი საქართველო,—წინ უძღოდა მეფის აბსოლიუტიზმთან და იმპერიალიზმთან თავგანწირული ბრძოლები: მე-19 საუკუნის მიწურულში და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩვენი ერი ჩაბმული იყო ამ საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომლის პიროველ რიგში იდგნენ მისი ღირსეული შვილები. რუსეთის საიმპერიო «დუმა»-ს ტრიბუნიდან გაისმოდა მათი ძლიერი ხმა სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის. ადამიანის პიროვნება და მისი ღირსება, ჩაგრულ ერთა ბედი და უბედობა, მათი სამართლიანი ასპირაციები—აი, რა იყო საგანი და იარაღიც მათი შეუწყვეტელი იერიშებისა იმპერიალიზმის ბასტიონზე. აქ მზადდებოდა ნიადაგი ადამიანისა და ერთა ემანსიპაციისა.

ბოროტი სულით ნაკარნახევი ბოროტი ზრახვა თუ ათქმევინებს ადამიანს (იხ. მათი რეზოლიუცია) რომ ქართველი სოციალდემოკრატები ადამიანის თავისუფლებისა და ერთა თვითგამორკვევის დროშით *) თითქოს იმპერიასა და მის მოლიანობას ემსახურებოდნენ!?

როგორც იყო ზემოთ თქმული, სწორეთ რევოლიუციის წინა ეტაპი იყო ნამდვილი პროლოგი «ადამიანის და ერის ემანსიპაციისათვის».... და აი, როცა დრო და ჟამი დადგა, მთელი ერი, სპონტანეურათ, მასში ხანგრძლივათ დაგროვილი პათოსით და სულიერი აღტყინებით, 26 მაისის დროშის ქვეშ მოიყრის თავს დარაზმული. მკვდრეთით აღდგომილ საქართველოს მიმრქმევს, ერის მაშინდელ ხელმძღვანელობას, არაჩვეულებრივი გაბედულებით, ტაქტით და, მასთან, სახელმწიფოებრივ ინტუიციით და გამჭრიახობით, ეტაპიდან ეტაპზე სწრაფათ გადაჰყავს (დრო არ ითმენდა!) ეროვნული ხომალდი, და, გარდაუვალ სიძნელეთა ძლევით, ერს თავისუფლებისა და სუვერენობის ნაპირზე გაიყვანს. გადაშლილი ამ

*) ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს პრინციპი ქართველ სოციალდემოკრატების ინიციატივით და მოთხოვნით შეტანილ იქნა რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახით მაშინდელი სინამდვილის სურათი განცვიფრებასთან ერთად ეროვნულ სიამაყის გრძნობას უნდა იწვევდეს ყოველ ქართველ პატრიოტში.

უცხო—მეტათ ცნობილი—დასავლეთის პოლიტიკური მოღვაწენი ესტუმრენ იმ დროს ჩვენს ქვეყანას და ქართველი ლი ერის და მისი მეთაურობის შემოქმედების უნარი და სახელმწიფო ნიჭი ღირსეულათ დააფასეს, რაც, სახლში დაბრუნებისას, ამცნეს მთელ კულტურულ კაცობრიობას მისი ყურადღებისა და აქტიურ სიმპატიებისა ჩვენსკენ მოსაქცევათ. ეხლა კი გამოსულან ჩვენი «პატრიოტები» და «მსაჯულნი» «საკოორდინაციო ბიუროდან» და ისე გაკადნიერებულან რომ «სოც.-დემ.»-დან «ოტოკრიტიკას» მოითხოვენ: ბრწყინვალე ნაგვეთი ჩვენი ერის ახლო წარსულიდან, ბიულშევიკური მეთოდით, ჩვენი ხელითვე უნდათ წაშალონ! *)

ჩვენი პასუხი იქნება: ამ წარსულისა ჩვენ არ გვრცხვენია და არც გვეშინია! ჩვენი ერი, ღრმათ გვწამს, მით ამაყობს და კვლავაც სამართლიანათ იამაყებს...

სამაგიეროთ, გაოცებას კი იწვევს ის გარემოება, რომ, პატრიოტულ მანტიაში გახვეული კრიტიკოსები,—ერთი მხრივ, «სამარცხვინოთ» აცხადებენ ხელშეკრულებას, რომლითაც მტერს ხელიდან გამოსტაცეს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. მეორე მხრივ, კიდევ მეტ გაკვირებას იწვევს ის ფაქტი, რომ «პროკლამატორები» თვით დამოუკიდებლობის აქტსაც იწუნებენ, როცა მასში მოცემულ 1783 წლის ტრაქტატის **) სწორ დაფასებას და გაგებას, რაც სწორათვე გაგებული ერის ინტერესთან შეფარდებულ-შეთავსებულია (და რაც, სხვათა შორის, თითქმის სიტყვა-სიტყვით განმეორებულია გ. ურ—ძის მონოგრაფიაში) ერის თავმოყვარეობის დამამცერებელ და შეურაცხმყოფელათაც აცხადებენ (!!!)

ამრიგათ, გამიჯვნა (შეუგნებელი, მინდა ვიფიქრო) დამოუკიდებლობის აქტისგან (რომელიც ერთხმათ დადასტუ-

---

*) სტალინმა შექმნა სისტემა ისტორიის მეთოდიური და მიზან მომართული გაყალბებისა... სენი გადამდებია როგორც სჩანს, მაშინაც კი, როცა ჩვენ თითქოს შეიარაღებული უნდა ვიყოთ სათანადო იმმუნიტეტით. შთაბეჭდილებაა, თითქოს ქართველი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორია სურთ შესცვალონ მოთხრობით იმაზე, თუ როგორ და რა პირობებში ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე რომანტიკოსები, შპრეს და სენის ნაპირებზე, სევდიან ფიქრებში გახვეულნი, თავისებურათ ეროვნულ საქმიანობასაც ეწეოდნენ.

**) რაც შეეხება 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს, ამაზე, სხვათა შორის, გ. ურატაძის წიგნში (15 გვ.) შემდეგს ვკითხულობთ: ... «1801 წ. 12 სექტ., მთელი საქართველო ცალმხრივი აქტით, ე. ი. უბრალო მანიფესტით გამოცხადებული იქნა რუსეთის იმპერიის ნაწილათ...»

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული იყო დამფუძნებელ კრების მიერ და ხელმოწერილი ერის უფლება-მოსილ წარმომადგენელთაგან); გამიჯვნა აგრეთვე ერის სუვერენობის ცნობის აქტისაგან (როგორც ეს ზევით იყო ნაჩვენები), რომელიც ისტორიულათ უკვე გამართლებულია,—ყოველივე ეს რას უნდა მოასწავებდეს და ან რას უნდა ემსახურებოდეს?—უებარი იარაღი ჩვენი ერის განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ძვირფასი სამკაული ერმა უანდერძა თავის მებრძოლ შვილებს. ამ იარაღის, რომელიც ერის ენერგიით და სისხლით მოპოვებულ კაპიტალს წარმოადგენს, უკუგდება და შელახვა,—ხომ მორალურ განიარაღებას უნდა მოასწავებდეს?—რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ესა? რა უნდა იყოს მისი სახელი: ღალატი პატრიოტულ მოვალეობის მიმართ, თუ უგუნურება?! უპასუხისმგებლო სიმჩატით ჩვენს მოპირდაპირე თანამემამულეთ არ გაუსწორებთ ანგარიშს, ვინაიდან ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ამით კიდევ უფრო დავამძიმებდით ჩვენს არსებობას. «მათ» მაგალითს ვერ მივსდევთ: მეტ სიფაქიზეს და სიდინჯეს მოვითხოვთ ურთიერთობაში!—მაშ, არსება წამოწყებულ კამპანიისა ჯერ-ჯეროობით, შეიძლება, აუხსნელი და გაუგებარი რჩება...

ერთი კი ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ ის არის ნაყოფი მეტად დაავადებულ ატმოსფერის, რომლითაც უკანასკნელ ხანებში სუნთქავს ემიგრაცია და რაც მოითხოვს რადიკალურ საშვალებას გაჯანსაღებისათვის.

ნ. ცინცაძე.

იანვარი 1957.

იძულებითი პასუხი.

ამ დღეებში ქართველ ემიგრაციაში გავრცელდა რემინგტონზე დაბეჭდილი ფურცელი, რომელსაც ხელს აწერს «ქართულ ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრისა» და რაღაც «ქართულ პოლიტიკურ კავშირის» საკოორდინაციო ბიურო.

ეს მეორეთაა რომ ქართველ ემიგრაციაში ვრცელდება ასეთი ფურცელი. პირველი გავრცელდა, როცა ჩვენ თანამშრომლობა დავიწყეთ ამერიკ. კომიტეტთან და წარმომადგენელი გავგზავნეთ ვისბადენის ყრილობაზე. იმ ფურცელში მაშინ მთელ ჩვენს პარტიას აცხადებდენ მოღალატეთ და «მამულიშვილთ», როგორც ახლა, ისე მასშინ, ჩვენს წინააღმდეგ სალაშქროთ იწვევდენ.

ეს მეორე ფურცელი დაწერილია ჩემი წიგნის გამო, რომელიც ახლა ხან მიუნხენის სამეცნიერო ინსტიტუტმა გამოსცა. ჩემთან ერთად ფურცელი არ ინდობს არც ამხ. რ. არსენიძეს, რომელიც, როგორც ვიცით, ჩაბმულია ყოველდღიურ ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის დამპყრობელების წინააღმდეგ, და რომელსაც დახმარებისა და ხელის შეწყობის მაგიერ, ფურცლის ავტორები ზურგიდან ესხმიან თავს და მით, რა თქმა უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, დახმარებას უწევენ ჩვენი ქვეყნის მტრებს, შეგნებულად, თუ შეუგნებლად—ეს სულ ერთია.

ამ ფურცელს ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევდით, რასაკვირველია, თუ არა ის გარემოება, რომ წიგნი არ იყიდება, შოვნა ძნელია წასაკითხავად და ამის გამო შესაძლებელია ფურცლის ავტორებმა ზოგიერთები შეცდომაში შეიყვანოს. მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ იძულებული ვარ ამ ფურცლის გამო ორიოდე სიტყვა ვთქვათ.

ფურცლის «უებრო პატრიოტები» აუღელვებია ჩემი წიგნის ორ ადგილს. 1) მე ვწერ: «მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, საქართველო, შევიწროებული ოსმალო-სპარსეთისაგან, იძულებული გახდა ნებაყოფლობით შეერთებოდა რუსეთს საგანგებო ხელშეკრულებით (1783 წ. ტრაქტატი)» და სხ. ფურცლის ავტორები კი აცხადებენ: «სცრუობენ ავტორები, როდესაც ბოროტი, ანტი-ეროვნული განძრახვით იმეორებენ ჩვენი მტრების სიყალბეს, ვითომ საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს»-ო და სხ. ფურცლის ავტორებს, რომ ოდნავი წარმოდგენა მაინც ქონდეთ ჩვენი ქვეყნის ძველ ისტორიაზე, ამას არ იტყოდენ რასაკვირველია. არამც თუ ძველი, ეტყობა, გუშინდელი ამბავიც არ იციან, თორემ ეცოდინებოდათ რომ, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც იქვეა მოთავსებული ჩემს წიგნში, სწორედ ამ დებულებით იწყება. აი აქტის დებულება: «მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, შევიწროებული მტრებისაგან ყოველი მხრიდან, საქართველო ნება-ყოფლობით შეუერთდა რუსეთს, იმ პირობით, რომ რუსეთი დაიცავდა მას გარეშე მტრისაგან». ეს აქტი, როგორც ვიცით შემუშავებულია საგანგებო კომისიის მიერ ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ამ კომისიაში შედიოდა ყველა პარტიის წარმომადგენელი. ის წაკითხული და დამტკიცებული იყო ერთხმად ჯერ ეროვნული საბჭოს მიერ საქართველოში და შემდეგ დამფუძნებელი კრების მიერ. და აი ახლა გამოჩნდენ ვიღაცეები, რომლებიც თავის სახელისა და გვარის გამხელასაც კი ვერ ბედავენ და დამოუკიდებელი აქტის ამ დებულებას, რომელიც მე სიტყვა-სიტყვით გადმოვიტანე ჩემს წიგნში—«სიცრუეთ» და «მტრების სიყალბეთ» აცხადებენ! აი პატრიოტები!

2. 7 მაისის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში, სხვათა შორის, ნათქვამია: «რუსეთი თავის ნებით ხელს იღებს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც მას ეკუთვნოდა ქართველი ხალხის და მიწა-წყლის მიმართ». ფურცლის ავტორები ამას სადაოთ ხდიან და აცხადებენ: «რუსეთს არასოდეს «სუვერენული უფლებები» არც ქართველი ერისა და არც ქართული მიწა-წყლის მიმართ არ ქონია»-ო. ეს არის საკითხი საერთაშორისო უფლების და ამ ნიადაგზე ფურცლის ავტორებთან დავა—ეს იქნებოდა კედელზე ცერცვის შეყრა, როგორც იტყვიან. უფრო საინტერესო აქ ისაა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს ხელშეკრულება დადასტურებულია ერთხმად საქართველოს მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიერ;ხელ-შეკრულება, რომელიც ითვლება უდიდეს იურიდიულ დოკუმენტათ ჩვენს ბრძოლაში ჩვენი დამპყრობელების წინააღმდეგ, როგორც უცხოეთში, ისე შიგნით კავშირში, და რომელიც საფუძვლათ უდევს ყველა ჩვენს მემორანდუმებს და ნოტებს—დღემდე არავის გამოუცხადებია «სამარცხვინო ხელ-შეკრულებათ», გარდა ამ ფურცლის ავტორებისა. სხვა რომ არა იყოს რა—მარტო ეს არის საკმარისი იმის გამოსაცნობათ, თუ რა ჯურის პატრიოტებთან გვაქვს საქმე!

ფურცლის ავტორნი, ეტყობა, არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ მათ სიბრიყვეს ვინმე დაიჯერებს და პატარა პროვოკაციასაც მიმართავენ: «ურატაძე-არსენიძე თავის უფროსი ამხანაგების ნ. ჟორდანიას, ე. გეგეჭკორის, აკ. ჩხენკელის, კ. კანდელაკის და სხვათა ბრძოლებსაც თავის პანფლეტით ჩირქსა სცხებენ და აბათილებენ»-ო, აცხადებენ ისინი. მთელი ჩემი წიგნი სწორეთ ამ დასახელებული პირების მოღვაწეობას ეხება და როგორ შეიძლება, რომ მათი მოღვაწეობის აღწერამ მათი ბრძოლა «გააბათილოს» და «ჩირქი მოსცხოს»—ამის გამოცნობა მხოლოდ ფურცლის ავტორების, მართლადაც, ავადმყოფ გონებას თუ შეუძლია! პირიქით, სწორეთ ეს მათი ბრწყინვალე მოღვაწეობის დოკუმენტალური აღწერაა, რომ ფურცლის ავტორებს წონასწორობას უკარგავს, მოსვენებას არ აძლევს, გონებას უბნევს. ვერც უარყოფენ, არც უნდათ იცნონ და დაადასტურონ და მის გაქარწყლებას ჩვენი ლანძღვა-გინებით ლამობენ...

ფურცელი სავსეა უშვერი სიტყვებით მე და რ. არსენიძის მიმართ, მაგრამ ამაზე პასუხის გაცემა თავის დამცირებათ მიმაჩნია. საკმარისია ის, რომ ყველა იმათ უკლისად და ზედნადებით უბრუნებ მათ ზრდილობიან ავტორებს.

რაც შეეხება მათ მოწოდებას «მამულიშვილებისადმი», რომ «სასტიკად დაგმონ» და სხ.—არ გვგონია. ქართველი ემიგრაცია ისე დაეცეს, რომ ამ შავრაზმულ მოწოდებას აჰყვეს...

გრ. ურატაძე.

P. S. წერილი აწყობილი იყო, როცა ფურცლის ავტორებმა გამოსცეს რეზოლიუცია, სადაც სწერებენ, რომ სოც.-დემოკრატიას «არასდროს არ უნდოდა დამოუკიდებლობა და ეს დაამტკიცა გრ. ურატაძემ თავის წიგნითო». ცნობილია, რომ ქართველი ერის 80% იმ დროს ემხრობოდა სოციალ-დემოკრატიას და თუ ყველა ესენი წინააღმდეგი იყვენ დამოუკიდებლობის—როგორ მოხდა, რომ სწორეთ ამ სოციალ-დემოკრატიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და არა ამ რეზოლუციის მეტიჩარა ავტორებმა?

გ. უ.

რედაქციისაგან. ამავე საკითხზე გავრცელდა რემინგტონზე დაბეჭდილი ამხ. რ. არსენიძის ვრცელი პასუხი ფურცელის ავტორებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა კ ვ რ ი თ...

მოყვარე მტერი ყოვლისა
მტრისაგან უფრო მტერია.
შოთა.

აგერ ერთი ხანია, რაც პარიზის ქართველ სათვისტომოში, თითქმის არალეგარულად ხელიდან ხელში გადადის ე. წ. «ცნობის ფურცელი». ამ ხელნაწერ «ჟურნალში» მოთავსებულია სტატია ამ სათაურით: «ბ-ნ მაიორ კვიტაიშვილის მოხსენების შესახებ». ეს პამფლეტი ხელმოუწერელია, ალბათ კოლექტიურია». თუ პასუხია—ძლიერ გვიანაა! თითქმის ორი წელიწადი გავიდა მას აქეთ. აქ, უსახელო ავტორი თუ ავტორები ერთათ თხზავენ, ერთათ ჭორიკანობენ, ერთათ იგონებენ.

საქართველოს მთავრობის გადადგმულ ნაბიჯებზე კითხვას მისვამენ—რაც სრულებით არ ეხება ჩემ მოხსენებას, ვინაიდან ჩემი მოხსენება იყო წმინდა ტაქტიკურ-ოპერატიულ ჩარჩოებში, მაგრამ მათ სურთ მაინდამაინც ჩემი მოხსენება პოლიტიკურ ხაზზედ გადაიტანონ—ჩვენი ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელობას პატარა მუჯლუგუნი გაკრან.

ფრიად ძველი დაღეჭილი ამბავია. ეტყობათ ეს ბატონები გამოსულან მხედრის მოვალეობიდან და სავსებით ჩაფლულან პარტიულ და ჯგუფურ კინკლაობაში. «კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირი»-ო.

სახალხო გვარდიის ერთ-ერთ ნაწილის ჩემს ხელმძღვანელობას და მის ბრძოლას «საგმირო საქმეებათ» (ბრჭყალები ირონიაა—რასაკვირველია) აცხადებენ. სახალხო გვარდიის ხსენებით რომ ზოგიერთებს ნერვები ეშლებათ, ეს ცნობილია. «ფურცელისტებს» ერთს ვეტყვი: სადაც მე ვიყავი უფროსად, იმ ნაწილს ჩირქი არ მოცხებია და ყოველთვის თავის სიმაღლეზე იყო. ფოილოს ბრძოლის შესახებ, მე მოგიყევით ისე რაც წითლებმა თავის სამხედრო ჟურნალში დაწერეს. ეს ბრძოლა ჩვენი მხრიდან მე აწერილი მაქვს გაზ. «ბრძოლის ხმა» № 72. რომ ჩემი ნაწილი ფხიზლათ არ ყოფილიყო და ბრძოლის უნარი არ ქონოდა, 16 თებერ. 1921 წ. შუადღისას რუსების ხუთი ჯავშნიანი მატარებელი და მისი სადესანტო ნაწილები და სატანკო რაზმი № 2 შიგ თბილისში შევარდებოდენ. რომ შაგალის ხიდი აფეთქებულიყო და იქვე მდგომ მუდმივ ჯარის ნაწილებს ბრძოლის უნარი გამოეჩინა, მაშინ ბორჩალოში სამხედრო ოპერაციები ჩვენ სასარგებლოთ დატრიალდებოდა; რომ ჩვენი ჯარი სწორათ ყოფილიყო დაჯგუფებული და ქონოდა სათანადო მართვა ბრძოლის დროს, ჩვენ ძალებს შეეძლო გაეჩერებია მტერი ორ კვირაზე მეტი, დაეღალა და დაექანცა (20.000 ქართველი—ცეცხლით ძლიერი და 35.000 რუსი)—შესაძლებელია მტერი უკანაც წასულიყო და ყველა ეს შეტაკება გამოეცხადებიათ «სანაპირო ინციდენტათ». სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველო დამარცხდა ბორჩალოში, ამით ჩაიფუშა ჩვენი სამხედრო გეგმა—მზადება მტრის პირველ შემოტევის დასამარცხებლად. ეს იყო ერის დიდი ტრაგედია—ჩვენი უბედურობა...

ერთ ჩემ ოპონენტს ჩემ მოხსენებაზე «ცნობის ფურცელი»-ს რედაქციიდან ყოფილ იუნკერს ბ-ნ ვ. ბაქრაძეს ნერვები აეშალა, გზას გადაუხვია, ჩემ მოხსენებას პოლიტიკური ჩოხა ჩააცვა და გამოსთქვა: «ბოლოს და ბოლოს ეს ომი რაზედაც თქვენ ლაპარაკობთ იყო, ორი წითელ დროშის ბრძოლა ბოლშევიკების დამენშევიკების, სადაც მენშევიკები დამარცხდაო»... კომენტარიები ზედმეტია. ჩვენ ეროვნულ კატასტროფას ბ. ბაქრაძე ფერების ბრძოლად სთვლის, ავტორები მიკიჟინებენ გენერლებს აკრიტიკებს მაიორიო! მაგრამ სადღაა საღი მცნება, როდესაც «იუნკერი» (საქართველოს მასშტაბში) საქართველოს მთავრობას და მის მინისტრებს აკრიტიკებდეს. აქაც «კუმ ფეხი გამოყო»-ს ისტორიაა ძალაში.

ჩემ მოხსენებაში მე ღენ. ოდიშელიძეს და ი. გედევანიშვილის ბიოგრაფიების შესახებ არაფერი მითქვამს, ავტორები კი მათ ბიოგრაფიებს არა სწორად ალაგებენ რომ მათ ბრწყინვალე წარსული ქონდათ რუსეთში. მერე რა? ნუ თუ ეს მართმევს უფლებას, რომ მე მათზე ჩემი აზრი მქონდეს და მათ მიერ წარმოებული ოპერაციები საქართველოს ჩარჩოებში განვიხილო?..

ბ.ბ. «ცნობის ფურცელი»-ს ავტორებს დავიწყნიათ, რომ არსებობდა უკანასკნელ ომამდე ჟურნალი «მხედარი». მე ვურჩევ მათ წაიკითხონ «ატესტაციები» ღენერ. ოდიშელიძის და ი. გედევანიშვილის ამავე ჟურნალში № 16, გვ. 75. აი რას სწერს მათზე გენერალი ა. ჩხეიძე:

«ორიოდე სიტყვას ვიტყვი უბედურ სარდლებზე. ღენერ. ოდიშელიძე თუმცა თეორიულათ კარგად მომზადებული იყო, მაგრამ, როგორც სარდალი სრულებით სუსტი და უვარგისი აღმოჩნდა...

ი. გედევანიშვილი 1905 წ. შტ.-კაპიტ. ხარისხით იძულებით სტოვებს რუსის ჯარს, რჩება 13 წელიწადი ჯარის გარეთ... 1918 წ. გამოჩნდა ჩვენი კორპუსის შტაბის უფროსად... გადაყენებული იქმნა. 1919 წლ. ბოლოში ისევ ამოცურდა და დაინიშნა მეორე ბრიგ. უფროსათ. ბევრნი მას სთვლიან რუსეთის ღენერალურ შტაბის ოფიცრათ—ეს შეცდომაა. ღენ. შტაბის აკადემიის დასრულება ვერ შეძლო და დაბრუნდა ჯარში ჩვეულებრივ ოფიცრათ... დიდი ომის დროს ჯარში არ ყოფილა... ცნობათ მიიღეთ: ღენ. ოდიშელიძე 1914 წ. არ ყოფილა კავკასიის ფრონტზე».

მე წითელი გენერლებიც გავაკრიტიკე, ბატონო ავტორო, და რადგან მე ისინი გავაკრიტიკე შეგიძლიათ თქვენ დაიცვათ!

ცნობათ ბატონო ავტორებო: უბრალო რუსის ოფიცერმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ოფიცერ პოგრანიჩნოი სტრაქი) დაამარცხა «ბრწყინვალე» ღენერალურ შტაბის ჩვენი ღენერლები (ჩვენდა საუბედუროთ).

ბ. უსახელო ავტორის «გამოლაშქრებამ» მომაგონა ერთი ხალხური ლექსი:

«პამპულაი შეიკაზმა თოფითა და ჯინჯილითა,
უნდა ქალაქსა მივადგე, ამოვხოცო შიმშილითა».

«სიმშილით ამოხოცვის» რა მოგახსენოთ, მაგრამ ასეთ პამბულაობით ვინც თიშავს საზოგადოებას შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, მტრის საქმეს აკეთებს...

ა. ჯვიტაიშვილი.

ბ. ალბერტ მალშის გარდაცვალება.

ქენევაში გარდაიცვალა პროფ. ალბერტ მალშ, ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი და საქართველოს საკითხის ენერგიული დამცველი.

სამძიმრის წერილი გაუგზავნეს განსვენებულის ოჯახს ეროვნულ მთავრობის წევრებმა კ. კანდელაკმა და აკ ჩხენკელმა და ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ცინცაძემ.

აქვე ვათავსებთ წერილს განსვენებულის შესახებ ქართველებისთვის კარგად ცნობილ შვეიცარიელ ჟურნალისტის, საქართველოს დიდი მეგობრის Jean Martin-ისას.

Albert MALCHE

Un grand ami de la Géorgie nous a quittés : Albert Malche est mort a l'âge de 80 ans.

D'autres conteront sa biographie d'éducateur, de professeur à l'Université de Genève, de parlementaire, d'homme d'Etat. Je voudrais, pour ma part, souligner simplement la générosité de son cœur, qui le poussa à se lancer avec impétuosité dans la défense de la noble cause géorgienne dès 1921.

Jusqu'alors je le connaissais peu et voyais surtout en lui un adversaire politique : il était radical, et j'étais libéral-conservateur. La Géorgie a fait de nous des amis intimes, et grâce à elle nous avons dès lors marché la main dans la main dans nos entreprises politiques. Sans jamais s'inspirer de recherche de la popularité, Malche se jetait avec élan dans la bagarre internationale pour la défense du bon droit. Peu lui importaient les critiques et les appréhensions des opportunistes : il allait de l'avant sans hésiter, et sa chaude éloquence entraînait les masses populaires en faveur de la bonne cause de la Géorgie.

C'est, je le répète, un grand ami qui nous a quittés.

Sursum corda! Il faut maintenant que de jeunes forces prennent la relève des anciens qui disparaissent, car la cause sacrée de la Géorgie est éternelle et triomphera un jour.

Jean MARTIN.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტია.

26 მაისს, ბავარიის რადიო-სადგურის საშვალებით გადაცემულ იქნა დასავლეთ გერმანიის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წევრის ვილი ტიმეს სიტყვა 26 მაისის აქტის მნიშვნელობაზე. დეპუტატი ტიმე თავის სიტყვაში აღნიშნავდა ქართველი ერის ბრძოლას საუკუნეების განმავლობაში თავის ეროვნული სუვერენიტეტის და ქრისტიანული კულტურის დასაცავათ...

——

მიუნხენში ათ ივნისს შესდგა გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის ყრილობა. ყრილობას დაესწრენ ევროპის და აზიის სხვადასხვა ქვეყნებიდან სოციალისტური პარტიების წარმომადგენელნი და სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარე და მდივანი. აგრეთვე ყრილობაზე იყვნენ წარმოდგენილნი «ეკზილში» მყოფი სოციალისტური პარტიების რწმუნებულებიც. ქართველების მხრივ ყრილობას დაესწრენ ნ. იმნაიშვილი და ა. კორძაია. აღსანიშნავია რომ საბჭოთა კომუნისტური პარტიის მომართვაზე საერთო ფრონტის შექმნის შესახებ, ყრილობამ ერთხმად გაიზიარა პარტიის მეთაურის ერიხ ოლენაუერის წინადადება, რომელიც კატეგორიულ ფორმაში უარყოფდა ყოველგვარ კონტაქტს კომუნისტურ პარტიებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია სავსებით იზიარებს სოციალისტური ინტერნაციონალის პოზიციას. ყრილობაზე დიდი ინტერესი გამოიწვია პროფ. კარლო შმიდის და პროფ. ლეო ბრანდის მოხსენებებმა მეორე ინდუსტრიალურ რევოლიუციაზე. საერთოდ კი ყრილობის საგანს შეადგენდა საშინაო პოლიტიკა და განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საკითხი. ჩვენთვის საყურადღებოა ყრილობის თავმჯდომარის ვოლდემარ ფ. კნერინგენის სამადლობელი სიტყვა «ეკზილში» მყოფ პარტიების წარმომადგენელის მისალმებაზე, მან სხვათა შორის განაცხადა: «ჩვენ გისურვებდით, რომ მალე მოახლოებულიყოს ის დღე, როდესაც თქვენ შეგძლებოდეთ თქვენ ქვეყნებში დაბრუნება და იქ თქვენი იდეალებისათვის ბრძოლა....»

——

გერმანიის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ინიციატივით მიუნხენში დაარსდა გერმანიაში მყოფ ემიგრანტ სოციალდემოკრატებისაგან ინტერნაციონალური ორგანიზაცია, რომლის მიზანია კლუბის დაარსება, სადაც გაიმართება მოხსენებები და დისკუსიები რკინის ფარდის უკან მომწყვდეულ ქვეყნების მდგომარეობის შესახებ. განზრახულია რომ ამ მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას აგრეთვე გერმანელ სოც.-დემოკრატ-აკადემიკოსების ორგანიზაცია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა თვალსაჩინო სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენლები. ეს ახლად დაარსებული ორგანიზაცია ითვლება ერთ-ერთ გერმანიის სოც.-დემ. პარტიის სექციათ. ჯერ ჯერობით ამ ორგანიზაციაში არიან წარმოდგენილნი პოლონელები, უნგრელები, ჩეხოსლოვაკები, ბოლგარელები, უკრაინელები და ქართველები. არჩეულ იქნა ბიურო, რომელიც გერმანული პარტიის რწმუნებულთან ერთად უხელმძღვანელებს მუშაობას. გამოითქვა სურვილი ასეთი კლუბების მოწყობის გერმანიის სხვადასხვა მთავარ ქალაქებში.

გერმანულ სოციალდემოკრატიულმა პრესამ უკვე აღნიშნა ამ ორგანიზაციის დაარსება. გერმანელ მეგობრების აზრით ასეთ ხასიათის ჩვენს მუშაობას მათთვისაც ექნება დიდი მნიშვნელობა...

პარტიული ცხოვრება.

პ ა რ ი ზ ი.

24 ნოემბერს პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროს და პარიზის სოც.-დემ. ორგანიზაციის კომიტეტის შეერთებულ სხდომაზე ამხ. პ. სარჯველაძემ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც უმთავრესათ შეეხო ახლო აღმოსავლეთში და უნგრეთში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს. რის შემდეგ გაიმართა საინტერესო კამათი.

— პარიზის სოც.-დემ. ორგანიზაციის კრებაზე ამხ. ნოე ცინცაძემ გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე. რის შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: აკ. ჩხენკელმა, გ. ერაძემ, პ. სარჯველაძემ, ალ. ტატიშვილმა, ლ. ბელიაშვილმა, ლ. ყლენტმა, ვ. ჩუბინიძემ, ინა ყორდანიამ.

— 9 დეკემბერს, ამხ. ვ. ჩუბინიძის თავმჯდომარეობით შესდგა პარიზის ს.-დ. ორგანიზაციის კრება. კრებამ ერთხმად მიიღო თანაგრძნობის რეზოლიუცია უნგრეთში განმათავისუფლებელ ბრძოლების შესახებ. გაარჩია საკითხები ქართულ სათვისტომოს გამგეობის არჩევნების და ეროვნულ საბჭოს მუშაობის შესახებ. კრებამ მოისმინა ამხ. ვ. ჩუბინიძის მოხსენება კომიტეტის მუშაობის შესახებ და გადაუხადა კომიტეტის შემადგენლობას მადლობა გაწეულ შრომისთვის. არჩეული იქნა ახალი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: იოსებ ცინცაძე, მ. ბერიშვილი, ალ. ტატიშვილი, გ. ყორდანია, აკ. კვიტაიშვილი. კანდიდატებათ: კ. ჯაყელი, მ. სტურუა. სარევიზიო კომისიაში: გერ. სურგულაძე, ვიქ. კირტავა და ლ. ბელიაშვილი.

ს ო ფ ო.

24 ივნის, რესტორანის დარბაზში მოეწყო სოციალდემოკრატიული პარტიის სოფოს ორგანიზაციის თანრიგითი კრება; კრებას დაესწრო წევრების უმრავლესობა. დღის წეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგში განხილული იქნა პოლიტიკურ-ეროვნული ხასიათის სხვადასხვა საკითხები. მოხდა ახალი პარტიული კომიტეტის არჩევნები. ხმის უმრავლესობით არჩეული იქნენ: ილ. სალუქვაძე (თავმჯდომარე), ვ. რიქამაძე (მდივანი) და იას. შავდია (მოლარე). კრების გადაწყვეტილების თანახმად, ქართულ ეროვნულ საბჭოს და მის მესამე ყრილობას გაეგზავნა მიმართვა.

ევ. გეგეჭკორის ძეგლის გახსნა.

გასული წლის ივნისში ს. ლევილის ძმათა სასაფლაოზე მოხდა ძეგლის გახსნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევ. გეგეჭკორის, რომელსაც დაესწრო დიდძალი საზოგადოება. მამა ილიამ გადაიხადა პანაშვიდი. ძეგლი გახსნა საქართველოს ელჩმა აკაკი ჩხენკელმა. რომლის სიტყვა აქვე მოგვყავს. ქართულ სათვისტომოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა მისმა თავმჯდომარემ—შ. აბდუშელმა. ეროვნულ საბჭოს აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ცინცაძემ. სოც.-ფედ. წარმომადგენელმა ნ. ურუშაძემ. საქ. ს. დემ. მ. პარტიის სახელით პ. სარჯველაძემ. სიტყვებით გამოვიდენ აგრეთვე უკრაინის, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლები.

აკაკი ჩხენკელის სიტყვა.

ჩემო ევგენი! ხნოვანებით დიდად უფროსს მე მიხდება შენი ძეგლის გახსნა საფრანგეთში, ჩვენ მეორე სამშობლოში.

მახსოვს კარგად ერთი დრამატიული ეპიზოდი, რომელიც ზოგი აქ დამსწრესთვის მითქვამს და მინდა საჯაროდ გავიმეორო: შარშანწინ 4 ივნისს ნაშუადღევს ევგენისთან ვართ კოწია კანდელაკი და მე, ხოლო სანამ ერთი პროექტის განხილვას შევუდგებოდით, ევგენი ღიმილით გვეუბნება: «ვართ სამი და ერთი ჩვენგანი რომ მოკვდეს დავრჩებით ორი!»

და სწორეთ მეორე დღეს დილით მისი სიძე მიხეილ სტურუა მეძახის—ევგენი გარდაიცვალაო! გავშეშდი, არ მჯერა, ვეკითხები ვინა ხარ-მეთქი; მიხეილი მიპასუხებს ვინც არის და მე მაინც ვერ ვეშვები, როგორ, საიდან?! ხმას ვიმაღლებ, ვედავები და მან კი ტელეფონი შემიწყვიტა.

დიახ, ეს ეპიზოდი დაუვიწყარია ჩემთვის, საფლავშიც ჩამყობა. მე არ შევუდგები თქვენს წინაშე, თანამემამულენო, ევგენის დაფასებას, როგორც მხურვალე პატრიოტის, გაბედული მებრძოლის, გამჭრიახი მჭერმეტყველის, საზოგადო მოღვაწის,—და ჩვენ ხომ ყველანი ამის ცოცხალი მოწმენი ვიყავით!

გახსოვთ, რა თქმა უნდა, როგორი დიდებული სახე მიეცა ევგენის გასვენებას პარიზიდან, როგორის გაკვირვებით შესცქეროდა ამ არაჩვეულებრივ სურათს გარეშე ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ევგენი ხომ მარტო საქართველოს მოღვაწე არ იყო, ის იყო მთელი ცარისტული რუსეთის ცნობილი პიროვნება. მე მას პირადად არ ვიცნობდი და გავეცანი უცხოეთის პრესიდან, რას სწერდენ თვითეულ მის გამოსვლაზე მესამე სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდან.

ჩემო ევგენი! შენ არ გეღირსა სამშობლოში ცოცხლად ჩასვლა, შეიძლება ასეთი ბედი მოგველის ბევრს ჩვენგან, განსაკუთრებით მე!

მაგრამ გულს არ ვიტეხთ, მტერი არც ისე ძლიერია, გახსოვს რამდენჯერ გვქონია ორივეს ამაზე მსჯელობა, შენ ჩემზე ოპტიმისტი იყავი და ბედმა გიმუხთლა.

მოვა დრო და ეს არაა შორს, როცა მშობელი შენი სამშობლო მიგიკრავს მკერდზე და ბევრი აქ დამსწრე ამის მოწმენი იქნებიან.

მაშ შორს ჩვენგან გულის გატეხა, განვაგრძოთ ბრძოლა, მაგალითს თვით სამშობლო გვაძლევს. ერთობა და კიდევ ერთობა!

ევგენის ძეგლს გახსნილად ვაცხადებ!

თეოფილე მუხაშავრია.

1956 წლის 16 აგვისტოს ს. ლევილის ძმათა სასაფლაოზე მიწას მივაბარეთ პოლიტიკური დევნილი, თავდადებული მებრძოლი თავის ქვეყნის თავისუფლებისთვის თეოფილე მუხაშავრია. სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. კ. ქავთარაძემ და პ. სარჯველაძემ. უკანასკნელის სიტყვას აქვე ვათავსებთ შემოკლებით.

. . . «სამშობლოს გარეთ—შორეულ უცხოეთში ქართველ ძმათა სასაფლაო დღეს იბარებს კიდევ ერთს—თავის ქვეყნისთვის თავდადებულ მებრძოლს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ხალხის სამსახურში გაატარა. ყრმობიდანვე მისი ნაზი ბუნება ვერ შეურიგდა მის გარშემო გამეფებულ ცხოვრების პირობებს და სამართლიანობის მოსაპოებლად ბრძოლის ქარცეცხლში გადაეშვა. პირად ცხოვრების სიამოვნებაზე ხელი აიღო, ოჯახურ სითბოს მაგიერ ტყის კარავი და ბუჩქებით შემოსილი გურიის სერები აირჩია... როცა დამსჯელი რაზმები გურიის სოფლებს ანადგურებდნენ, როცა ხალხის მეთაურთა დევნა სწარმოებდა რუსეთის მთავრობის ადგილობრივ ნაძირალთა პირების შემწეობით, ვალოდია გოგვაძე, სერგო მათითაიშვილი და თეოფილე მუხაშავრია იყვნენ ის გმირები, რომელთა სახელის ხსენებაც კი თავზარს სცემდა ხალხის მტრებს და ბოროტ განზრახვებზე ხელს აღებინებდა. როცა გურიის გლეხ-კაცობა შევიწროებული პოლიტიკურად, დაჩაგრული ნივთიერად, მთავრობის ადგილობრივ ბობოლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხელეებისგან მიშვებულ ყაჩაღების მსხვერპლი ხდებოდა, ის თავის სახლ-კარის გადასარჩენათ, თავის დასაცავად პოლიტიკურ დევნილებს მიმართავდა. სოფლის თვალში ისინი იყვნენ ხელისუფლება მორალური, დარიგების მიმცემი, მისი გულის მესაიდუმლე.

... ხალხურ მოძრაობას ყავდა მოღალატენი შიგნითაც, გამცემნი—ყველა ამათ პოლიტიკური დევნილების რისხვა თავს ატყდებოდა. თ. მუხაშავრიას რევოლიუციონურ მოღვაწეობას საფუძვლად ედო დისციპლინა, დავალების უსიტყვოდ შესრულება. მისი აზრით დისციპლინის გარეშე შეუძლებელი იყო მოძრაობის წარმოება. ამ თვისებით და შეგნებით დაჯილდოებული იყო საქართველოს ის უმთავრესი ძალა, რომლის ადგილობრივი თ. მუხაშავრიას მსგავსი უჩინარი მებრძოლნი მასსიურად დარაზმული შეხვდენ ერის განთავისუფლებას და სახელმწიფოს ნორჩი სხეული გადაარჩინეს—არა ერთ მხრიდან მოწოლილ ტალღას.

საქართველოს აღდგენით თეოფილეს პირადი ცხოვრება თითქოს არც კი გამოცვლილა. მას იარაღი ხელიდან არ გაუგდია, თბილი, მყუდრო ცხოვრება არ უძებნია. დამოუკიდებლობას დაცვა სჭირდებოდა, თეოფილემაც თავისი ადგილი დაიჭირა გურიის სახელოვან ხელმძღვანელობაში.

დაეცა საქართველო რუსეთთან ბრძოლაში, თეოფილეს საყვარელ გურიის სოფლებს დაეპატრონენ მაწანწალა კომუნისტები. მის ირგვლივ გაჩაღდა ხოცვა-ყლეტა. თეოფილე კვლავ იარაღში ჩასხმული დევნილად იქცა...

... გურია ემზადება საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად უცხო უღლის გადასაგდებათ და აგვისტოს აჯანყების ქარიშხალში თეოფილე მთელი თავის ბრძოლის ყინით სულიერი სიმაღლით, რკინის ნებისყოფით პირველ რიგებში ჩადგა და გაინაწილა ბრძოლისა და წამების დღეები. დამარცხებამ იგი მოსწყვიტა სამშობლოს, რამაც მებრძოლის გული დაკოდა, დაანაღვლიანა, მაგრამ მისი სული ვერ მოსტეხა, ნებისყოფა ვერ შეანელა...

უცხოეთში თეოფილე საკუთარი შრომით ცხოვრობდა, ცდილობდა არავინ შეეწუხებია. უკანასკნელ წლეებში ის ებრძოდა ავადმყოფობას, დასუსტებამ და დაუძლურებამ იგი მიიყვანა მოხუცთა თავშესაფარამდე, საიდანაც სამუდამოთ გამოგვეთხოვა...

... თეოფილეს სპეტაკი და წამებული პიროვნება ბრწყინვალებით მოსჩანს ის პოლიტიკურ დევნილთა შორის, რომელთაც ანდერძათ დაგვიტოვეს სამსახურის წრმენა, რწმენა გამარჯვების და თავისუფლების.

დამსწრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ურუშაძე.

გასული წლის 16 სექტემბერს, ოსმალეთში გარდაცვლილ ჩვენი ამხ. ავთანდილ ურუშაძის ხსოვნის აღსანიშნავათ გამართული იქნა სამგლოვიარო შეხვედრა, რომელსაც დაესწრო ჩვენი პარტიის ორივე ორგანიზაციის მთელი შემადგენლობა და აგრეთვე გარეშე საზოგადოებაც. მამა ილიამ გადაიხადა პანაშვიდი. რის შემდეგ ამხ. ნ. ორაგველიძემ სუფრა გახსნა, სადაც ამხანაგებმა მოიგონეს ავთანდილის წარსული ცხოვრება, მისი თავდადებული ბრძოლები. წაკითხულ იქნა ჩვენი წარმომადგენლის ამხ. ს. მენაღარის წერილი სტამბოლიდან და აგრეთვე სოშოს სოც.-დემ. ორგანიზაციიდან სამგლოვიარო მომართვა.

აქვე მოგვყავს ამხ. ნ. ორაგველიძის სიტყვა.

... ავთანდილი დაიბადა სოფ. ლანჩხუთში ღარიბ გლეხის ოჯახში. მან ადრე დაკარგა დედა და ობლობასა და სიღარიბეში აღიზარდა. 1902 წელს ის ასრულებს ლანჩხუთის ორკლასიან სკოლას და გადადის იმავე წელს გახსნილ ექვსკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, რომელსაც მთავრობა მეორე წელსავე ხურავს, მოწაფეთა არეულობის გამო. ერთი წლის შემდეგ სასწავლებელი ისევ იხსნება და ავთანდილი დაგვიანებით ასრულებს მას.

როგორც მოწაფეობის დროს, ისე შემდეგაც,—ჯარში გაწვევამდე,—ავთანდილი «ახალი თაობის» ხალხთან არის. მისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს იმდროინდელი არალეგალური კრებები, რომელთა ის ხშირად დარაჯია, რომ პოლიცია მოულოდნელათ თავს არ დაესხას, ან მეგზურია ამ კრებებზედ მიმავალთა. შიკრიკობს—ერთი კუთხიდან მეორეში ამბის შემტყობინებელია, არალეგალური ლიტერატურის (პროკლამაციები, ჟურნალები, ბროშიურები) გადამტან-გადმომტანია.

1910 წელს მას იწვევენ ჯარში, და პირველი მსოფლიო ომის გამოცხადების დროს არის პირველი ხარისხის ჯარისკაცი უფროსი ნაცვალის ხარისხით, რომლითაც ის ბრუნდება სამშობლოში 1917 წლის დასასრულს, როცა დროებითმა მთავრობამ ნაციონალური ნაწილების შედგენის ბრძანება გამოსცა.

ამ სახით შემდგარი ქართული ათასეულები მალე დასაშლელი გახდნენ; ავთანდილი ბრუნდება ლანჩხუთში და იწყებს მუშაობას ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში და გვარდიაში, რომლის შედგენაც იმ ხანებში დაიწყო. მას, როგორც გამოცდილ ჯარისკაცს, ირჩევენ ლანჩხუთის სარაიონო შტაბში, და მალე მისი თავმჯდომარე ხდება.

არ მომხდარა ლანჩხუთის გვარდიის გამოწვევა და ფრონტზე წასვლა, რომ ავთანდილი მათთან არ ყოფილიყოს. სამი წლის მანძილზედ, რაც საქართველო დამოუკიდებლათ არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობდა, მას არ უნახავს დასვენება და წყნარი ცხოვრება, როგორც სხვა მისს ამხანაგებს და მეგობრებს.

ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ, ის იარაღით ხელში სხვა მრავალთან ერთად ტყეს ეფარება, და მათთანვე ერთად 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ იხიზნება საზღვარგარეთ.

აქ (საფრანგეთში) ის ეწყობა პეჟოს ავტომობილის ქარხანაში—ოდენკურში, პატიოსანი შრომით ირჩენს თავს და საჭიროების დროს სხვებსაც ეხმარება. აქ ზედმეტი არ იქნებოდა იმ დროინდელ მისი სულიერი მდგომარეობის შესახებ, რომელიც მაგარ დეპრესიას განიცდიდა, ორიოდე სიტყვის თქმა, მაგრამ დრო და ადგილი ამის ნებას არ იძლევა... ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს დეპრესია შედეგი იყო იმისა, რომ მისი მებრძოლი სული ვერ კმაყოფილდებოდა ქარხანაში მუშაობით, კარგი ჯამა-სმით და წყნარი ცხოვრებით. განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიდა ის განხეთქილებას პარტიაში... მაგრამ ხასიათის სიმტკიცე და თავმოყვარეობა იმდენად ძლიერი იყო მასში, რომ ეს სულიერი დეპრესია, სულიერ დაცემამდე არ მისულა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანიამ რუსეთს ომი გამოუცხადა, და იმედები დაიბადა, რომ თავის მსხვერპლათ მიტანით ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის ცოტა რამის გაკეთება მაინც იქნებოდა შესაძლებელი, ავთანდილი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც იარაღი აისხა და ბრძოლის ველისაკენ გაემართა.

აქ მან სხვებთან ერთად მრავალი ასეული ქართველი იხსნა ტყვეობისა და უეჭველ სიკვდილისაგან. აქვე მან იკისრა საქართველოში წასვლა, რაც უამრავ ხიფათსა და სიძნელესთან იყო შეკავშირებული, რომ ნათლად და მართლად აეხსნა და განემარტა მდგომარეობა ჩვენი ხალხისათვის, რომ მას რაიმე მცდარი ნაბიჯი არ გადაედგა გერმანელების ჩვენს ქვეყანაში შესვლის დროს... მაგრამ ავთანდილი ჯერ კიდევ სტამბოლში არ იყო ჩასული, როცა ნათელი გახდა, რომ გერმანელები არამც თუ ჩვენს ქვეყანაში ველარ შევიდოდნენ, არამედ ჩქარი ნაბიჯით უკან უნდა დაეხიათ და უეჭველი დამარცხებაც ხელში ეჭირათ...

ამრიგათ, ავთანდილის მისიას მიზანი დაეკარგა და გზის გაგრძელება უაზრო გახდა. ავთანდილი სტამბოლში დარჩა. საბრძოლველათ აშლილი სული ისევ ტყვეობაში მოექცა, მისი ცხოვრება ისევ თავის რჩენაზედ ზრუნვით შემოიფარგლა. მალე ფიზიკური ავადმყოფობაც ზედ დაემატა, და, მიუხედავათ ყველა საჭირო ზომების მიღებისა მის გადასარჩენათ, მან 21 მაისს 1955 წლისა ქ. სტამბოლში, ბერძნების საავადმყოფოში დალია სული, და დასაფლავებულია შიშლის ბერძენთა სასაფლაოზე 23 მაისს 1955 წ., ჩვენი თანამემამულის ს. მენაღარის მზრუნველობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე წამებით დაასრულა ავთანდილმა თავისი მწარე ცხოვრება, მოკლებულმა თავისი საყვარელი ცოლშვილის და ამხანაგ-მეგობრების თბილ გრძნობას და მზრუნველობას. და მათგან დაუტირალი მიებარა უცხო მიწას...

ავთანდილი წერა-კითხვის საკმაოთ მცოდნე ტიპიური გურული გლეხია, ჩვენი საუკუნის პირველი ორი-სამი ათეული წლებისა, რომელიც მწვავეთ განიცდის, როგორც ეროვნულს ისე კლასიურ ჩაგვრას და მზათაა ყოველგვარი მსხვერპლისათვის აქედან თავის დასახსნელათ. ამიტომ ის იმთავითვე ურყევათ დადგა იმ ხალხთან ვინც საამისო ბრძოლას აწარმოებდა უანგაროთ და ყოველგვარი პირადი ამბიციების გარეშე...

მათ ბედმა გაუღიმა. დასახულ მიზანს მიაღწიეს—ეროვნული სუვერენობა და პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვეს... მაგრამ ეს ბედნიერება მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა. მუხანათმა მტერმა მოპოებული თავისუფლებანი ისევ მოგვტაცა... ავთანდილი და მისი თანამებრძოლები ახალ ბრძოლაში ჩაებენ, რომელიც დღემდე გრძელდება და რომელიც იმ ნიშნების მიხედვით, რომელნიც დღეს ჰორიზონტზედ მოსჩანან, ადრე სრული გამარჯვებით უნდა დაგვირგვინდეს.

ავთანდილი ამ ბრძოლაში დაეცა, როგორც სხვა ბევრი მასავით უბრალო და უსახელო ჯარისკაცი, ღია მკერდით სამშობლოსა და ერის სადარაჯოზედ მდგარი, მსხვერპლათ გამზადილი...

ეს ავთანდილებია რომ ქმნიან ისტორიას, მაგრამ ისტორია მათ პიროვნულათ არასოდეს არ იხსენიებს და ვერც მოიხსენიებს, რადგან მათი სახელი ლეგიონია!..

და სანამ ამ ლეგიონების ამბავი ისტორიის კვლევა-ძიების საგანი არ გამხდარა, ჩვენი,—მათ თანამედროვეთა და თანამებრძოლთა ვალია, ბრძოლაში უანგაროთ დაცემულთ ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში დამსახურებული პატივი ვსცეთ, და მე ვისურვებდი, მე მინდა ვირწმუნო, რომ დღეს აქ თავშეყრილი ავთანდილის მეგობრები და ამხანაგები ამ გრძნობით და ამისათვის არიან აქ მოსული.

სვიმონ (სოსო) გეგელაშვილი.

30 ნოემბერს, ქალაქ იტცეოში (გერმანია), მძიმე ავათმყოფობისგან გარდაიცვალა ამხ ს. გეგელაშვილი. სოსო იყო ქალაქ ქუთაისიდგან. უმაღლესი განათლებით, პროფესიით იურისტი. პირველი დიდი ომის დროს ის იყო გაწვეული ჯარში და მსახურებდა ოფიცრის ჩინით. 1917 წლის რევოლიუციის დროს ის მოჰყვა იმ ჯარის ნაწილებში, რომელიც ბინადრობდა ქუთაისში. როდესაც საბჭოები შესდგა, ის არჩეული იქნა ჯარისკაცთა საბჭოს წევრათ, შემდეგ თვით საბჭოს თავმჯდომარეთ. ამავე საბჭოს წევრათ და შემდეგ მდივნათ არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეული იქნა ჯარისკაცი ი. გოლდმანი, ისიც უმაღლესი განათლებით, ისიც იურისტი. ასე რომ ქუთაისის ჯარისკაცთა საბჭოს მეთაურობდა ორი უმაღლესი განათლების სოციალ-დემოკრატი. მათი მეთაურობით ეს საბჭო უკანასკნელ წუთამდე თავის სიმაღლეზე იდგა და მუშათა საბჭოსთან ერთად დიდი როლი ითამაშა საერთო რევოლ. საქმიანობაში. ამ მეთაურობის წყალობით არას დროს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს შორის ადგილი არ ქონია რაიმე გაუგებრობას. სა-



ბჭოების გაუქმების შემდეგ სოსო მიწვეული იქნა თბილისში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტორათ, რომელსაც ღირსეულად უძღვებოდა. საქართველოს დაპყრობის შემდეგ ის სხვებთან ერთად უცხოეთში გამოიხიზნა. ცხოვრობდა ოჯახობით გერმანიაში, სადაც თავისი პატიოსანი შრომით ოჯახსაც ინახავდა და სხვებსაც პატივს ცემდა. როგორც გვატყობინებენ მის დასაფლავებას მრავალი გერმანელი სოციალდემოკრატი დასწრებია დეპუტატი ფიშერის მეთაურობით. კუბოს ამშვენებდა მრავალი გვირგვინები, მათ შორის საქართველოს და გერმანიის სოც.-დემ. პარტიებისაგან. სიტყვები წარმოუთქვამთ საქ. სოც.-დემ. პარტიის სახელით ს. კორძაიას და გერმანიის სოც.-დემ. პარტიის სახელით —დეპუტატ ფიშერს და აგრეთვე ბ. ნიკო ნაკაშიძეს.

გრ. ურ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასო ცალკამანიძე.

1955 წელს 23 აგვისტოს ქალაქ თეირანში (სპარსეთი) გარდაიცვალა ჩვენი ამხანაგი—ვალოდია გოგვაძის ჯავშნოსანი მატარებლის ყოფილი მემანქანე—ვასო ცალკალამანიძე.

ვასო დაიბადა 1879 წელს გორის მაზრაში, სოფელ კავთისხევში. მამა მისი იყო აგრონომი. ამ რაიონის გლეხკაცობაში ის იყო ცნობილი, როგორც მუყაითი მშრომელი ადამიანი, დამხმარე ყველა დაჩაგრულის და გაჭირვებულის. რვა შვილში ვასო იყო ყველაზე უმცროსი. პირველად სწავლობდა სათავა-აზნაურო გიმნაზიაში, მაგრამ მამა რომ მოუკვდა გადავიდა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. სწავლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მსახურებდა ქ. გორში, სადაც ჯარისკაცებში ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, რის გამოც დაჭერილ იქნა და მოელოდა დიდი სასჯელი, რომ პოლკის უმფროსს არ გამოეჩინა ლმობიერება და არ გაენთავისუფლებინა. სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ მსახურობს რკინის გზაზე ორთქლმავალის მემანქანის თანაშემწეთ. ამავე ხანში ეწერება სოციალდემოკრატიულ პარტიაში და სიკვდილამდე რჩება მისი ერთგული.

რევოლიუციის პირველ ხანშივე ვასო ხდება ნაძალადევის რაიონის ახალად დაარსებულ გვარდიის წევრათ. როგორც მის ამხანაგებს, მასაც წილად ხვდა მუშაობის შემდეგ თავისუფალი დრო შეეწირა გვარდიის მოვალეობის შესრულებისთვის, რაც იყო მაშინ უდიდესი სამსახური ჩვენი სამშობლოსათვის—საქართველოს დედა-ქალაქში დაცვა რევოლიუციონური წესრიგის.

გვარდიის საქმე გაიზარდა. საჭირო შეიქნა თვით ქვეყნის დაცვა გარეშე და შინაური მტრებისაგან. მას, როგორც საუკეთესო მემანქანეს და თავდადებულ გაბედულ ვაჟკაცს, ვ. გოგვაძე იწვევს თავის ჯავშნოსანის მატარებლის მემანქანეთ. ვასო გულის სიამით და თანხმობით ხვდება ამ მოწოდებას და იმ დღიდან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის უკანასკნელ დღემდი ასრულებს ამ თანამდებობას და მონაწილე ხდება ჩვენი ქვეყნის მრავალ სამხედრო ისტორიული ამბების, სადაც გამოჩნდა ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული თავისუფლებისადმი და მისთვის გმირული თავის განწირვა.

ვასოს დაწერილ მოგონებებში ვკითხულობთ სხვათა შორის ჯავშნოსანის და გვარდიის ბრძოლების სამს ამბავს, რაც მის მეხსიერებაში ღრმათ შთაბეჭდილა და რაც მისი გახსენება მის გულს ახარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტიდან თავის ნებით წამოსული რუსი ჯარის ეშელონები, ბაქოს გზით რუსეთში წასვლის მაგიერათ, ბოლშევიკების შთაგონებით და მათი წასისიანებით, გაჩერდნენ მესამასე ვერსზე და მოიწადინეს თბილისში შემოსვლა და ბათუმიდან შავი ზღვით გამგზავრება. მათი თბილისში შემოსვლა ნიშნავდა ჩვენი დედა-ქალაქის აოხრებას, ქართველი ხალხის თავისუფლების მოსპობას, საქართველოს დაღუპვას. ამ ჭირის თავიდან აცილება შეეძლო ჩვენს რევოლიუციონურ მორალს, მოქნილ პოლიტიკას და მტკიცე სიმაგრეს. ეშელონებს გზა გადაუღობა მუშათა გვარდიამ, ვ. გოგვაძის ჯავშნოსანმა.

თავის მოგონებაში ვასო ასე ასწერს ერთს მომენტს ამ დრამატიული განცდისას: ეშელონებმა აირჩიეს დელეგაცია, გამოგზავნეს მოსალაპარაკებლათ. სხვებთან ერთათ როგორც სამხედრო ნაწილის უფროსი, წარსდგა მათ წინ ვალოდია გოგვაძე ამაყათ, ღირსეულათ, და მტკიცე ნებისყოფით განუცხადა: «ამხანაგებო, მე ნაბძანები მაქვს გზა მივცე ჯარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოში დასაბრუნებლათ ბაქოსკენ, არავის გაშვება არ შემიძლიან თბილისისაკენ. მე გთხოვთ წახვიდეთ იმ გზით რომ გზითაც წავიდნენ სხვა თქვენი ამხანაგები, ნუ დავღვრით ძმათა სისხლს, მე მოვალე ვარ შევასრულო ბრძანება». ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ვიღაცამ მათ წრეში ხმა მაღლა შეჰყვირა: ამხანაგებო, რა ამბავია ბოლოსდაბოლოს, რომ ჩავაცივდით და ვთხოულობთ თბილისზე წასვლას? წავიდეთ ბაქოს გზით, თუ ვინმე დაგვიხვდება გზაში, იქ გავცემთ ჩვენ მათ პასუხსო. ულაპარაკოთ ყველამ გაიბრუნა პირი და წავიდენ თავთავიანთკენ. ამგვარათ ასცდა ჩვენ ქვეყანას მოსალოდნელი უბედურობა.

მეორე ჩვენი ქვეყნის საბედისწერო დღე ნახა ვასო ცალქალამანიძემ გურიის საზღვარზე—ჭოროხის წყალზე, სადაც გათამამებული ოსმალოს რამდენიმე პოლკი დაბანაკებულიყო წყლის მეორე მხარეს და უცდიდნენ ბრძანებას მდინარეზე გადმოსასვლელად, საქართველოს გასანადგურებლათ. მათი დამხვედრი ჯარი ჩვენ იქ არ გვყავდა, რასაც თხოულობს დღევანდელი სამხედრო წესები და სტრატეგია. საჭირო იყო იქ ჯარი, მრავალი იარაღი, და სხვა საჭირო საომარი მასალა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წინააღმდეგობის გაწევა. ვალოდია გოგვაძე ყველა ამას მოკლებული, გორის მაზრის გვარდიის ამარა თავის ჯავშნოსანი მატარებლით, ასეთი მცირე ძალებით გადაწყვიტა მტერს თავდასხმოდა. მან გამოიყენა ძველი ქართული სტრიტეგია, მდგომარეობით ნაკარნახევი. მოხერხებით, გაბედულობით და თავგანწირვით ოსმალეთის ჯარი საშინლათ დაამარცხა, ბრძოლის ველზე დასტოვა მტერმა რამდენიმე ათასი მკვდარი და დაჭრილი, ცოცხლებმა თავს უშველეს გაქცევით. ვასოს გადმოცემით ოსმალების ჯარის უფროსმა თავი მოიკლა. ჩვენ დავკარგეთ რამდენიმე ამხანაგიო.

ამის შემდეგ ვასო ვალოდიას ჯავშნოსანით იღებს მონაწილეობას სანაინის ბრძოლებში, სადაც ოსმალოს ჯარი სომხეთიდან იწევდა თბილისისაკენ. ჩვენს სამხედრო ძალებთან ერთად გზა გადაუღობა გერმანიის ჯარის ნაწილებმა. საინტერესო ამბავს გვაცნობს ვასო თავის მოგონებაში. მეო—სწერს ის—ორთქმავალიდან გავხედე რკინის გზის ლიანდაგს შორს. შევამჩნიე რამდენიმე პლატფორმის ვაგონები ძალზე დატვირთული ქვებით. შევშინდი. ჩემი შიში გაუზიარე ვალოდიას. აუხსენი რომ თურქებს პლატფორმები გამზადებული აქვთ ქვებით, ჩვენი ჯავშნოსანის დასატაკებლათ. რომ გამოუშვან შორიდან ეს ვაგონები, ჯავშნოსანს გადაგვიგდებენ ლიანდაგიდან. უნდა მოუხერხოთ რამე, რომ ეს ავიცდინოთ თავიდან. გადავწყვიტეთ ავყაროთ რკინისგზის ლიანდაგი რამდენიმე მანძილზე. ეს გადაწყვეტილება სწრაფათ მოვიყვანეთ სისრულეში: ნახევარ ვერსზე ავყარეთ ლიანდაგი. ღამით თურქებმა ვაგონები გამოუშვეს, მაგრამ ლიანდაგიდან თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავარდენ და დაიმსხვრენ. ჩვენ გადავრჩით. გერმანელების დახმარებით მტერი ვეღარ წამოვიდა წინ და უკან გაბრუნდა.

სამშობლოს დაცვის გარდა ვასოს სხვა არა ახსოვდარა. ხალხის თავსუფლებისათვის მძლავრი საძირკვლის ჩაყრა და დამოუკიდებლობის გამტკიცება, ეს იყო მისი ოცნება, მისი საფიქრებელი საგანი. ამხანაგებთან ერთათ, რომელთაც თავისი ნება-სურვილით თავი მიუტოვებიათ თავის ოჯახისთვის, ცოლ-შვილისთვის, დაუგდიათ სამუშაო, ზოგს თოხი, ზოგს ხელეჩო და მის მაგივრათ თოფით ხელში დღედაღამე სდგას სამშობლოს თავისუფლების სადარაჯოზე ყოველგვარ მათთვის მოსალოდნელ ხიფათის და სიკვდილის წინაშე, რაც ამტკიცებდა ჩვენი ხალხის დიდ და ღრმა შეგნებას.

ვასომ ნახა ჩვენი ქვეყნის დამარცხებაც—რუსის ჯარის მიერ საქართველოს ოკუპაცია, რამაც მისი გული სამუდამოთ დაკოდა. უბრუნდება რკინისგზას თავის ხელობაზე. მას ბოლშევიკები მტრულად ხვდებიან. მოიწადინეს გაუსამართლებლათ მისი სიკვდილი, ის იხსნა დეპოს უფროსმა. ამის შემდეგ სთხოვენ მას, რომ ჩაეწეროს კომუნისტურ პარტიაში, რაზედაც ზიზღით უარს ეუბნება. არჩევს გასცილდეს მათ და წავიდეს უცხოეთში. ახერხებს სპარსეთში გაპარვას. იქ მას სიამოვნებით იღებენ რკინისგზაში ორთქლმავალის მემანქანეთ. გაყავს საქართველოდან ბოლშევიკებისაგან შეწუხებული და მუდმივ შიშში მყოფი თავისი გულითადი მეუღლე—ჩვენი ამხ. ნინო. ეწყობიან სხვის ქვეყანაში და სცხოვრობენ მშვიდათ იმ ღრმა რწმენით და იმედით, რომ მალე საქართველო განთავისუფლდება და სხვა ემიგრანტებთან ერთად ისინიც ნახავენ თავიანთ სამშობლოს თავისუფალს და ბედნიერს. ემიგრანტობა არ გამოდგა მოკლე დროით, გაგრძელდა 32 წელიწადი, მაგრამ ვასო მაინც გულს არ იტეხს და სხვა ამხანაგებსაც ამხნევებს. ავად ხდება კუჭის ავადმყოფობით. ჩაწვა ლოგინათ საავადმყოფოში. მიუხედავათ ექიმების მიერ განსაკუთრებითი ყურადღების, მოვლის და წამლობის, ვასოს ვერა უშველეს რა. გარდაიცვალა სხვის ქვეყანაში. დასტოვა მწუხარე და დაობლებული მისი ერთგული მეუღლე ნინო.

1956 წელში, წლის თავზე რკინისგზის მუშა-მოსამსახურეებმა, ვასოს პატივისცემის და კეთილგანწყობილების აღსანიშნავათ მის საფლავს დაადგეს ძეგლი, ვასოს მეუღლეს კი დაუნიშნეს საცხოვრებლათ ყოველთვიური ულუფა. სპარსელების ასეთი მოპყრობა და თანაგრძნობა ჩვენი მოქალაქისადმი და მფარველობა მათ ქვეყანაში შეხიზნულ ლტოლვილ ქართველებისადმი დიდათ აღსანიშნავი საქმეა და ქართველობა ამას არ დაუვიწყებს.

ამხანაგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათიკო ერქომაიშვილის

ტრაღიკული სიკვდილი.

12 იანვარს, ღამის 9 საათზე, ქ. არპაჟონსა და ს. ლევილის შუა, შარა გზაზე, ვიღაცის ავტომობილი უკანიდან დაეტაკა და მოკლა ჩვენი სახელგანთქმული მამულიშვილი და თავდადებული მებრძოლი, საყვარელი დათიკო ერქომაიშვილი.

კვირას, ეს ტრაღიკული ამბავი უცბად მოედო პარიზის მთელ ქართულ კოლონიას, რომელიც განსვენებულს დიდი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდა. იმავე დღეს მისი მეგობრები და ახლობელნი წავიდნენ გარდაცვლილის პატივის საცემლად არპაჟონის ქალაქის საავადმყოფოში, სადაც უდროოდ დაღუპული დათიკო ესვენა. ოთხშაბათს, 16 იანვარს პარიზის ქართულ ეკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა მამა ილიამ.

19 იანვარს, მიუხედავად დიდი სიცივეებისა, დიდძალ თანამემამულეთა დასწრებით, დათიკო ერქომაიშვილი დასაფლავებული იქმნა ლევილის ქართველ ძმათა სასაფლაოზე. დაკრძალვას დაესწრენ აგრეთვე ინდოეთის საელჩოს თვალსაჩინო წარმომადგენელები, სადაც სხვა ქართველებთან ერთად განსვენებული მსახურებდა. გამოსამშვიდებელ-სამგლოვიარო სიტყვები წარმოსთქვეს: თათარხან ანთაძემ, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სახელით, გიორგი ერაძემ საქ. სოც.-დემოკ. პარტიის სახელით. ექიმმა იოსებ ცინცაძემ წაიკითხა მოკლე მოგონება განსვენებულთან თავისი საერთო თავგადასავალის შესახებ, რომელშიაც დათიკოს სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლის სახეობა მეტათ მკაფიოდ იქმნა გადმოცემული.

განსვენებულის საფლავს გვირგვინები დაადვეს მისმა პოლიტიკურ მეგობრებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა, საქარ. სოც.-დემოკ. მუშ. პარტიის ორგანიზაციებმა, პარიზის და სოშოს ქართულ სათვისტომოებმა და ლევილ-სანჟერმენში მცხოვრებ ქართველობამ. აგრეთვე ბლომად იყო დათიკოს პირად ფრანგ და ქართველ მეგობრებისაგან თაიგულები და ყვავილები.

თ. ანთაძის სიტყვა:

დღეს ჩვენ უცხოეთის მიწას ვაბარებთ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, იმედითა და ზრახვებით დატვირთულს, მუდამ ბრძოლისათვის განწყობილს თავისი ქვეყნის საკეთილდღეოთ დადიდებისათვის თავდადებულ დათიკო ერქომაიშვილს.

ჩვენი გულის ტკივილი და ღრმა მწუხარება მით უფრო გაორკეცებულია იმ ბედის უკუღმართობით რომელიც მას თავს დაატყდა. ეს გულშემზარავი ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა პარიზის ქართველობას და ოთხშაბათ საღამოს რვის ნახევარ საათზე ქართულ ეკლესიაში გადახდილმა პანაშვიდმა სამუდამოდ განამტკიცა ის აზრი, რომ დათიკოსადმი პატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისცემა და სიყვარული ეგრე დიდი ყოფილა. მარ თლაც რომ დათიკო ერქომაიშვილი ამის ღირსი იყო. სიყრმის პირველ წლებიდან ჩამდგარი სოციალისტ-ფედერალისტთა რიგებში იმ ღრმა და სიკვდილამდე უცვლელი რწმენით ეროვნული სამსახურისა, როგორც გზა და საშუალება ამ უზენაესი მოვალეობის ასასრულებლათ მისთვის უკანასკნელ წუთამდე ურყევი დარჩა.

ამ რწმენით გატაცებული მთელი თავისი არსებით, ხშირად თავდავიწყებით თითქმის ყველა ბრძოლებში მონაწილეობას ღებულობს. ამ რიგათ ჩვენ მას ვნახულობთ სასწრაფოთ შემდგარ ს. გედევანიშვილის პარტიზანულ რაზმში თურქების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ დაკავებულ ქალაქ ოზურგეთზე შეტევის დროს, ფასანაურში ბოლშევიკების მიერ ოსეთის აჯანყების მოწყობის დროს, ახალ-ციხე აწყურის ხაზზე ოსმალეთის შემოტევის დროს, სოხუმის ოლქში ტუაპსე-გაგრის ნაპირებზე და საერთოთ ყოველგან და ყოველთვის სადაც კი ეს საჭირო იყო როგორც შინ ისე გარეთ თავის სამშობლოში მშვიდობიანობის აღდგენისათვის.

და როგორც კი ოდნავ სიწყნარის ნიშანი გამოჩნდა დათიკო გადადის სახელმწიფო თავდაცვის საგანგებო რაზმში, სადაც მან უამრავი სამსახური გაუწია ნორჩ საქართველოს, რომელიც დღესაც სახელმწიფო საიდუმლოების საგანია და რასაც უთუოდ მემატიანე ერთ მშვენიერ დღეს ყველა ქართველისათვის მზის სინათლეზე გამოიტანს.

საუბედუროდ არ გამართლდა იმედები, დაიფანტა საარაკო გმირობა, დაიწვა ქვეყნის სამსხვერპლოსე თავგანწირული ახალგაზრდობა და ისტორიულმა მტერმა სხვა ფერით, კიდევ უფრო გააფთრებული სიბრაზით საქართველოს ყველა კუთხიდან ცეცხლითა და მახვილით გამოილაშქრა.

დათიკო რამოდენიმე თვეების ნახევრად ლეგალური ცხოვრების შემდეგ, იძულებული გახდა გადამალულიყო და დაკავშირებოდა ტყეებში გასულ შეიარაღებულ მებრძოლთა რაზმს, რომელიც დამკომის და გურიის სოც.-დემ. კომიტეტის დავალებებს ასრულებდა. ასეთი დავალება იყო საქართველოში ოკუპაციის პირველ წლეებში სახელ-განთქმულ ობოლაძის ჯოჯოხეთში გასტუმრება. ამ ჯალათის აღვირახსნილმა თავხედობა ისე შორს წავიდა რომ 1923 წელს, ახალი წლის გათენებისას ათი წლის ბავშვი მშობლების თვალწინ მის მიერ ცეცხლ წაკიდებულ სახლის შუაგულში ჩააგდო.

იმავე კომიტეტის დავალებით, ერთ მშვენიერ დღეს, ობოლაძე თავის მორიგ დამსჯელ ექსპედიციის დაბრუნებისას, ორასი ცხენოსანით ქალაქ ოზურგეთში შედიოდა როდესაც შვიდი თავდადებული ქართველი თავს დაესხა და ხელოვნურად შექმნილი პანიკის დროს ობოლაძეს პირის პირ ანგარიშები გაუსწორეს. ერთი მთავარი მომწყობი და ამსრულებელი ამ აქტისა იყო დათიკო ერქომაიშვილი, როგორც ხალხმა ისევე ხელისუფლებამაც იცის თუ ვინ არის ამ საარაკო და მეტად გაბედული აქტის გამკეთებელი. ამიტომ მთელი რისხვა ატყდება მის ოჯახს; სახლს სწვავენ, მშობლებს ტანჯავენ, დებს ციმბირში ასახლებენ. ამრიგად დათიკოს საქართველოში გაჩერება შეუძლებელი ხდება და ის იძულებული არის უცხოეთს შეაფაროს თავი.

აი იმ დღიდან იწყება სამშობლოსათვის თავდადებული მუშაობის ახალი პერიოდი. დათიკო როგორც მებრძოლი, პარტიისათვის ერთგული წევრი უდროოდ დაკარგულ იესე კეჭაღმაძესთან ერთად სოციალის-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთ მეთაურის და დიდი ქართველის სვიმონ მდივნის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობით ასრულებს საქართველოს ეროვნული მთავრობის მეტად საპასუხისმგებლო დავალებებს. ყველა იმ საგმირო აქტებისათვის რომლებიც მან საქართველოს დიდებისათვის გააკეთა მის მშობლიურ კუთხეში ლექსებათ აქციეს და მისი საქმენი საგმირონი ცოცხალ ლეგენდაში გადავიდა.

ამ რიგად დათიკო ერქომაიშვილი ეკუთვნის იმ სახელოვანჯარისკაცს, რომელიც უქმნის ერს ეროვნულ საგმირო დოვლათს და მისი ისტორიისათვის ლამაზ და სამაგალითო ფურცლებს.

ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო დათიკო, განისვენე, აქ, წყნარად, თანამედროვე საქართველოს სულ-პატარა მაგრამ სახელოვან ისტორიულ ნაწყვეტზე, რომელიც უთუოდ ერთ მშვენიერ დღეს გახდება მომავალ თაობებისათვის წმინდა ადგილი დიდებისა და თაყვანისცემისათვის.

ქალბატონ ერქომაიშვილს ბედისაგან ეგრე სასტიკათ დაჩაგრულს ჩვენი პარტიისა და მისი მეგობრების სახელით ვუცხადებ ჩემს ულრმეს თანაგრძნობას და სამძიმარს.

გ. ერაძის სიტყვა:

დათიკო ერქომაიშვილმა თავისი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე ერთი-ორად მოიხადა. ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის მისი სამსახური საქართველოში იყო საქმე თავდავიწყების და თავის გაწირვის, რასაც ქართველი ერის მოპოებული თავისუფლების დაცვა მისგნით მოითხოვდა. ვაჟკაცობა, გულადობა და მოხერხება მუდამ თან სდევდა მას ყოველგვარ მის სიცოცხლისათვის რთულ და მძიმე სახიფათო საქმეებში. ბევრ სასიქადულო და საისტორიო საქმეებში მიიღო მან მონაწილეობა და სასიქადულოთაც ასრულებდა თავის ამხანაგებთან ერთად რომ ხელი შეეშალა ჩვენი ქვეყნის მტრების ბოროტი ზრახვების განხორციელებისთვის, რითაც ნდობა და პატივისცება დაიმსახურა თავის უმფროსებში.

ლტოლვილობაშიაც არ ჩამოშორებია თავის ქვეყნის სამსახურს და ასრულებდა მეტად საპასუხისმგებლო დავალებებს. მისმა ტრაღიკულმა სიკვდილმა, უდროოთ მისმა დაკარგვამ ყველას გული დაგვწყვიტა. საქართველოს სოც.-დემ. მ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს და მისი ყველა ორგანიზაციების სახელით მუხლს ვიდრეკ მის კუბოს წინაშე, ვიზიარებ მის ობლათ დარჩენილ მეუღლის მწუხარებას და უცხადებ თანაგრძნობას ჩვენს მოძმე სოციალ-ფედერალისტთა პარტიას, რომელმაც დათიკოს სახეობაში დაკარგა ერთი თვალსაჩინო წევრი თავის რიგებიდან.

სიტყვების შემდეგ წაკითხულ იქნა შემდეგი სამძიმრის დეპეშები: მიუნხენის რადიო-სადგურის «თავისუფლება»-ს ქართული რედაქციისაგან; სოშოს ქართველთა სათვისტომოსაგან; ქ-ნ ინა ჟორდანიასაგან, ბ-ნ ალ. შათირიშვილისაგან; ბ-ნ გალ. ასათიანისაგან; მიუნხენიდან ბ-ნ ი. კუჭუხიძისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრე (პეტიკო) ჯაფარიძე.

აგვისტოს თვეში, ავტომობილის დაჯახების დროს, დაიღუპა პეტრე (პეტიკო) ჯაფარიძე. განსვენებული ახალგაზრდა ნიჭიერი ინჟინერი იყო. თავის საქმეების საუკეთესო მცოდნე. ეწეოდა თანამშრომლობას ფრანგულ ტექნიკურ ჟურნალებში. ძალიან კარგად იცოდა თავის ქვეყნის ისტორია და გულმოდგინეთ ადევნებდა თვალყურს ყოველივეს, რაც ხდებოდა მის სამშობლოში და შეძლებისდაგვარად მონაწილეობასაც იღებდა თავის ქვეყნის დამპყრობთა წინააღმდეგ მუშაობაში. მისმა ტრაღიკულათ დაღუპვამ ყველას გული დასწყვიტა. დაღუპვის ადგილიდან ის მოასვენეს და დაასაფლავეს ლევილის «ძმათა სასაფლაო»-ზე. დასაფლავებას, მიუხედავათ ცუდი ამინდისა, დიდძალი ქართველობა დაესწრო, მათ შორის მრავალი ფრანგი პატივისმცემელი.

გ. უ.

მამა პიოს გარდაცვალება.

გასულული წლის აპრილში, სტამბოლში გარდაიცვალა ქართული კათოლიკური მონასტრის მოძღვარი—მამა პიო. დიდი პატრიოტი, მცოდნე და მოყვარული ჩვენი ქვეყნის ისტორიას და კულტურას. ჩვენ გავიცანით ის ჩვენი სამშობლოს უბედურების შემდეგ, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და მასთან ბევრნი ჩვენი ქვეყნის მოღვაწენი უცხოეთში გახიზნულნი პირველათ შევიდნენ ოსმალეთის დედა-ქალაქში. ჩვენს მონასტრის ბერებს ამ ამბავმა თავზარი დასცათ და საშინელი მწუხარება გამოიწვია მათში. მამა პიო შეხვდა ქართველ ემიგრანტებს გულდაწყვეტილი, მაგრამ მხნეთ და იმედიანი ნუგეშით. მან კარი გააღო მონასტრის და ერთი სართული შენობის მთლათ ლტოლვილ ქართველებს დაუთმო საცხოვრებლათ, სადაც თავი შეაფარეს დამფუძნებელ კრების დეპუტატებმა, პოლიტიკურ მოღვაწეებმა, საქართველოს სამხედრო პირებმა და მთავრობის თანამშრომლებმა. დაუთმო მონასტრის საუკეთესო სტამბა, სადაც იწყობოდა პირველი ემიგრანტული პოლიტიკური ჟურნალი «თავისუფალი საქართველო».

რაც კი გაჭირვებაში მყოფ ქართველ ლტოლვილებს სჭიროდათ, მამა პიო და ძმანი მისნი მუდამ მზათ იყვნენ დახმარება აღმოეჩინათ, სანამ ლტოლვილნი სხვაგან მოეწყობოდნენ, კარგა დიდხანს იქ ყოფნის დროს, მამა პიოს გულგაუტეხელობა, მხნეობა და ურყევი რწმენა ჩვენი სამშობლოს კვლავ მალე აღდგენის ყველა ლტოლვილს მატებდა სულიერ სიმაგრეს.

საუკუნოთ იყოს ჩვენთვის დაუვიწყარი მამა პიოს სახელი.

ნ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე ჟორდანიას წლისთავი.

13 იანვარს, ვანვის სასაფლაოზე თავი მოიყარა მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ ნოე ჟორდანიას წლისთავის აღსანიშნავად. სასაფლაოდან დამსწრენი მიწვეული იყვნენ ამხ. ინა ჟორდანიას მიერ ოჯახში, სადაც ნოეს კაბინეთში გაიმართა ამხანაგური სუფრა. სუფრის გაძღოლა სთხოვეს ამხ. გრ. ურატაძეს, რომელმაც წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა. შემდეგ ილაპარაკეს ამხანაგებმა: აკ. ჩხენკელმა, ნ. ცინცაძემ, ვ. ჩუბინიძემ, პ. სარჯველაძემ, გ. ერაძემ, ინა ჟორდანიამ და გ. ჟორდანიამ. მოგონებებმა და საერთო საუბარმა დიდხანს გასტანა. ამხ. ინა ჟორდანიამ შემოიტანა წინადადება, რომ შედგეს კომისია, რომელიც დააგროვებს მასალებს ამხ. ნოეს კერძო ცხოვრებიდან. ეს აზრი ყველამ გაიზიარა.

ბაღათარ მელქაძე.

ქ. ლიონში, გასული წლის 27 სექტემბერს გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჩვენი ამხ. ბაღათარ მელქაძე, რომელიც დასაფლავებულ იქნა ლიონის ახლო მის მეუღლის სოფელში.

დასაფლავებას დაესწრო ქ. ლიონის და მის ახლო მცხოვრები ქართველობა.

უნგრეთის რევოლიუცია
და ქართული ემიგრაცია.

მ ი უ ნ ხ ე ნ ი. ჩვენი პარტიის წარმომადგენელმა გერმანიაში ამხ. კორძაიამ პარტიის სახელით—მოათავსა გერმანულ გაზეთ «Suddeutche Zeitung»-ში ორი წერილი უნგრეთის შესახებ.

— დაჩაგრულ ერთა კავშირის თაოსნობით მიუნხენში მოეწყო მიტინგი უნგრეთში მომხდარ ამბების შესახებ. რომელსაც დაესწრო მრავალრიცხოვანი საზოგადოება და გერმანიის პოლიტიკური წრეების წარმომადგენელი. ქართველობის სახელით მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ჩვენმა ამხანაგმა ნიკო იმნაიშვილმა. მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც მოთხოვნილია უნგრეთიდან ჯარების გაყვანა, თავისუფალ არჩევნების მოხდენა. რეზოლიუცია გაეგზავნა ყველა მთავრობებს და ერთა კავშირს.

ჟ ე ნ ე ვ ა. ჟენევის გაზეთებში ამხ. ხარიტონ შავიშვილმა მოათავსა წერილი, სადაც ის ესალმება უნგრეთის თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლების მოსაპოებლად.

პ ა რ ი ზ ი. პარიზის ქართველთა სათვისტომოს გამგეობამ გაუგზავნა თანაგრძნობის წერილი გადმოხვეწილ უნგრელთა წარმომადგენლობას.

— ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის მიერ მოწყობილ სალიტერატურო საღამოზე,—დამსწრე საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოების მიერ ერთხმად მიღებული იქნა თანაგრძნობის რეზოლიუცია და გადაეგზავნა ის უნგრელ პატრიოტებს.

— ქართულ ეკლესიაში გადახდილი იქნა პანაშვიდი უნგრეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულ უნგრელ პატრიოტთა სულის მოსახსენებლათ. მამაილიამ წარმოსთქვა სიტყვა. პანაშვიდს დაესწრო უნგრელთა წარმომადგენლები.

— პარიზში მომხდარ გლეხთა საერთაშორისო კონგრესზე, სადაც ლაპარაკი იყო უნგრეთის შესახებ, შესაფერი სიტყვით გამოვიდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ცინცაძე. რომლის სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე.

— იმავე დღეებში შესდგა საგანგებო სხდომა ეროვნულ საბჭოს აღმ. კომიტეტის, რომელმაც დაადგინა გაეგზავნოს თანაგრძნობის წერილი უნგრეთის ეროვნულ მთავრობის წევრს ანნა კეტლის. ეს წერილი იბეჭდება ამავე ნომერში.

— 9 დეკემბერს საქ. ს.-დ. მ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის კრებაზე ერთხმად მიღებულ იქნა თანაგრძნობის რეზოლიუცია უნგრეთისადმი.

— ს ო შ ო. სოშოს ქართველთა სათვისტომომ მოიწვია თავის წრეში უნგრელთა წარმომადგენლები, რომელთაც გამოუცხადა თანაგრძნობა.

ინა ჟორდანიას 80 წლის თავი.

ამა წლის თებერვალში ამხ. ინა ჟორდანიას შეუსრულდა 80 წელი.

საზღვარგარეთელი ბიურო, პარიზის სოც. დემ. პარტ. კომიტეტი და «ჩვენი დროშა»-ს რედაქცია მხურვალეთ ესალმება ჩვენს მცხოვან და დაუღალავ ამხ. ინას და უსურვებს მას კეთილ და დღეგრძელ ცხოვრებას.

ს ო შ ო.

ეროვნული დღესასწაული 26 მაისი, სოშოს ქართველებმა იდღესასწაულეს 27 მაის, სათვისტომოს საკუთარ სახლის დარბაზში, რომელიც მორთული იყო ეროვნული მოღვაწეების სურათებით და ქართულ–ფრანგული დროშებით. პატარა და მოზრდილ თაობათა მრავალ-ენოვანი ყიჟინი ფართო ეზოს გარე მდებარე მიდამოების მდუმარეობას ეუფლებოდა. საზეიმოთ შეკრებილებს და უცხო სტუმრებს ღრმა შინაარსიანი მოხსენებით მიმართა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ალ. შათირიშვილმა. ბ.ბ. ევ. აბულაძემ და მელ. ჟღენტმა წაიკითხეს თავიანთი საკუთარი ლექსები.

ზეიმის შემდეგ გაიმართა ქართული სუფრა და ლხინი, რომელიც მამა-პაპური ზნე-ჩვეულების სიდიადის განცდის ძლიერებათ აქცია სუფრის თამადამ, ბ. ვ. დოლიძემ.

საზოგადოების განუსაზღვრელი და დაუვიწყარი მადლობა დაიმსახურეს, თავიანთი ყოველმხრივი აქტიური და საქმიანი მონაწილეობით, ქ.ქ. ლ. სალუქვაძემ და ლ. დუიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ი ტ ნ ი.

ქ. ლიონის ქართველთა სათვისტომომ იდღესასწაულა ჩვენი ეროვნული დღე 26 მაისი, სრულ თერთმეტ საათზედ მორთულ დარბაზში, რომელსაც ამშყენებდა ნოე ჟორდანიას სურათი. სურათი ჩასმული იყო ვარდ-ყვავილებში და ირგვლივ სამფეროვანი დროშები ამშვენებდა.

კ. გუნიამ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა—26 მაისის წარმოშობა და მისი დაკარგვა. შემდეგ ფრანგულათ ილაპარაკა ტიტე აფხაზავამ. ილაპარაკეს აგრეთვე შალვა ანთაძემ, შ. ტულუშმა. სუფრის თამადათ, დიდებას და მრავალჟამიერის წამოძახილს ასრულებდა ალიანა. ჩვენი გამხიარულებული სტუმრები გვიან დაიშალენ.

ახალი წიგნი.

გამოვიდა მეტად საინტერესო წიგნი «მარიამ, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი». წიგნი შედგენილი და გამოცემულია თამარ და აკაკი პაპავასაგან. ავტორები თავის ბოლო სიტყვაში სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობის ამბები, რომლებიც დაკავშირებულია უკანასკნელი დედოფლის ეპოქასთან, მეტად მკრთალად არის ასახული ქართულ ნარკვევებში. მით უფრო ძვირფასია თამარ და აკაკი პაპავას შრომა, რომელიც ფრიად საფუძვლიანანად ეხება ამ დროს და ბევრ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ჩვენი ქვეყნის ამ დრამატიული წარსულიდან. მკითხველი უეჭველათ კმაყოფილი დარჩება მისი წაკითხვით, აქ ის გაიგებს ბევრ ისეთ რამეს, რომელიც დღემდის შეიძლება თითო-ოროლამ იცოდა. წიგნი დაწერილია მშვენიერი ქართული ენით და შეიცავს 316 გვერდს, გარდა ბოლოსიტყვაობისა. ბოლოსიტყვაობაში ავტორები თვით წიგნის გამოცემის საინტერესო ისტორიასაც გვაცნობენ. წიგნი გამოცემულია დიდის მზრუნველობით და ლამაზი ფორმატით. ემიგრაციაში ასეთი წიგნის გამოცემა დიდ დამსახურებათ უნდა ჩაითვალოს.

გ. უ.

ვ. ნანუაშვილის წიგნი.

ამერიკაში—ინგლისურ ენაზე გამოვიდა ვ. ნანუაშვილის წიგნი შემდეგი სათაურით «სიძლიერე და სისუსტე საბჭოთა კავშირისა». წიგნი წარმოადგენს დიდ მოზრდილ ტომს და იქ წარმოდგენილი მასალები და მოსაზრებანი უსათუოდ დაინტერესებს უცხო მკითხველს.

მინდია ლაშაურის შრომა.

რედაქციამ მიიღო ბ. მინდია ლაშაურის შრომა, გამოცემული მიუნხენის სამეცნიერო ინსტიტუტის «საქართველოს მე-19 და მე-20 საუკ. ისტორია კომუნისტური გაგებით».

ავტორი პასუხს აძლევს ურყევი საბუთებით «წითელ პროფესორს» ხაჭაპურიძეს, რომელმაც სავსებით გააყალბა საქართველოს ზემო-დასახელებულ ხანის ისტორია..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ 79/41

ბიბლიოგრაფია.

გრ. ურატაძის წიგნი.

«საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება და მისი განმტკიცება» *).

ეს არის მოკლე ისტორიული ცნობები 117 წლის შეწყვეტილი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენის, მისი რამდენიმე წლის მრავალ რთულ და მძიმე პირობებში არსებობისათვის ბრძოლის და შემოქმედებითი მუშაობის.

ავტორი მკითხველს თვალწინ უშლის იმ მთავარ მომენტებს, რომელიც გაიარა ჩვენმა ქვეყანამ დაწყებული 1917 წლ. რევოლიუციის პირველი დღეებიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემამდე.

ბევრი მაშინდელი ღირსშესანიშნავი ისტორიული ამბები ერთად თავმოყრილი, ხრონოლოგიურათ მოთხრობილი, იძლევა სურათს ქართველი ერის მაშინდელ საშინაო და საგარეო მდგომარეობის, მისი ბედის თამაშის და, რაც ისტორიულათ მუდამ მას თან სდევს, მისი ტრაღედიის.

ამ წიგნში აწერილი ეს მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ხანა ქართველი ხალხის ბრძოლის და ცდის თავის მეობის დასაცველათ და მოპოებული თავისუფლების შესანარჩუნებლათ, არის ხანა მისი ახალი ისტორიის, რაც «ქართლის ცხოვრებაში» ჯერ კიდევ არ ჩაწერილა.

ორი ათასი წლის მანძილზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში, პირველათ ვხედავთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების მეთაურობას ძველი გაბატონებული წოდების მაგივრათ იღებს ხელში ერის ის ნაწილი, რომელიც, როგორც ყველგან, ჩვენშიაც აგრეთვე იყო გარიყული ერის ყოველგვარ საქმიანობიდან, გარდა სამეფოს და ბატონის ვალდებულობის. ამიტომ ეს მოკლეთ მოთხრობილი ამბები ორმაგათ ხდება საინტერესო, როცა ერის საქმეებს ხელმძღვანელობას უწევენ ხალხის მიერ არჩეულნი, მისი ნდობით აღჭურვილნი.

მათ მოღვაწეობაში მკითხველი დაინახავს ქართველი ხალხის გენიას, მის სიბრძნეს, სიფრთხილეს და შორს მჭვრეტელობას, რითაც ისინი ახერხებდნენ ოთხი წლის განმავლობაში ომის და ანარქიის ქარცეცხლში მყოფ ერისათვის აეცდინათ ყველა მის წინააღმდეგ სამტროდ და წასახდენათ ამდგარი ძალები. ყოველი საჯაროთ წარმოთქმული მათი სიტყვები და გადადგმული ნაბიჯი არის მუდამ გაზომილი, მიზან-

---

*) დაიბეჭდა ჩვენი პოლიტიკურ ხელმძღვანელ ორგანოების დასტურის გარეშე. წიგნის სრული პასუხისმგებელია მისი ავტორი.

ბ. ერამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწონილი, საიდანც სჩანს მათი მუდმივი, ურყევი და დაუვიწყარი მთავარი ვალდებულობა თავის ქვეყნისადმი სამსახურის—ერის საკუთარ მიწა-წყალზე მისი ფიზიკური არსებობის შენახვა, რაზედაც შენდება მისი ცხოვრების პოლიტიკური ჩარჩოები.

წიგნში ერთად თავმოყრილი ეს ისტორიული ფაქტები მკითხველს ბევრს რამეს გააცნობს და ბევრს შესძენს.

ავტორი წიგნის შესავალს ასე ათავებს: «წარმოშობა და დაფუძნება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის იყო პოლიტიკურათ და ეთნიურათ გამართლებული, გარდა იმისა, რომ ის იყო ისტორიულათ ბუნებრივი და ლოდიკური გაგრძელება ათასი წლობის სახელმწიფო არსებობის».

ამის შემდეგ მკითხველს ეტოშება და იწვევს გაუგებრობას, როცა 75 გვერდზე ვკითხულობთ: «1917 წლის რევოლიუციამდი არც ერთი პარტია არ აცხადებდა თავის პროგრამულ მოთხოვნილებათ რუსეთიდან გამოყოფას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსებას». იქვე: «მართალია ყველას საგულიგულო სურვილი იყო აღდგენა უკუღმართ დროთაგან შეწყვეტილი დამოუკიდებლობა, მაგრამ მისი განხორციელება საზოგადოთ მოსჩანდა განუხორციელებელ ოცნებათ», ვფიქრობ ასეთი გამოთქმა არც არსებითათ არის სწორი და არც ავტორის აზრებს ეთანხმება, რადგან მასვე მოყავს ცნობა იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ რევოლიუციამდე, ომის დროს, სოც.-დემ. პარ. არალეგალურ კონფერენციას ჩაუთვლია შესაძლებლათ და საჭიროთაც თუ ამისათვის შესაფერი პირობები დადგებოდა ომის პროცესში დამოუკიდებლობის გამოაცხადებდა.

უნდა შევნიშნოთ ავტორს, რომ ბევრი საგულისხმიერო სწორი ფაქტები მოყვანილი აქვს ამ წიგნში უკომენტარიოთ, რაც ორმოცი წლის წინათ, როცა ეს ამბები ხდებოდა, ადვილი იყო მათი შინაარსის სწორი გაგება, მაგრამ ამ განვლილი დიდი ხნის შემდეგ, როგორც გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები ჩვენი ქვეყნის მესვეურთაგან, ისე მათი საჯაროთ წარმოთქმული სიტყვები, თუ არ არის განმარტებული და ახსნილი, ეხლანდელი მკითხველისთვის ძნელი იქნება მათი სწორი გაგება, ხოლო ჩვენი მოწინააღმდეგენი მას სხვანაირად ახსნიან და სხვაფერ გამოიყენებენ.

ბ. ერაძე.

რედაქციისაგან. უადგილობის გამო გადაიდვა შემდეგი წერილები: გრ. ურატაძე—მდგომარეობა პოლონეთში. ან. ქანი—სუეცის არხის გარშემო. ს. ასათიანი—კარებში გააგდებ ფანჯარაში შემოდის. კ. იმნაძე—«მეგზური, როგორც ყველა ქართველი». ი. ჟორდანია—საქართველოში და უკრაინაში მოგზაური ქალის მოგონებიდან. ვ. ჩუბინიძე—მ. ლაშქარაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვიმონ წერეთელის პანაშვიდი.

1956 წლის 29 დეკემბერს, პოლკოვნიკ სვიმონ წერეთელის გარდაცვალებიდან ხუთი წლისთავზე, პარიზში წმიდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში მამა ილიას მიერ გადახდილ იქნა პანაშვიდი სვიმონის სულის მოსახსენებლათ.

ტასო ბერიძისა.

გასულ წელს ისპანეთის მაროკოში გარდაიცვალა პარიზის ქართულ სათვისტომოში ყველასათვის კარგად ცნობილი ქ-ნი ტასო ბერიძისა.

მადლობის გამოცხადება.

უცხოეთში მყოფი სოციალისტ-ფედერალისტები გულწრფელ მადლობას უძღვნიან ჩვენს თანამემამულეთ და ყველა ქართულ ორგანიზაციებს, რომლებმაც დათიკო ერქომაიშვილის ტრაგიკულ გარდაცვალების გამო თანაგრძნობა გამოგვიცხადეს და მის დაკრძალვის დროს ძმური დახმარება აღმოგვიჩინეს.

———

უღრმეს მადლობას უძღვნით ყველა მათ, ვინც პირადი მონაწილეობით თუ წერილობით გაიზიარეს ჩვენი მწუხარება ჩვენი დაუვიწყარი მეუღლის, მამის და სიმამრის სოსო გეგელაშვილის უდროოთ გარდაცვალების გამო.

პელაგია გეგელაშვილისა, თინა და ერნესტ რიბიძენი.
თამარა და გერპარდ გრუნვალდ, ლილი პაპე.

«ჩვენი დროშა»-ს ფონდი.

შემოსწირეს:

ტარიელ ჟღენტი	5.000 ფრ.
ალ. ტატიშვილი	5.000 ფრ.
გერ. ბარამიძე	3.000 ფრ.
გრ. უჩაძე	1.500 ფრ.
ლ. ბელიაშვილი	1.000 ფრ.
ვიქ. კირტავა	500 ფრ.
მიუნხენიდან—ამხ. ნ. იმ—ლი .	917 ფრ.
თეირანიდან—ნინო ცალქალამანიძე	2.000 ფრ.
სულ	18.917 ფრანკი.

ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოგზავნილ შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.
35, rue de l'Aude 35. Paris (14)

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.